

საქართველოს სსრ მთავრობის აკადემიის
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკადემიუმის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
Институт Истории им. И. А. Джавахишвили

გ ა ს ი რ ი ძ ი ღ

საქართველოს კონგრესის სამიზნი

МАТЕРИАЛЫ

ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

V

საქართველოს სსრ მთავრობის აკადემიის გამოცემა
Издательство Академии Наук Грузинской ССР

თბილისი—1951—Тбилиси

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт Истории им. И. А. Джавахишвили

МАТЕРИАЛЫ

ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

V

Издательство Академии Наук Грузинской ССР

Тбилиси — 1951

39 (05)
7362

საქართველოს სსრ მდგრადი კულტურის
სახ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

7.3.2015 - 19634

ე ც ს ა ღ ი ე ბ

საქართველოს კონფრანის სამინისტროს

12-7701

V

საქართველოს სსრ მდგრადი კულტურის გამოცემობის

თბილისი - 1951



აღ. რობაევი

მიზუტჩილი გურიაში

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

გურული ეთნოგრაფიული მასალა საექსპიცია აღასტურებს ლიტერატურულ-ტრადიციას კოლხეთში ძელთაგან და მძლავრად განვითარებული მეფუტჩილების არსებობის შესახებ, გურიის დაბლობი და მთანეთი წარმოადგენდა და წარმოადგენს მდიდარ ბუნებრივ გარემოს მეფურნების ამ დაგრესითვისაც.

ლანჩხუთის რაიონის ს. ოჯახვეში ჩატერილი მასალით (ი ე ს ე გ ე რ ა-ს ი მ ე ს ე უ რ უ შ ა დ ე, 72 წლ.) აქ ძნელად მოიპოვებოდა ისეთი მოსახლეები, რომილები ძირი ფუტკარი რომ არ ჰყალოდა. იყვნენ ისეთი მეფუტჩერებიც (მეგ, დავით უ რ უ შ ა დ ე), რომელთა ფუტკარის რაოდენობა 100 ძირი აღემატებოდა. მრავალ ოჯახში მეფუტჩერებას თაობიდან თაობამდე მისდევდნენ; ამ ოჯახებში მეფუტჩერება წარმოადგენდა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ აუცილებელ დარღს.

იგივე ითქმის მახარაძის რაიონის შესახებაც. ს. ვაკისჭვარში (ლომინა ნიკოლოზის ქ ე თ ხ ი ლ ა ი შ ე ი ლ ი, 88 წლ.) ფუტკარი მეტ-ნაკლებად თითქმის ყველას ჰყავდა. აქაც იყო მრავალი ოჯახი, რომლებიც მეფუტჩერების მამა-პაპით მისდევდნენ.

მაგრამ ჩიხატაურის რაიონი და პირველ რიგში სურები მისი მიმღეობი ადგილებით განსაკუთრებით ცნობილი იყო მეფუტჩერების ძელთაგან მოძინარე ტრადიციებით და მისი მნიშვნელოვანი მასშტაბით.

ს. ნაბეღლავში (დიონი დ ე გ ი რ ა გ ი ს ე მ ა ლ ა დ ე, 83 წლ.) ცნობილი იყო ა რ ჟ ა მ ა ნ კ ე კ ე ლ ი ძ ე, რომელსაც ს. ზოტის მიდამოებში დიდი საფუტკრები ჭიქონდა გაშუბობილი და რომელიც სისტემატურად აწარმოებდა მეფუტჩერების პროცესში ვაჭრობას. 60—70 წლის წინათ ს. ზოტი უკაცრიელი იყო—აქეთ მხოლოდ „თაორებს“ ამიყავდათ საქონლი საძოვრებზედ. აქვე დამოწმდა ცნობილი ვადმოცემა ა რ ჟ ა მ ა ნ კ ე კ ე ლ ი ძ ე ს გაზნაურების შესახებ: კ ე კ ე ლ ი ძ ე ს გ უ რ ი ე ლ ი ე წ ვ ი ს თურქებს სტუმრად დიდი ამალით. ა რ ჟ ა მ ა ნ კ ე კ ე ლ ი ძ ე ს კ უ ვ ე ლ ი ს ტ უ მ რ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ნ თ ვ ი ს დ ა დ ი დ ი პ ა ტ ი ვ ი ს უ ც ი ა. ა მ ი ს გ ა მ ი ს გ უ რ ი ე ლ ს კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ვ ი ს ტ ყ ა ვ ე დ ა წ ე რ ი ლ ი ს ი გ ე ლ ი უ ბ რ ე ბ ი ა, რომლის ძალითაც ა. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს, ს. ბ ჟ ე ლ ე თ ი ს მ ც ხ ვ ე რ ე ბ ს, ა ზ ა უ რ ი მ ა დ ა დ მ ე ბ ი ც ა დ გ ი ლ ე ბ ი მ ი ე ც ა.

შემდეგში ა რ ჟ ა მ ა ნ კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ხ ა შ ი ნ ა დ ა ე დ ა ვ ა. გ ა ჩ ნ დ ა ს ა მ ა რ თ ა ლ ი ს დ ა ვ ი ი თ კ ო რ ა შ ი ნ ა ძ ე დ ა დ ა ს წ რ ი მ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ე გ ლ ა რ ი ს ს ა მ ა შ ი მ ი ც ა მ მ ი წ ე ბ ს ა შ ა ს. ს ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს, მ თ წ მ ე ბ ი ს დ ა კ ი თ ხ ვ ი ს შ ე მ დ ე ბ ს,

არუამან ქეკელიძისა თვის შემდეგი საზღვრები გაუჩენია: აღმოსავლეთთ—დამბის ცახის მთა (ზოტიდან 15 კმ იქნება), დასავლეთით—ჰადგორია ან ლობოროტი (ზოტიდან 2 კმ დაკილებით), სამხრეთიდან — ხახუტების ნაკლავი (ზოტიდან 10 კმ) და ჩრდილოეთიდან—წიწვატებ გორი (ზოტიდან 5—6 კმ). მიგარეთ, არეამნ ქეკელიძე ს დაუმტკიცილი ტყის საკმაოდ დიდი ფართობი (სათიბების გარღვევა, სადაც მას მრავალ აღგილას დიდი საფუტკრები და კონახები (კარვები) გაუწყვეთ.

მეფუტკრეობის მასშტაბების წარმოსადგენად უფრო კონკრეტული მასალაც მოპოვება. აქ ჩაწერილი მსალით ბესარიონი ბარამიძეს და მერაბ დარსალიას ხანის მოყვერილზე 80 ძირამდე ფუტკარი ჰყავდათ საზიაროდ; ოქროპირ ბარამიძეს გონიო-მერქოში 60 ძირი ფუტკარი ჰყავდა; დიმიტრი კიკვაძეს ბარდნალში ასევე 80 ძირი ჰყავდა, ხოლო ანტონ ბარამიძეს—ტობახჩეში 60 ძირამდე, ლუკა ბარამიძეს და მიხეილ თვალაბეჭვილს ურთხა-დელეში—80 ძირი. ას-ასი ძირი ფუტკარი ჰყავდათ ხარიოტონ ბარამიძეს ხახლის ეჭოში, კოსტა ბარამიძეს ხინის წყალზე, ალმასხან ბარამიძეს—კოპუსში, ბირელ ბარამიძეს—ფილათში; ოქროპირ ბარამიძეს ნასაკლდში 120 ძირი ჰყავდა, ივანე ბარამიძეს ნამანეგვში—300 ძირი და სხვ. აქ ათეული ოჯახებია დამოწმებული, რომელთა ფუტკრის რაოდენობა 50 ძირს აღემატებოდა.

ამ რიგის ეთნოგრაფიული გასალაც ცხადყოფს, რომ გურია მთლიანად და განსაკუთრებით სურები მისი მიმღეობი მთანეთით წრმოადგენდა მძლავრად განვითარებული მეფუტკრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საქართველოში.

რომ მეფუტკრეობას გურიაში სრულიად გარკვეული სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ჩანს, სხვა მასალასთან ერთად, აგრეთვე იქიდანაც, რომ ოჯახის გაყრის ან, როგორც აქ იტყვიან, გარეგნების დროს ფუტკრის გაყოფა საერთო წესებს ემორჩილებოდა და საოჯახო საკუთრების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენდა.

ს. ორაგვეში, ვაკისჯვარში, ნაბელლაგში და კურიის სამცვე რაონის სხვა სოფლებში ჩაწერილი მასალით ფუტკრის მომელელად ფუტკრის მართალია ერთი კაცი იყო გამოყოფილი, უმეტეს შემბრევებში შუტროსი კაცი, მაგრამ საოჯახო ქონების გაყოფის დროს ფუტკარი, ისევე როგორც სხვა საოჯახო ქონება, თანაბრად იყოფოდა.

ტყიური მეფუტკრეობის ის ფორმა, რომელიც მხოლოდ სარაჯის მოპოვებას ისახავს მიზნად და ფუტკრის დახვებას (დანელება-ჩაქრობას) გულისხმობს, დიდი ხანია რაც გურიაში აღარ არსებობს. მხოლოდ აქა-აქ აღმინძელა ცნობები მეფუტკრეობის ამ ფორმის შესახებ, რომელსაც გურიაში თაფლის გათვალისწინება.

მახარაძის რაიონის ს. ვაკისჯვარში ჩაწერილი მასალით (ლ. 28 ილა-შვილი) აქ ტყიური ფუტკრის ან, როგორც ადგილობრივ ამბობებს, ხეფუტკრის საძებრად სიარული არ იყო მიღებული. დიდ ტყეებში მრავალი ფუტკარი იყო

და შემთხვევით ოუ წააშეცდებოდა კაცი ასეთ ხეს, მას ან მოჭრიდა და ფუტკარს ცოცხლად წამოიყენდა სახლში, ან ფუტკარს დანელებდა და შემოდ მისი ნაყოფით ისარგებლებდა. ჩოხატაურის რაიონის ს. ნაგელ-ლავში (დ. მამა ლა ა ქ) ხელუტკრის საგანგებო ძიება მხოლოდ მის შემღებ შემოვდა წასად, რაც ტყეებზე გაიკაფა და ფუტკრის რაოდენობა შემცირდა. ფუტკრის დანელება ძველად ისეთსაცე „ცოდნილ“ ითვლებოდა, როგორც კაცის მოკვდა.

ლაგანჩეუთის რაიონის ს. ქვემო-ჩიბათში ჩაწერილი მასალით (სილოვან ანტონის ძე მარგალიტა ა ქ, 56 წლ.) დადგინდა, რომ ქველად აქ სკოლინიათ სასკე ხის მიგნება ფუტკრის ფრენის მიართულების მიხედვით. ამ წესით ნაპონე სასკე ხეს გარშემო ბალახს შემოუტრუსავდნენ, ხოლო თვით ხეს დათარჯვებდნენ (ერთ მხარეს ჩამოუთლიდნენ და ზედ ჯვარს ან მის მსგავს ნიშნს ამოკვეთდნენ), ზოგჯერ კა ამ ხეზე ხისაცე ჯვარს დაკრავდნენ. შემღებში შესაფერის ღროს მოუყებინდნენ და ფუტკარს ან ცოცხლად მოიყანენ დნენ სახლში, ან დაანელებდნენ და მოთლოდ მის პროდუქტს გამოიყენებდნენ.

ამავე რაიონის მთასოფელ ორაგვეში (ვასილ ხარლამიშვილის ძე ურუ შა ა ქ, 59 წლ.) დამოწმდა თაფლის გატეხვის პრაქტიკის არსებობა ძველად. წესად იყო 3—4 კაცის ერთად წასელა მრავალფუტკრიანობით ცრობილ ტყეებში მხოლოდ ფუტკრის ნაყოფის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში სასკე ხის მიგნების შემღებ ფუტკარს დაანელებდნენ, სარაჯს მთლიანად ამოკვეთდნენ და მხოლოდ თაფლ-სანთელი მოქმედიათ სახლში. ამ მიზნით ტყეში ერთხელ მგზავრობას ერთი დღე ყოფილა, რაღაც ფუტკრით მდიდარი ტყეები სოფელთან ახლო იყოფებოდა. ადამიანს, რომელიც ამ სახის მეფუტკრეობას მისდევდა, მონადირეს უწოდებდნენ. ჩეულებრივ, კვერნაზე მონადირეებმა უფრო იცოდნენ თაფლის გატეხვა. აქაც, მაშასადამე, მეფუტკრეობის უმარტივესი ფორმა მონადირეობასთან იყო შერწყმული.

ზემოსასენბული და სხვა ამ რიგის მასალა ადასტურებს, რომ თაფლის გატეხვა, როგორც ტყიური მეფუტკრეობის უმარტივეს ფორმა, გურიაში ძველად ცნობილი იყო, მაგრამ აქ იყი დარჩე იქნა შეცვლილი ტყიური მეფუტკრეობის უფრო მაღალი, განითარებულ ფორმით.

ტყიური მეფუტკრეობის შედარებით მაღალ საფეხურს მეფუტკრეობის ის ფორმა წარმოადგენს, რომელიც გურიაში საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა და ცნობილია ბუკების შემოწყვების სახელით; იგი ამავე ღროს ურალების იყრინს როგორც გარდამავალი საფეხური მოშინაურებულ ფუტკარზე დამყარებული მეფუტკრეობისაკენ.

ს. ქვემო-ჩიბათში (სილოვან მარგალიტა ა ქ) ძველად ფუტკრის მოპოვების მიზნით გათლიდნენ ბუკებს და შემოალაგებდნენ მათ (ჩეულებრივ მარტივი) კოპიტებ, ნეკრიხალაჟე და სხვა ამგვარ ყვაილოვან ხეგმენე. მარიამობის თვეში შემოუვლიდნენ შემოლაგებულ ბუკებს, რომელთა ნაწილი უკვე საკე იყო ფუტკრით ან, როგორც აქ იტყვიან, გასულიერებული თუ გაცოცხლებული იყო, ჩამოიღებდნენ მათ და საფუტკრეში დაალაგებდნენ. აქვე დასძენენ (იასონ კონსტანტინეს ძე პატარა ა ი, 64 წლ.), რომ ბუკ-

ბის შემოსაწყობად ირჩევდნენ მაღალსა და წყლის პირად ამოსულ მუხასა და ნეკერჩალს. ბუკების შემოწყობა 1 პრილისათვის უნდა დამთავრებულიყო. ღალიანობის დასრულების შემდეგ, ფუტკარი რომ მოიმარაგებდა თავის, ბუკებს ჩამოხსნიდნენ და საფუტკერში მოათავსებდნენ.

სოფ. ორაგვეშიაც (ე. უ რუ ჭაძე) ფუტკრის მოსაწყოვებლად წინასწირ გათლილ ბუკებს მაღალსა და შემზედგარე ხეებზე შემთაწყობდნენ—უმთავრესად საშეცურზე წყლის პირად ამოსულ ცაცხესა და წიფელაზე. აქაურთა დაკარგი ყრებით ფუტკარი ყრისას ჩრდილოეთით მიემართება და უფრო იმ ირწონებს მისდევს, რომელთაც ლელები ჩამოუდის. ამ ლელის ნაპირზე ირჩევს ფუტკარი ბინას.

ფუტკრის მოპოვება ბუკების შემოწყობის საშუალებით ლანჩხუთშიაც იყო გაუჩრედებული: 81 წლის არსენ ბერია იონის ძე ებრალიძე ის თქმით მამისის მც. ფსორისა და ფიჩორის ნაპირზე წულიწალში 10—12 ბუკ „გააცოცხლებულა“ ხლომე. აეცა სახეკ ხედ ჭ. ი. ბუკების შემოსალაგბელ ხედ წიფელა და ნეკერჩალი იყო ცნობილი—ამ ხეებზე თაფლი წვიმდებან და ბუკის დასალაგბლადაც იოლი არის.

ს. ნაბელლაგში (ვა. ს ილ ექვთიმე ძე ლომთაძე, 49 წლ.) ქველად ტყიური ფუტკრის მოპოვების ერთ-ერთ საშუალებას ხეებზე ბუკ-კოდების შემოლაგბა წარმოადგენდა. იგივე წესი ტყიური ფუტკრის მოპოვებისა ფართოდ იყო ცნობილი სურგებას (ნოე ეფრემის ძე ბარამიძე, 41 წლ.) და გურიის სხვა სოფლებში.

გურიაში საყოველთაოდ გაერცელებული იყო ფუტკრის ჭურჭლის ერთადერთი სახეობა—ბუკი, რომელსაც ზოგ ადგილს (ს. ნაბელლაგი) როცსაც უწოდებდნენ. საამისო მასალის ჩაწერის ყველა ადგილებში (ქვემო-ჩიბათი, ლაქჩხუთი, ორაგვე, გომი, ვაკისჯვარი, ზემო-სურები, ნაბელლავი და სხვ.) ძევლად მხოლოდ ბუკებში ჰყოლით ფუტკარი.

სახუკე ხე (განსხვავებით სახეკ ხისაგან; რომელზედაც ბუკების შემოწყობა იცოდნენ) აქ იმ ხეს ეწოდება, რომლისგანაც ჩეცულებრივ ბუკი გამოითლება ხოლმე. საუკეთესო საბუკე ხედ წაბლია მიჩნეული—მაგრა და მატრს არ იყარებს, თუმცა შედარებით სხვა ჯიშის ხეებთან იგი უფრო ძნელი საშოვნელია და რთული გამოსათლელი. ზოგ ადგილის (ს. ვაკისჯვარი, ლ. თ ხ ი ლ ა ი შ ვ ი ლ ი) ბზისაგან გამონათალი ბუკიც იყო ხმარებაში. აქვე დამიწმდა ქამდე გეჯად გამოყენებული წაბლის ბუკები, რომელთა ხნოვანება 40 წელს აღწევს. ბზისაგან გათლილ ამ ბუკებს შორის უდიდესის ზომაა 1,00×0,55 სმ, ხოლო უმცირესისა—1,00×0,45 სმ.

წაბლისა და ბზის შემდეგ ლანჩხუთში, მაგალითად (ა. ე ბ რ ა ლ ი ძე), საბუკე ხეებს შორის ცაცხეს აძლევდნენ უპირატესობას, ხოლო ამის შემდეგ მუხას—ბობოლი (ბეპელა) ნაკლებად უჩიდებათ; ს. გომში ჩაწერილი მასალით (ლავრენტი იულინის ძე გიგინე იშვილი, 74 წლ.) წაბლის შემდეგ ცაცხეს აძლევდნენ უპირატესობა—ცაცხეს ბუკები უფრო ადრე „ცოცხლდება“ ფუტკარო. ბოლო ზანებში საბუკე ხედ უმეტესობა თხმელს ჩნარობდა—იოლად საშოვნელია და ადგილად გასათლელიო.

საბუქე ხის მოქრა და ბუკის გამოთლა სვანეთში ოლწერილი წესის მიზედვით წარმოებდა, ე. ი. საჭირო ზომის მორს გააპობდნენ შუაზე და ამოულებდნენ გულს ისე, რომ კედლის სისქე 2—3 სმ არ გადასცილებოდა. შესაბამისად ამისა, ბუკის ზედა ნაწილს ჰედა ყბა ეწოდებოდა (ს. ნაბეჭლავში—საზედაო ბუკი), ხოლო ქვედა ნაწილს—ქვედა ყბა (ს. ნაბეჭლავში—საქვედაო ბუკი).

საბუქე ხის მოქრა და ბუკის გამოთლა უმცესეს შემთხვევაში გარევეულ დღესთან იყო დაკავშირებული, რომლის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი. მხოლოდ იმ გამინაცლის შემთხვევაში, როდესაც ეს საქმიანობა გარევეულ დღეს არ უარშირობოდა. როგორც ეს ჩანს ს. გომში ჩაწერილი მასალით



სურ. 1

(ლ. გიგინე ი შვილი), ბუკების გამოთლას რთველის მოთავების შემდეგ შეუდგებოდნენ, რომ სასკე სევებზე მათი შემოლაგების დროისათვის ბუკი ნედლი არა ყოფილიყო—ნედლი ბუკი არც ფუტკარს უყვარს და ხეზე ასატანადაც უფრო ძნელია.

გურიაში საყოველთაოდ გავრცელებულ და, როგორც ეტყობა, ძველთაგან ფეხმოკიდებულ ბუკთას ერთად კოდაც იძარებოდა—მთლიანი გაუპოზელი მორისაგან გამოთლილი ფუტკარის ჭურჭელი. ასეთი კოდები, სხვათა შორის ხმარებიდან მხოლოდ ორიოდე შლას წინ გამოსული, ს. ნაბეჭლავის კოლმეურნეობა „წინსელის“ საფუტკრეში ოღონიშვილი, მათ შორის ერთის ზომა 71×41 სმ, ხოლო მეორეს — 70×32 სმ (კედლის სისქე ორივე შემთხვევაში 3 სმ უდრის). ჭურჭები ცაცხვის ხისგან იყო გამოთლილი. ამგვარი კოდები, როგორც შემდეგ ოღონიშვილი, ზემო-სურებშიაც ყოფილა ხმარე-

ბაში. აქ ჩაწერილი მასალით (დავით ავთანდილის ქართველები, 72 წლ.) იცანე ბარამიძის საფუტკრეში ოცამდე ასეთი კოდიუნახავთ ერთმანეთზე შედგმული. აქევე მიღებული განმარტებით კოდები მხოლოდ იმ შეფუტკრებს ჰქონდათ გამოყენებული ფუტკრის ჭურჭლად, ეისაც დიდა რაოდენობის ფუტკარი ჰყავდა და ყრის დროისათვის ვერ ასწრებდა საჭირო რაოდენობის ბუკების დამსადებას. ასეთ შემთხვევაში ერთ დიდ კოდში ფუტკრის 2—3 ოჯახს ათავსებდნენ ხოლმე.



სურ. 2

ამისთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოდებს შუაში და გარდიგარდინ ე.წ. პაპაჯვარს—ჯვარელინად დამაგრებულ ჯოხს—უკეთებდნენ, რაც წარმოადგენდა ზევიდან დაშვერილი სარაჯის სამაგრს და ამავე დროს იმ საზღვარს, სადამდეც დაშვებული იყო სარაჯის ამოლება. გურული კოდის ეს ელემენტი პარალელს პოვებს (ჯერჯერობით) მხოლოდ სვანური ლუების რამდნიმე ეგზემპლარში და წარმოადგენს გეჯის გაუმჯობესების ცდას.

გურულ ქოდთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ-მისი გაფრცელების არე გურიაში მეტად შეზღუდულია—იგი დამოწმდა ჩოხატაურის რაიონის ორ სოფელში—ზემო-სურებსა და ნაბეღლავში. ამ უკანასკნელში ჩატერილი მასალით (ბეგლარ დავითის ძე კოროჭინაძე, 69 წლ.) ძველად არც აქ ყოფილა კოდები. ეს კოდები გაჩნდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ამ რაიონში მეთაბაქოე ლაზები ჩამოვიდნენ. თამაშებს მიმდევნებას ჩოხატაურის რაიონში ჩამოსული ლაზების მიერ მთხოვობელნი ათარიღებენ XIX ს-ის 80-იანი წლებით.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გურიაში ძველად გავრცელებული იყო მხოლოდ ზემოაღწერილი ბუქი: კოდის გავრცელება ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ვიზუროდ არის ლოკალიზებული; მის აქ გავრცელებას ხალხური გამოტანის ლაზებს უკავშირებს.

გურიაში დამტმდა თოხი სხვადასხვა სახეობის საფურცეები, რომელთა ცალკე ტაბებად მიჩნევა—არ მიჩნევის საკითხი მთლიანად ქართული მასალის მოშევობის შემდეგ იქნება დასმული.

ყველა ეს საფურცეებები ლია ცის ქვეშა მოთავსებული, თუ არ ჩავთვლით საკოლმურნეო საფურცეებებს, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისადა გაწყობილი.

საფურცერის პირველი სახეობის შესახები მასალა ს. ორავეში დამოწმდა (კ. ურუშაძე). აქ ჩატერილი მასალით ხევბზე შემოწყობილი და „გასულოერებული“ ფუტკარი მეფისურებებს ხშირად აღიარ ჩამოქვერნდთ ხიდან და ფუტკარს ზამთარს. ზაფხულ იმპერიუმი ბერე ძმყოფებუნენ. მეფისურებების „მოსახლავად“ ყოველ წელს შემოუვლიდა სასკე სევებს და მოწყველიდა ფუტკარს. ყოველ სასკე ხეს სკუთრების ნიშანი ელო—ეს იმსა ნიშვნელა, რომ ბუქის მოხილვა თუ სასკე ხის მოქრა ალკეთილი იყო. არამცულ ბუშელგმული სასკე ხე, არამედ ახლო-მახლო, ამ სასკე ხის ნიპატრონის მიერ დანიშნული ხევბიც, რომლებიც მის მიერ მხოლოდ შეგულებული იყო ბუქების შემდეგში შემოსაწყობად, გარკვეული პირის საკუთრებას წარმოადგენდა და ამდენად ხელშეუხები იყო. მაშასადამე, სასკე ხის პატრონი წინასწარ „დათარჯავდა“ სასკე ხის მახლობლიად მალილსა და „შემხედვარე“ ხებს, რომლებიც მის მიერ „დათქმული“ იყო და წინასწარ შემზადებული ბუქების შემოსაწყობად უკვე მოქმედი სასკე ხიდან ნაყრობის დროს გამოსული ფუტკარის მოთავსების მიზნით. ამ წესით გაწყობილი საფურცეები ს. ორავეში ბურ მეფისურებელს ჰქონდა: თადა გაბრენელის ძე ურუშაძეს ყუნთალეთში, დავით სესიას ძე ურუშაძეს ქიცნარში, მიხეიოლ გორგოს ძე ბურეგლას ქამანშა დასხე.

მახარაძის რაიონის ს. გომში ჩატერილი მასალით (თემურაზ ილარიონის ძე ბურეკულაძე, 38 წლ.) ადგოლობრივი მოსახლეობა სულ მოლო დრომდე ფართოდ იყენებდა ბუქების შემოწყობის წესს. საამისო ადგილებად შერჩეული ყოფილა: საირჩე, თბილნარა, წაბლისგული, სადაც მცნარეულთაგან ჭარბობს ცაცხვი, წყავი, შეკრი, ხეჭრელი, ნეკრჩალი, ხურმა—ეს ადგილები ალპიურ ზოლს უახლოვდება და ამდენად თატლოვანი ბალახე-

ულითაც მდიდარია (თეთრი და წითელი სამყურა, მოცვა, ბარდმაყვალა, ქურ-ჩუმელა, ჯინჯალუა და სხვ.). ამ სოფლის მეფუტკეთა ნაწილსც ბუკები მთე-ლი წლის განძალზე სეებზე ჰქონდათ დარღვებული; მათი მოხილვა ხეებზევი წარმოებდა. იგივე ითქმის ამავე რაონის ს. ვაკისჯგრის შესახებაც (დიმიტრი ზაალის ძე მდინარაძე, 85 წლ.).



სურ. 3

ს. გომში ჩვენ შევესწარით ხეზე შემოწყობილი ბუკების მოხილვას. ლ. გ ი-გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, რომლის მამას ქველად 60 ძირამდე ფუტკარი ყავდა სასკე ხეებზე დამინავებული, ხის ძირას იდგა და ბაწრის ბოლო გემირა, რომლის ბეორე ბოლოთი მაღალი ხის ერთ ტოტზე ატანილი იყო სარაჯის ჭურჭელი. მოხუ-ცებულითის გამო ლ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ოვთონ ველარ გასულიყო ხეზე, შეილიშვილი აევზავნა და ქვევიდან არიგებდა მას.

ლანჩუთში ჩაწერილი მასლით ბუკები ხეებზე წირებით (ღვლენცით) იყო დამაგრებული და ისეთ ხეებზე ასასვლელად, რომელთაც მარჯვე ხელმოსაკიდი ბოლი (ტოტი) არ გააჩნდა, მიმართავდნენ გურიაში ფართოდ გავრცელებულ საშუალებას: წვრილ თოკს მოაგამდნენ მუშტისოლენა ქვას და გადაისრო-დნენ მას უახლოეს ტოტზე. ამ წვრილი თოკის საშუალებით მსხვილ ბაწარს

გადაიტანდნენ იმავე ტოტზე და ამის შესვეობით ადიოდნენ ხეზე. ძველად ბაჭ-
რის ნაცვლად ზოგი მაღლარი ვაზის ტოტს იყენებდა.

ზემო-სურტბში ბუქების შემოწყობის წესი არ ყოფილა ცნობილი. სურტ-
ლების წარმოდგენით (ან ტონ მაქსიმეს ძე პარამის ძე, 78 წლ. და სხვ.)
მეფუტკრეობის ეს სახეობა მახარაძის რაიონის მხოლოდ იმ სოფლებშია ცნო-
ბილი, რომელიც აჭარასთავ ახლო მდებარეობდნ—თოთქოს სურტბლებს ხევზე.
შემოლაგებული ბუქების მოხილვა აჭარლებისაგან ჰქონდეთ შეთვისებული.

გურიის დანარჩენ აღვილებში მეფუტკრეობის ეს სახეობა ეპიზოდურ ხა-
სიათს ატარებდა. ლანჩხუთში ჩაწერილი მახალით მეფუტკრეობის ეს სახეობა
აქ არ ყოფილა გავრცელებული. მხოლოდ ის მეფუტკრეები, რომელნიც



სურ. 4

სხვათა შორის მისდევდნენ ამ საქონინობას, ან რომელთაც არ ეხერხებოდათ
მეფუტკრეობა, ხევზე სტოკებდნენ ბუქებს და ლროგამოშვებით სხვა პირთა
დახმარებით მოიხილავდნენ ხოლმე მათ.

მახარაძის რაიონის ს. ვაკისჯვერში (ლ. თხ ი ლა ი ჭ ვი ლ ი) გამონაქლისი
შემთხვევების გარდა ბუქებს ხევზე არ აჩერებდნენ. ხევზე ბუქები მხოლოდ
იმ შემთხვევაში ჩჩებოდა მაჟლი წლის მანძილზე, თუ მეფუტკრე რაიმე მიზე-
ზის გამო ვერ მიასწრებდა ბუქების ჩამოხსნას ხიდან.

ამგარად, საერთოდ გურიის რამდენიმე პუნქტში და განსაკუთრებით კა-
მახარაძის რაიონში დამოწმდა ამქამადაც მოქმედი წესი ბუქების ხევზე მო-
ზილვისა, რომელიც საერთოდ საფუტკრის ერთ-ერთ, შესაძლებელია, ადრინ-
დელ სახეობას წარმოადგენს.

საფუტკრის შეორე სახეობად უკვე მოხსენებული არ ჟამან კეპელი-ძის ეული საფუტკრე მივგაჩნია, ე. ი. მეტ-ნაკლები რაოდენობის ზუკები, რომლებიც სხვადასხვა სიმაღლის ორბორია ბიჯგებზე ან პირდაპირ ქვებზე იყო შეღმულა და შეჩერ ტყეში განლავებული.

ს. ნაბეღლავში ჩაწერილ შაბდით (დ. მამალაძე) გიორგი მამალაძე 86 ძირი ფუტკრი ჰყავდა ამგვარი მოთავსებული ტყეში. იქვე იყო დადგმული კონახი; მეფუტკრე ტყეშივე ხდიდა სანთლის არას. ტყეში დაბალი საფუტკრის მოწყობა ს. ორაგვეშიც იყო ცნობილი (იესე გერასიმე ძე ურუშ შაძე, 72 წლ.). ლანჩჩუთში დამოწმთა „გასულიერებული“ ბუკების ჩამოხსნა და იქვე ტყეში დაბალი საფუტკრედ მათი გაწყობა. ს. ზემო-სურებში (ნაუმ ეფრემის ძე ბარამიძე, 41 წლ.) ფუტკრის უმეტესი ნაწილი ტყეში გაწყობილ საფუტკრებში იყო მოთავსებული, რაც კარგად ჩანს სურებელ მეფუტკრეთა ზემოთ მოყვანილი სიიდანაც. სხვათა შორის ასეთი საფუტკრეუბენი დღესაც ფართოდა გარცელებული როგორც ინდივიდუალურ, ისე საკოლეგურნეო საფუტკრებში.

ლანჩჩუთში დამოწმებული წესით (ა. ე ბ რალიძე) სასკე ხეებზე შემოწყობილ ხების „გასულიერებისა“ და ლალანობის დამთავრების შემდგებ ბუკებს ხებიდან ჩამოხსნიდნენ და ე. შ. აგვართაში მოათავსებდნენ ან სახლში ეზოს საფუტკრეში მოიტანდნენ.

ქველად ლანჩჩუთის რაიონის გლეხებს დაბლობ აღგილებსა და უმთავრესად რიონის ჭალებში ტყაში შეჩრებული ჰქინიათ თაალი აღგილები (ახოს აღება აქ არ სკოდნიათ), რომლებშიც ისინი კარას იღგამდნენ, ზაფხულ-შემოდგომბით ყინას ამუშავებდნენ და ზამთრობით საქონლს აბალახებდნენ—რიონის ჭალებში მისი რბილი ჰავის გამო ზამთარში საქონლის შენახვა უფრო ითლი იყო. ამ მეურნეობას, უკეთ რომ ვთქვათ, ამ აღილს აგვართა ეწოდებოდა—აგვართაში ყანა იხვნებოდა და ითესებოდა მთელი ოჯახის ძალებით (გარდა ოჯახის იმ წევრებისა, რომლებიც სახლსა და საქონლს უკლიდნენ და რომლებიც ამ ღროისათვის ჯერ კიდევ არ იყენენ ჩამოსულნი დაბლობში). სიმინდის აღების უმაღვე საქონლს აგვართაში ჩამოდენიდნენ; კარავში რჩებოდა ოჯახის ერთი წევრი, რომელიც საქონლს უკლიდა, რძის ნაწარმს ამზადებდა და ამავე ღროს ნადირობა-მეოცენებობას მისდევდა. თუ რომ ოჯახის ეს წევრი მცირეწლოვანი იყო და რძის ნაწარმის დამზადებას ვერ მოერეოდა, იგი შეეზიარებოდა მეზობელს; შეზიარებული ერთად ჩაიდგამდნენ კარავს აგვართაში და, უმცროსი რომ საქონლის მოვლაში ეხმარებოდა უფროსს, უფროსი წევლასა და ყველის დამზადებას აწარმოებდა.

ს. ჩიბათის მიმდგომ ტერიტორიაზე სააგვართო აღგილები იყო: გვარა-დიდი (კ. პატარა აია), ჯონთი (ი. კუკილაძე და ვ. ჭყონია), წყავი (კ. ჭყონია), ჩხუნი (ი. ჩახვაძე), ნაბაკვი (ო. ჯორბენაძე, ბ. იმნაძე), ა. მარგალიტაძე—ეს ორი მოხიარე იყო—დ. სარჯველაძე, ი. კუნჭულია, ნ. ლომაძე, ს. კუნჭულია), თხინარი (თ. სარჯველაძე, გ. სარჯველაძე, ს. კუკილაძე), ზრუგა (ჩ. პატარა აია), აჭანათი ტ. პატარა აია) და სხვ.

ლანჩუთელ ა. ებრალიძეს წყალთვლაში ჰქონდა აგვართა, სადაც იყო მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად მისღევდა თევზაობას და ნადირობას, უმთავრესად გარეულ ღორსა და შეელზე.

აგვართაში დაბინავებულ მეფუტკრებს, როგორც წესი, ფუტკრის უდიდესი ნაშილი აგვართაშივე ჰყვდა.

რიონის ჭალებსა და ჭალისპირებში გაწყობილ საფუტკრებში ბუები მაღალ, ორპოტიკა ბიჯგებზე იყო დალაგებული. ზოგ შემთხვევაში ძველად (ისევე როგორც ახლაც) ბუების სიმაღლე ერთნახევარ მეტრს აღწევდა. ბიჯგების სეთი სიბალეს ზოგი რიონის მოლიცების შიშით ხსნის, ხოლო ზოგი ნადირისაგან დასაცავ საშუალებად მიიჩნევს. ერთია უდავო: მიწზე (ქვემზე ან დაბალ ბიჯგებზე) დალაგებულ ბუებთან შედარებით კაცის სიმაღლეზე დაღმული ბუების მოხილვა უფრო მოსახერხებდებია. აღსანუშავია ისიც, რომ ჩვენ მიერ დამოწმებულ ზოგ ასეთ საფუტკრებში ბუების მოსახილავად კიბის მიღმა საჭირო, რაც საკმაოდ ართულებს მის მოხილვას.



სურ. 5

გურიის სხვა რაიონებში აგვართა ველარ დაგამოწმეთ. მხოლოდ ს. ნაბელლავში ჩაწერილი მასალით (ბეგლარ დავითის ძე ქოროშინაძე, 69 წლ.) ამ მიღმოვებში აგვართებს მეგრელები იმართავდნენ ხოლმე, რომელთაც თხა ამოკუედათ საბალაბოლ. აქაურები საქონელს ტყეში აბალაზებდნენ. ამგვარად, საფუტკრის მესამე სახეობად აგვართაში გაწყობილი საფუტკრე შეძლება ჩაითვალოს.

გურულ მეფუტკრეთა ნაწილს მხოლოდ ეზოში ჰყავდა ფუტკარი. ასე იყო მაგ., ს. ზემო-სურებში, ნაბელლავში და სხვა მრავალ აღგილას, ამის-

თან ერთად, თითქმის ყველა მეფუტკრეს, მიუხედავად იშისა ხეებზე ჰქონდა შემოწყობილი ბუკები, აგვართაში ჰყავდა ფურქარი. თუ რყეში ჰქონდა



სურ. 6



სურ. 7

გამართული საფუტკრე, ეზოში რამდენიმე ძირი ფუტკარი გაინც ჰყავდა საახალწლო დღესასწაულისათვის.

ჩვენი აზრით, ეს გურული საფუტრეოს მეოთხე სახეობაა.

ფუტრის მოვლა-პატრიონობის დონე გურიაში შეპარობებული იყო იმ კოდნათა ფარგლებით, რომელსაც ფუტრის ბინის თავისებურება ჰქონიდა. ფუტრის ცხოვრება-მუშაობის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ბუჭიში მიმდინარეობდა, გურულ მეფუტრეებს, ისევე როგორც ამ ღროის სხვა მეფუტრეებს, არსებითად სწორი, მაგრამ მეტად ზოგადი წარმოდგენა ჰქონდათ. რაც შეეხება ფუტრის კვება-მუშაობასა და მრავლებს, აქ ადგილობრივ მეფუტრეთა ცოდნის დონე დამყარებული იყო არა მარტო პირად გამოცდილუბაზე, არამედ ემპირიული ცოდნის იმ დიდ მარაგზე, რომელიც ხალხს საუკუნეების მანძილზე დაკვირვების შედეგად დაგროვილი აღმოაჩნდა.

ამ გარემოების ნაცელსაყოფად მარტი ის ფატიც კმარა, რომ თითქმის ყოველი სოფლის მეფუტრეებ ზედმით ევნით ისზუსტი იცის, თუ წლის გარეკვეულ მონაკვეთშე და რა მცნარეზე „მუშაობს“ ფუტრარი, თავლებან მცნარეების ცვავილობის ღრივ და ხანგრძლივობა, ამ მცნარეთ ავკარების მარტობელი თავლის გამომწვევი მახში და სხვ. გურიაში მოიპოვება არა ერთი ზეფუტრე, რომელსაც თავლის ფურის მიხედვით შეუძლია გასახლოროს ფუტრის საკედი მცნარის თავისებურება.

ს. ქვემო-ჩიბათში ჩატრილი მასალით (ს. მარგალი ტაბე) ირკვევა, რომ ამ მიღამოებში ნეკერჩხალი ცვავილობდა აპრილის მეორე ნახევარში, კვირდა-მაისს დამლევს, შევი ხეც დახასლოებით ამავე ხანგში, ზეწნა ყვავილობის იწყებდა მარტის ბოლოს, ხოლო ტყემალი — მაზე ცოტა აღრე; ტყის ვაშლისა და ლიცის ცვავილობის ღრივ აპრილის პირველ ნახევარშე მოდიოდა, ხოლო აკაციისა — მცნარე ნახევარში; ამის მოყვებოდა ჭანჭუფას და ლუკუმნას ცვავილობა; მაისის პირველ ნახევარში ცვავილობდა ინგრეხა, ხოლო ყველაზე გვაინ ცაცხვი და წაბლი.

თაფლოვან ბალახეულთა შორის ცნობილი იყო ხაზიეთ (მარტის ბოლო), სამყურა (აპრილის ბოლო), ხოლო ნაგვიანებთა შორის — დონიკა, ცახი, მთის ოჩჩეუბა, ოქნოტო.

ს. ნაბეღლავში (ბ. კაროში ნარქ) ზემოხსენებულთა გარდა თაფლოვან ბალახეულში იჩევდონენ ქურჩხუმელას, იაბალას, სახემშვენირს.

გურიის შთანეთში, სახელდობრ, ზემო-სურებში, ხალხს დადგენილი აქვს თაფლოვან მცნარეთა ცვავილობის სხვადასხვა ვადები. ლალიანობა აქ მხოლოდ სამ თვეს გრძელდება; მეფუტრეების მძლავრად განვითარებას ხელს უწყობს მაღალი მოების სიახლოევე სადაც ერთი და იგივე თაფლოვანი მცნარე ცვავილობას მზის ძირში იწყებს და შემდეგ თანდათანობით მაღლა გადადის. ასე მაგალითად, ცველაზე აღრე აქ წყავი იწყებს ცვავილობას და ზემოაღნიშნული გარემოების გამო მისი ცვავილობის პერიოდი 20—25 დღეს გრძელდება. წყავის მაყვალი მოპყება, რომელსაც აქ ბარდი ეწოდება. მისი ცვავილობა თითქმის ერთ თვეს გრძელდება. ათიოდე დღის შემდეგ შემოდის წაბლი, რომელსაც ცაცხვი მოპყება. ღალათობა იყლის ბოლოს მთავრდება.

თაფლოვან მცნარეთა კარგი ცოდნის შედეგია ის გარემოებაც, რომ გურიაში დიდი ხანია, რაც ხელი მიძყვეს თაფლოვან მცნარეთა ხელოვნურ

2. მასალ. ეთნოგრ., ტ. V



გაშენებას. თაფლოვან მცნარეთა შორის დღეს ყველაზე გავრცელებული აკაციის გაშენება გურიაში მე-19 საუკუნის ბოლოში დაიწყეს; ჩატვართვის გამოწვეული ყოფილა ტყეების დიდი მასივების გაკაფვის შედეგად ფუტკრის საკედების ბაზის მნიშვნელოვანი შემცირებით. აკაციის შემოტანას მახარაძის რაიონში ზალი მიაწერს მეფუტკრებ ბოლქვაძეს (ძველად მიქელ-გაბრიელის თემი), რომელსაც თურმე პერილაც შემოუტანია; ამ ბალახს ესლაც „ბოლქვაძის“ ბალახს უწოდებნ.

რაც შეეხება სეფორას, გურიაში იგი თბილისის საცდელი საფუტკრიდან გადაუტანით.

კრიპუჭი ამჟამად გურიაში აღარ მოიპოვება. ს. ნაბელლავში (დ. მაბალაძე) კრიპუჭის ძეველ თაფლად მიიჩნევენ. შემოწყობილ ბუქებში კრიპუჭი თითქოს არ იცის. ბუქების „წალმა-უკულა“ მოხილვის პირობებში, ე. ი. ერთ წელიწადს რომ ერთი ბოლოდან იღებენ სარაჯას, ხოლო მეორე წელიწადს შეორე ბოლოდან, თაფლად არა ძევლდება და ამტენად კრიპუჭი არ კეთდება. თუ რომ ბუკა მუდა წელს ერთი ბოლოდან იძილება, ხალხის წარმოდგენით იქ შეიძლება გაჩინდოს კრიპუჭი.

დაბლიან საფუტკრებში ბუქებს წელიწადში მხოლოდ საშვერ ახდილენ ზედა ყბას: გაშარტებაზე (გაზაფხულზე), ნაყრობის დროს და ფუტკრის მოწველისას.

ერთი ბოლოდან აწეულ ზედა ყბას ორპოტიყა ჯოსს შეუყვენებლენ, თუ ბუკა ძირს იყო დაწევენილი, ზედა-ყბის აწეულ ბოლოს მუხლს შეუდგინენ და ქვედა ყბას ფეხს დაადგამდნენ. ამ წესით ნაწილობრივად თავაზდილ ბუქს; რომელიც ონდა დაქანებული იყო ახდილი თავის მიმართულებით, გაზაფხულზე ჩახდავდნენ და გაასუფთავებდნენ. საამსოდ ბუქს ქვედა ყბის ბოლოზე საწრეტი ჭრით გაყეთებული, რომელშიაც მეფუტკრე ჩახვეტავდა ბუქში დაგროვილ ნაგავს. ბუქის გაწმენდისას, ისევე როგორც ბუკის თავის ახდის ყველა შემთხვევაში, ფუტკარს მიუბოლებდნენ ცეცხლმოკიდებულ კოტორს (ს. სურებში ნაკოტალას—სიმინდის ნაგული) ან ფულოს, რომ მუშაობისას ფუტკარს არ დაესუსხს მეფუტკრე.

ბუკთან მეორედ შიდილოდნენ ნაყრობისას, რომელსაც ამ მომენტისათვის დამახასიათებელი საბურობით შეატყობდნენ ხოლმე; ფუტკარი ამ დროს მიზურგუსული (ე. ი. ერთ ადგილას დაბევული) არისო.

ნაყრობის დროისათვის მომზადებულ ბუქებს წურუჭას (სველს) მოაელებდნენ (ფუტკარს უყარსო) და ფუტკრის ჯვახს შიგ მოათავსებდნენ.

გურიის ქვედა სოფლებში (ს. ქვემო-ჩიბათი, იასონ კონსტანტინეს ძე პატარაია, 45 წლ.) ნაყრობა პპრილის შუა რიცხვებიდან იწყება. უფრო გვიანი ნაყარი—ნაბჭვალა—უვარებისად არის ცნობილი, ხოლო პირველი ნაყარი საუკეთესოდა მიჩნეული. კარგი ჯვახი ხანდახან ორ, ხოლო ზოგჯერ სამ ნაყარსაც იძლევა ხოლმე; ჩვეულებრივად კი ერთზე მეტს არ ელოდებიან.

საფუტკრის მესამედ მოხილვა აქ ფუტკრის „მოწველის“ დროს სცოდნიათ. საამსოდ გარკვეული დღე დაწესებული არ იყო; ელოდებოდნენ ლა-

ლიანობის დამთავრებას და უმეტეს შემთხვევაში მოხილვას მარიამობის თვეში აწარმოებდნენ. ს. ვაკისჯვარში, მაგ., მოხილვა წარმოებდა მოყოლებული იმ დღიდან, წაბლი რომ ფოთოლს დაყრიდა, ვიდრე განაფხულამდე, მაგრამ ფუტკრის ზამთარში მოხილვის ეს შემთხვევა იშვიათია—ჩეცულებრივად ეს საქმიანობა გიორგობისთვეს (წომებერს) არ გადასცილდებოდა.

რადგან ტყური მეფუტკრეობის ზემოაღწერილ ფორმებს საქმიანდ დიდი ადგილი ეპირ მეფუტკრეობაში, მეფუტკრეობის ინენტარში განსკუთრებული ადგილი ჰქონდა დამობილი სარაჯის საზიდ საშუალებებს. მაღლარი ბუების მოხილვისას, გარდა უკვე მოხილებულ თოვისა, დაფურისას და სხვა წვრილი ინენტარისას, ტყური მეფუტკრეობის ამ ფორმათა პირობებში საჭირო იყო ე. წ. ხოკერა. ს. გომში ჩაწერილი მასალი (თე მ ურა ზ ი ლ ა-რ ი კ ი ს ძ ე ბ უ რ კ უ ლ ა ძ ე, 38 წლ.) ხოკერას ადგილობრივი მისახლეობა ნახევს ხსნ ანხალისაგან აკეთებდა. 1,5 მეტრის სიგრძისა და 30—40 სმ სიგანის ანასაღს—შოლტე როად მოლუნავდნენ და გვერდებში ანახალისავე ტიხრებს დაუფარდნენ. ხოკერას ზედა ნაწილში შემოვლებული ჰქონდა რკინის სალტები, რომელიც ზედაც დამაგრებული იყო ლითონისავე სამი რგოლი—ორი წინ და ერთიც უკან. ამგვერ სინის სალტებში დატანებულია მაგალის სახელური. წინა ორ რგოლში გავლებული, ხოკერის ძირშე ამოტარებული და უკანა რგოლზე დამაგრებული თოვის საშუალებით ხოკერა ზურგშე შემთხვებოდა და, თოვით ორივე მხარეზე დამაგრებული, იოლად სატარებელი იყო.

ს. გომში დამოშებულ ეგზეპლარს (თ. ბ უ რ კ უ ლ ა ძ ი ს თ ვა ბ შ ი) სიმაღლე 62 სმ ჰქონდა, ხოლო უდიდესი განივერილი 28×28 სმ. ასეთი ჭრა-ჭელი ცხენშე სატარებლადაც მოსახრებელია. ხოკერა მხოლოდ სარაჯის ჭრა-ჭლად იხმარებოდა, მას სხვა დანაშაულება არ ჰქონდა.

ს. ვაკისჯვარში ბუების მოხილვისას სარაჯის ჭრა-ჭლად გუდას ხმარობდნენ, რომელიც ასევე მხოლოდ ამ დანიშნულებისათვის კეთდებოდა. გუდას თხის ტყავისაგან ამხადებდნენ, საამისოდ თხას უკანა ფეხებიდან ტყავს გახდიდნენ (სალვინ გუდისათვის კისრიდან გახდილ ტყავს ხმარისდნენ), რადგან კისრიდან გახდილ ტყავი ყელვწრია და თაფლის ჭრა-ჭლად არ ივარებებს. ასე გახდილ ტყავს მუხლებში გადაჭრიდნენ, მარჯვენა და მარცხენა უეხებს წყვილად გადააბამდნენ თოვებით, რომ გუდა ზურგჩანთასავით სახმარებელი ყოფილიყო; ხმარებამდე ტყავს (ბალანგალოლს ან გაუცლელს) ფუჩეჩით ან თივით დატენილენ და კარგად გაასმიშნენ. გამბობის შემდეგ მას წყალში დაალბობდნენ და მცირეოდენ დაქნის შემდეგ თაფლის საზიდ ჭრა-ჭლად ხმარობდნენ. ხოკერა უმთავრესად მაღლარი საფუტკრის მოხილვისას იხმარებოდა, ხოლო გუდა—უმთავრესად დაბლარისა.

ამგარად, ფუტკრის მოსახილვად წასკლისა თან მიპქონდათ ხოკერა (ან გუდა), ლაფერა (ხისაგან გამოთლილი ვეწროპირიანი დანისმაგრარი იარალი, რომელსაც ჩეცულებრივად სარაჯის ამოსაკვეთად ხმარიბდნენ), ბარჯა-კა (ეს ხშირად ადგილზევე შესლებოდა ბოლმე), ბაწარი და ფოურ (უკანასკნელი ანდილი ბუების შესაბოლებლად).

ს. ნაბეღლავში ჩაწერილი მასალით (გ. კოროზინაძე) ბუკის მოხილვამდე ბუქზე თითის მიკაუნინგის საშუალებით დაადგენდნენ საიმ არის დედოდა საიმ მოსახილავი და შესაბამისად ამისა ზემოხსენებული წესით ასწევ-ლნენ ბუკის ზედა ყბას. თუ მოსახილავი იყო საოჯახო საფუტკრე, ბუკის ზედა ყბის დაწევის შემდეგ მას ქვეშ გობი შეუდგამდნენ და ლაფერით მრკვე-თაღ სარაჯს გობზე დაალაგებდნენ. ტყეში და საერთოდ სახლიდან მოშორი-ბით მუშობისას მოკვეთილ სარაჯს გუდა-ხოკეაში ალაგებდნენ.

ს. ზემო-სურებში ჩაწერილი მასალით (დ. კიკვაძე) ამოჭრილ სარაჯებს ცარიელ ფიჭა მოაცლიდნენ, ხოლო საგეს დაასარისხებდნენ—თეთრი ფერის სარაჯებს ცალკე დაალაგებდნენ. სკემელ თაფლად, ხოლო შავი ფერის სარაჯს არის გამოსახდელად მოიმარაგებდნენ.

დამტისაგან დაცვის მიზნით გურიაშიც სცრდნიათ სარაკუნას დადგმა; ასეთი სარაკუნა დაშლილი სხით ს. ვაკისვარში აღმოჩნდა.

ძვე (კი შავი რ ე ს ე ს ძ ე გ ი ღ რ გ ა ძ ე, 86 წლ.) თაფლის შესანა-ჟურკლად მხარიობდნენ ჭალიკას—თიბის დიდ ჭურქელს, რომელშიაც ერთი-ორი ჭუთი თაფლი ეტევა. მას მოსდევს დოჭი (3—5 ლიტრა) და ბოლოს ლა-გრა (1—1,5 ლიტრი).

გურიაში დაგრინდა თაფლ-სანთლის დაწერების რამდენიმე წესი. ამ მხრი-ვაც გურული მასალა გარკვეულ თავისებურებას წარმოაჩენს.

ს. ორაგვეში ჩაწერილი მასალით (ი. უ რ უ შ ა ძ ე) თაფლის დასაწურად-ძევლად საგანგებოდ იწენებოდა მრგვალი, შუაში ოდნავ ჩანერქილი ჩელთი-რომელზედაც დაალაგებდნენ ამოჭრილ სარაჯს და რომელსაც ქვეშ გობს-შე-უდგამდნენ, ასეთი წესით თაფლი 2—3 ლილი განმავლობაში თავისთავად იწუ-რებადა; ასე მიღებული თაფლი „პირველ თაფლად“ ითვლებოდა. 2—3 ლილი შემდეგ ჩელტეში დარჩენილ თაფლიან სარაჯს ხელით ამოსწურავლენ და თო-ნაწურს—ნაბაჟას (ასევე ეწოდება აქ ნიგბის ამონაწურს) გადააღნობდნენ, საწური ტომარაში—ჩახვები გაატარებდნენ და სარაჯებში დარჩენილ თაფლს ამ წესით გამოაცლიდნენ. ჩახვები დარჩენილ სანთელსა და ცუხს, გადადულებისა და ჩახვები ხელმეორედ გატარების შემდეგ, დაცალკევებდნენ.

თაფლის დაწერების ასეთივე წესი დამოწმდა ს. ზემო-სურებში (ალექ-სან დ რ ე ი ვ ა ნ ე ს ძ ე ბ ა რ ა მ ი ძ ე, 59 წლ.). აქ თაფლის დაწურების მიზნით სარაჯს ჩამოქილებულ გოდორში ალაგებდნენ, რომელსაც ქვეშ გობი ჰქონდა შედგმული. მიუხედავად იმისა, რომ სარაჯის დაწურებას ზემოაღნიშული წე-სით დიდი ტრო ესპირონებოდა, იგი შინებული იყო კარგი თაფლის შილების-საჟუკეთესო საშუალებად.

გურიის დანარჩენ საფულებში (ვაკისვარი, ნაბეღლავი და სხვ.) სარაჯი დაწურების წინ მის შეთბობას აწარმოებდნენ. სოფ. ვაკისვარში, მაგალითად, სარაჯს ჯერ კარდალაში ჩიყობდნენ, ლაფერით ან სუთით (ზემო-სურებში ღო-მის ჩუნით) ჩიყულებულენ და ცეცხლზე მოათბობდნენ. სარაჯის მოთბობის შემდეგ სანთელს ხელით ამოსწურავლენ და ამ გზით მიღებულ გორგოშებს ცალკე გობზე დაალაგებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ შემთბარი თაფლი ზედაპირზე მოიგდებდა ზაფხი (ზემოსურებში ზარგვი); მასაც ხელით მოაცლი-

დანენ და გორგოშებს მიუმატებდნენ. ამგვარად, აქ დადგენილი წესით, თაფ-ლი ჩახეში არ ტარდებოდა.

ს. ნაბეღლავში ქვაბში შემთხარ სარაჯს წთაფლ-სანთლიანად სააშისოდ კანაფისაგან მოქსოვილ ჩახეში გაატარებდნენ და ამ წესით გამოსწურავდნენ ათაფლს. ჩახეში ღარენილ მასას, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში ხელით



სურ. 8

ამოწურულ გორგოშებსა და ყაყვს, ძლიერ ცეცხლზე შესდგამდნენ და მაგრად აადუღებდნენ. ადუღებს შემდეგ თხიერ მასას იმავე, კანაფისაგან მოქსოვილ, ჩახეში გაატარებდნენ. რომელიც ან ჩამოკიდებული იყო, ან ადამიანს ეჭირა ხელით. ორი დამზარე კაცი ორი ბოლოში გადაბმული კეტის—შანკოების საშუალებით სწურავდა სანთელს.

ზოგ შემთხვევაში (მაგ., ზემო-სურებში) ხელით ამოწურულ სანთელს მის გადაღნობამდე თბილ წყალში გარეტავდნენ და ნარეცს არეს გამოხდისას ჰიბარობდნენ. დაწურულ სანთელს სხვადასხვა პურპელში ინახავდნენ, უმთავრე-სად კი გობსა და თიხის ჯამში.

მხოლოდ ს. ვაკისჯვარში (ქ. გიორგაძე) აღმოჩნდა სანთლის ჩასახე-შელი თიხის ჭურჭელი სახელწოდებით ჰპარა, რომელსაც ძელიად საგანგებოდ

სანთლისათვის ამზადებდნენ. სპარა სხვადასხვა ზომისა იყო, ჩვეულებრივ კა სამი-ოონი იყის მოცულობისა.

სანთლის დაწურვის შემდეგ ჩახში რჩებოდა უვარგისი მასა ცუნის სახელ-წოდებით. ოუ მეფუტკრე ბეჭითად დაწურავდა სანთელს, დარჩენილი ცუნი სრულიად უვარგისი იყო. სანთელი სშირად შეჯითად არ იწურებოდა და ცუხს საქმაო რაოდენობის სანთელი გაჰყვებოდა ხოლმე. სანთლის დიდი რაოდენობით შემცუელ ცუხს ყიდულობდნენ საცუხ ჭახაკების მეტატრონები—მეტცუხები, რომებიც ცუხში დარჩენილ სანთელს საგანგებო მოწყობი-ლობის საშუალებით სწურავდნენ.

ს. ზემო-სურაბში, მაგალითად, ცნობილი მეცუხე ეფრე მ ბარამიძე იყო. მას მუდმი ჰყავდა დიდი რაოდენობით ფუტკარი და თაფლ-სანთლის. დაწურვის შემდეგ ბლომად რჩებოდა ცუხი. ამის გარდა იგი სხვა მეფუტ-კრებისაგან ყიდულობდა ცუხს და სწურავდა საცუხ ჭარგვალი—დიდი მორებისაგან. ამისოდ ე. ბარამიძე ენოში ეღდა საცუხ ჭარგვალი—დიდი მორებისაგან. მევიდრად ნაგები ზენობა, რომელშაც დაცუხებული იყო ჭახრაკი. ამ ჭახრაკის ერთი ძირითადი ნაწილი ოჯახში დაცული აღმოჩნდა.

ეფურების შეულლის, აქ ს. ვნიდლის თქმის, ეს ჭახრაკი ზემო-სურებში არ არის გაეყობელი. მაგრამ ამ ჭახრაკე უწინაერეს ე. ბარამიძის ოჯახში სხვა ჭახრაკიყოფლა, რომლის ერთი გაცემითილი ნაწილი ეხლაც ლობის მარგილადა გამოყენებული. 17 წლის მართას, ამ ოჯახში რომ შემოსულა, ეს ძეგლი ჭახრაკი დახვედრია.

პირველი ჭახრაკის მოტანის ადგილი ცნობილი არა; რაც შეეხება მეორე ჭახრაკს, იგი „გამიდანაა“ მოტანილი (როგორც ეტყობა ს. ზოტიდან).

საცუხ ჭარგვალი ოთხეუთხი შენიბა, მთლიანად მუხის დიდი ძელები-საგან ნაგები. განსაკუთრებული ყურადღება საცუხ ჭარგვლის აგებისას ჭარ-გვლის საძირკვლის ექცევლა, რადგან ჭახრაკის მუშაობის მთელი სიმძიმე მას აწვებოდა.

საცუხ ჭარგვლის საძირკვლის ამოლებული ქქონდა 2 მუხის ძელი, რომელთა ერთ ბოლოებას დასმული იყო ვერტიკალურად 2 მაღალი სევტი, ასე-ვე მუხისაგან გამოთლილი. ეს ორი წყვილი კუთხურად დაყენებული სევტე-ბისა წიგნითადგენდა ჭახრაკის მყარ ჩარჩოს. ვერტიკალურ სევტებზე 1,5 მ სიმაღლეზე და საძირკვლის ძელების პარალელურად დამაგრებული იყო კი-დევ ორი ძელის ბოლო, რომელთა მეორე თავისუფალი ბოლოები ამოლებული — იყო მოპირდაპირ კედლელთან საძირკვლის ძელებზე დაბჯენილი ჭახრაკის თა-ვის ქვეშ. ეს ბოლოები ჭახრაკის თავთან ერთად მოძრავი იყო. ჭახრაკის ფე-ხი ამოკვეთილი ფერცებით ამოლებული იყო ქვედა ძელებს ქვეშ და ამდენად ქვევიდან ზეგით მოქმედ ძალას არ შეეძლო მისი ამოგდება.

თითონ ჭახრაკის სიმაღლე 2,5 მეტრს უდრიდა. ჭახრაკის ფეხის სიმაღ-ლე 10 სმ უდრის, ხოლ კვეთი 20 X 25 სმ. ფეხს მოჰყვება ექსკუთხად გა-მოთლილი ამავე კვეთის სევტი 76 სმ სიმაღლისა, რომელსაც დატოვებული ჰქონდა ორი განივი კვეთი სახელურის გასაყრელად. ამ სახელურების მე-

შევეობით წარმოებდა ჭახრავის ტრიალი. ექვსკუთხა სცეტი შემდეგ გიღადიოდა ჭახრავში, რომლის ქბილთა შორის მანძილი 10 სმ არ აღემატებოდა. ჭახრავს ბოლოში დადგმული ჰქონდა ხის ბალიში—ჭახრავის ზომაზე გახერხული რთხული მოკლე მორი. მორის ბუდეს შიგნით ჭახრავის კბილისოდენა ხრამი ჰქონდა დატოვებული. ჭახრავის დატრიალების შედეგად ჭახრავის თავი ძირს მოატევდა, აწვებოდა მცს ქვეშ ამოდებულ ორ ვერტიკალურ ძელს, ძირიდა 1,5 მეტრის სიმაღლეზე პირისონტალურად დაყენებულს, რომლებიც, როგორც აღნიშვნა, მორი ბოლოთი მოპირდაპირე კელელთან დაყენებულ ძელებზე იყო დაბაგრუბული.

ასეთი იყო ჭახრავის ძირითადი მექანიზმი. ცუხის საწური წარმოადგენდა ძა ძირასტრეტილ დიდ ყუჩას, რომელიც ქვედა ძელებზე იყო დაყრდნობილი. ამ ყუთში ცუტენდა ლაგდებორთივა და ცუხი. ყუთის ავსების შემდეგ ყუთში მოთავსებულ ცუხსა და თივის შეკილინ ფიცარს დააფარებდნენ, რომელსებაც შედგამდნენ ვერტიკალურ სეეტს ისე, რომ ეს სცეტი ჭახრავის ატრიალების შემდეგ ქვედა პირისონტალური ძელების დაწოლის ქვეშ მოქმედიყო. ყუთს შედგმული ჰქონდა სანთლის ჭურჭელი, რომელშიაც სანთელი გრიფებორდა.

აქ სხვა მემცურებებიც იყვნენ, რადგან ცუხი ისეთი რაოდენობით გროვდებოდა, რომ გასატანადაც ჩემი გამოიყენდა. თავის დროშე დიდი რაოდენობის ცუხი გურათურელ იყ ან კაიჭაძეს გაძეონდა და თავის სოფელში ჭახრავით მიუშევებდა მას.

როგორც ზევით დაგრძეშუნდით, გურია წარმოადგნდა მძლავრად განვითარებული მეფუტკრეობის კუთხეს. მიღებული თაფლისა და სანთლის რაოდენობა არამეტა ფარავდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, არამეც საგრძნობლად სჭარბობდა კალეც მას. ამის გამო გურული თაფლი და სანთელი საჭარბო რაოდენობით გაღილდა გურიის გარეთ. თაფლი გაქონდათ ახალციხეში, ფოთში, ხოლო სანთელი—ბათუმშა და ფოთში.

გარდა იმისა, რომ სანთლის გარევეული რაოდენობა ხატ-სალოცავებს ხმარდებოდა, მას იყენებდნენ საოჯახო დანიშნულებითაც. ოჯახში სანთელი საჭირო იყო განათებისათვის, ძაფის გასასანთლავად, ჭურჭლის დასაქრებულად, ჭურის გამოსავლებად (ათურეთიან ჭურის ერთი კილო სანთელი მაინც დასჭირდებოდა).

ს. ორაგვეში დადგინდა (ი ე ს ე გ ე რ ა ს ი მ ე ს ძ ე უ რ უ შ ა ძ ე, 72 წლ.), რომ მეთევზები სანთელს, ან ცუხს ხმარობდნენ სითევზონ ბადის გასსანთლავად — მოქსოვილ ბადეს ან საამისო ძაფს აღუღებულ სანთელში ხარშავდნენ.

იცოდნენ აგრძელებ სანთელის ჭურჭლის გაეთება. ს. ვაკისჯვარში (ქი შ-ვარდი ი ე ს ე ს ძ ე გ ი ო რ გ ა ძ ე, 85 წლ.) აღმოჩნდა სანთლის ჭიქა-ლამბაქი, რომელიც სანთლის არყის ჭურჭლად იმარტება და ამ სასტელს სპეციფიკურ გემის აძლევს. ს. ნაბეღლავში (დიომიდ ე გ ი ო რ გ ი ს ძ ე მ ა მ ა ლ ა ძ ე, 83 წლ.) სანთლისაგან ყანწებსაც კი აყეთებდნენ. სამისონდ ყანწელი ჭყლითა და საპნით გარეცავდნენ, შემდეგ ცო წყალში დასცვებდნენ და აღუღებულ სანთელში ამოავლებდნენ ერთხელ. სანთლის გაცივების შემდეგ

ყანწს ნელ-ნელა ამოილებდნენ სანთლის ბუდიდან ისე, რომ უკანასკნელს ფორმა არ დაეკარგა. იქვე იცოდნენ ხილის შესანთლვა—დიდ ხანს არ გაფუჭდება.

ამასთან ერთად სანთელი შეწირულების საგანსაც წარმოადგენდა. მეფუტკრეები დიდი ჩაოდნენობის სანთელს სწირავდნენ, მაგ., ჯუმათის მთავარანგელონს და სხვა სალოცავებს.



სტ. 9

სანთელი გურიაში, ისევე ჩოგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საქურნალო საშუალებადაც იხმარებოდა.

ქვემ-ჩიბათში ჩაწერილი მასალით (სილვან ან ტონის ძე მარგალიტაძე; 56 წლ.) სანთელს მაწერდნენ სიცხის გამზინელებისა და ოვალის სიწილის მორჩენის უნარს. აქვე, მუცილის აშლილობით დაავადებულ ან სანთლის ნაცერს შეაჭმევდნენ, ან

სანთლის კვერს; ზოგჯერ ამ შემთხვევაში იცოდნენ წაწილის შეწვა სანთელ-ში—მუცილი დაავადებულმა რომ შექამოს, მოაჩენს.

ლანჩხუთში (ა რსენ ბესარიონის ძე ე გ რა ლი ძე, 81 წლ.) ზეთში გადადულებული სანთლით დამწერობას მკურნალობდნენ და სანთლის არაყს კაჭის დაავადებისაგან განკურნების საშუალებად თვლილინენ.

ს. ორავეში (ვასილ ხარალამბერეს ძე ურუ შაძე, 59 წლ.) ცუხსაც ხმარობდნენ წამლად: მეძუძურ ქალს (ან ძროხას), თუ კუის ქარი გაუჩნდებოდა (რძის დაგროვების შედეგად), მტკიანა ძეძუს თბილი ცუხით შეუფუთნავდნენ; აქვე ცუხს ხმარობდნენ წამლად მუწუყის დაწითების მიზნით, დამოწმდა აგრეთვე სხვა დაავადებათა მკურნალობაც გაცემებული ცუხის საშუალებით.

ს. ვაკისჯვარში (ლომინა წიკოლოზის ძე თხილა იშვილი, 88 წლ.) ცუხით ნაჯაყებეს (ნაღრიმიბს) მკურნალობ დნენ—ნატენ აღიალას თბილ ცუხს დაადებდნენ და მაგრად შეუკრივდნენ.

გარდა იმისა, რომ თაფლი ოჯახს ხმარდებოდა, ხოლო მისი დიდი ნაწილი გაჭრობის საგანს წარმოადგენდა, თაფლი იხმარებოდა აგრეთვე სამკურნალოდაც.

გურიაში არა ერთგზის ჩაწერილი მასალით მელოდიები და ფეხმძიმე ქალების საუკეთესო საჭმლად თაფლ-ნავიში ითვლებოდა (ირი წილი წყალი, ერთი წილი თაფლი და ერთიც—ფეხილი), შემზადებული ფაფის მაგვარად; ძველად ამ ხავიშს ღვინოსა და ღომის უმატებდნენ ხოლმე.

თაფლის წაცება იცოდნენ აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს პირში მუწუყებს დააყრიდა. ამით დაავადებულ საქონელსაც თაფლით მკურნალობდნენ.

თაფლი იხმარებოდა როგორც შემადგენელი ნაწილი სხვა მრავალი წამლისა.

მეფუტკრეობის მნიშვნელოვან პროდუქტს გურიაში სანთლის არაყი წარმოადგენს. სანთლის არაყის აქ ე. წ. „სანთლის წევნისაგან“ ხდან, რომელიც არსებითად თაფლ-წყალს წარმოადგენს. გურიაში სანთლის არყის დამზადების ყველაზე გავრცელებულ წესი შემდეგია: შემთბარი სარაჯებილან გორგოშებად ამოწურულ სახულეს, ვიღრებას გადაადგენებენ და ჩახვში გატარებენ, ბევრი თბილ წყალში გარეცხვენ ხოლმე და ამგვარად გაყილელ თაფლს გამოაცლიან. ეს გორგოშების ნარეცხა თაფლ-გარეული წყალი სანთლის არყის დამზადების ძირითადი მასალაა. გარუა ამისა გორგოშების გადაულებისა და გამონარი მასის ჩახვში გატარების შემდეგ სანთლის მოყვება თაფლის ის ნაწილი, რომელიც გორგოშების გარეცხვის შემდეგ მაინც დარჩება. იმ თაფლს, რომელიც სანთლის გაყვება მისა ჩახვში გატარებისას და ცალკე დაგროვდება სანთლის გაცივების შემდეგ, გურიაში სანთლის წევნის უწოდებენ (ზემო-სურებში მას თიხარე ეწოდება); აქედან უნდა იყოს წარმოშობილი სანთლის არყის სახელწოდებაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფაქტურად თაფლის არაყია.

გორგოშების ნარეცხისა და სანთლის წევნის შილების შემდეგ ნაზავს დააყენებდნენ ისე, რომ ყრთი წილი თაფლი ყოფილიყო და ორი წილი წყალი. საპირო კონსისტენციის თაფლ-წყალის მიღების შემდეგ მას ქვეებში მთავავს ებდომენ და ადულებას დააცლიდნენ. ადულების დაწერების შინწით ამ მასას მცირეოდნენ ცუხს მიუმატებდნენ, რომელსაც ჭრი ურევა და ამდენად დამჟავების კარგ საშუალებას წარმოადგენს.

საარყე მასის დუღილის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თაფლისა და წყლის შეფარდებზე, ქოს რაოდნობაზე, ამნიციზე და სხვ. მზადყუთნებს ზოგი სუნით ატყობდა (ს. ნაბეღლავი, ბ. კორ აშინა ა. ე.), ზოგი ფერის მიხედვით (ს. ზემო-სურები, ც. კიკვა ა. ე.), ზოგი ხსარობის მხედვით (ს. ნაბეღლავი, დ. მამა ა. ე.). პირველ შემთხვევაში სიმუავეს უყურებდნენ და, რომ შეატყობდნენ, დუღილი კლებულობს, ნაშინვე შეუცებოდნენ არყის გამოხდას. მეორე შემთხვევაში ფერის დაწერებას ელოდებოდნენ და, ვიდრე მასას „არეული“ ფერი ჰქინდა, გამოხდას არ უუცებოდნენ. მესამე შემთხვევაში—არყის გამოხდას შეუცებოდნენ მაშინვე, როგორც კი სითხე ნელ-ნელა ფუყუც დაიწყებდა და თხლე რომ დაიკრიფტოდა ჭურის ძირში.

სამი ბათმან თაფლის წევნიდან 8 ბოთლი კარგი სარისხის არაყი გამოდიოდა. პირველი ბოთლი ისეთი მაგარი იყო, რომ ძეწვეს არც კი იყიდებდა. მეორე ბოთლიდან მოყოლებული არაყი დაიწყებდა ძეწვეს მოკიდებას და ბოლოს (მეტხე ბოთლიდან) ქაფს მოიგდებდა ხოლმე, ეს უკვე რახად ითვლებოდა და არყის სათვალავში არ შეძიოდა; თუ მეფუტკრეს კიდევ ჰქონდა გამოსახდელი არაყი, იგი ამ რასს გადაბრუნებდა, თუ არად გადაქცევდა მას ან საარყე ჭურელის გამოსარეცხად დაიწოვებდა.

მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩევლებათა შორის პირველ ყოვლისა ღლანიშვანია ფუკობა, როგორც ფუტკრის სალოცავად განკუთხნილი საგანგებო ღლა.

ს. ქვემო-ჩიბათში ჩაწერილი მასალით (ი. პატარაია) როგორც თელორობა დღეს იცოდნენ ცხენის ლოცვა და ილორობაზე საქონლის ლოცვა, ასევე იცოდნენ ფუტკრის მოლოცვა ფუქობას. ს. გომშიაც (ლ. გიგინე ი-შვილი), ძველად არსებული რწმენით, ფუქობა ისევე იყო მიჩნეული ფუტკრის სალოცვა დღედ, როგორც ილორობა საქონლის სალოცვაც დღედ.

რომ ფუქობა გურაში ფუტკრის სალოცვაც საგანგებო დღედ იყო მიჩნეული, ეს დამოწმესული ქვემო-ჩიბათშიაც (ს. მარგალიტა ეკ), ლანჩხუთშიაც (ა. ებრალი ი ძე), ვაკისვარშიაც (უკვე მოსხენებული ლომინა თხილა იშვილი) და სხვა შრავალი აფრილას.

ფუქობა, როგორც ეს დადგინდა ყველა მასალების ერთპირი წენებით, დღიდმარხეის შეუ თახშაბათს სრულდებოდა.

ამ დღის აღსანიშნავად გურული მეფუტტერები საგანგებო რიტოალს ასრულებდნენ. ყოველ შეფუტტრეს ამ დღისათვის უნდა გამოიცემო რამდენიმე (ან ერთი მანიც) თაფლიან ჭადა. მხოლოდ სუფსაში (გვაკი ნ გვაკი ძ ის ჩენებით) იცოდნენ ამ დღეს ჭადა-პურის—თაფლიან პურის გამოცხობა, ისევე როგორც ლანჩხუთში (ა. ებრალი ი ძე) სცოდნიათ ჭელად თაფლიან ჭვავის პურების გამოცხობა. მიზენელვად იმისა, თუ რისი ფეხილისაგან კეთდებოდა ეს ნამცხვარი, მისი დამშალების მიზნით ფეხილს თაფლიან წყალში აზელდნენ და დატანდნენ იმდენ თაფლს რამდენსაც ცომი აიტანდა.

რიტუალური ნამცხვარი ჩენელებრივი ჭადის მოყვანრლობისა ბყო. ს. ვაკისვარში (ლ. მდინარა ძე და ქ. გიორგი ძე) დამოწმეს, რომ ამ თაფლიან ჭადს თითით ან ჩხირით „დატენიდნენ ფაქის შაგვარად“—ო.

თაფლიანი ჭადების რაოდენობა ოჯახის შეძლებასე და ფუტტრის სიმრავლეზე იყო დამოკებული.

ლანჩხუთში ჩაწერილი მასალით მეფუტტერები ამ დღეს გააწყობდნენ სუფრას, დაალაგებდნენ ჭედ თაფლიან ჭადებს და სანთლის არაყის; სუფრას ჩამოურიგებდნენ ანთებულ სანთლებს, ანთებულ სანთლებს დააკრავდნენ აგრეთვე სახლში კარებოდან მარჯვენა ტელებზე. შეუ ცუცხლთან მდგარი ჭუდ-მოხდილი მეფუტტრე პირს კარისაკენ იძამდა და ფუტტარს მოილოცვადა: „ბატონ შეფუკე, გამიმარვლე ფუტტარი“—ო. „ბატონ შეფუკეს“ სახლში ლოცვა საერთოდ გაყრცელებული იყო გურაში, თუმცა იქ-იქ ფუტტრის მომარვებას სხვა სალოცვასაც თხოვდნენ ხოლმე. ს. ვაკისვარში მაგ. (ლ. თხილა იშვილი), ფუტტრის მომრაგლებას ღმერთსა სთხოვდნენ, ხოლო ს. ნაბელ-ლავში (ლ. მამალა ძე)—იმბას.

მეფუტტერები, რომელთაც ფუტტარი აგვართში ჰყავდათ, სალოცვად ამ საფუტტერეშიაც მიღიოდნენ (ლანჩხუთი), მიქეონდათ თან თაფლიანი ჭადები, სანთლის არაყი, სანთლი, ფუტტა; ზოგს რამდენიმე მახლობელი მამაყაცი მიჰყავდა საფუტტერეში სალოცვად.

ს. ნაბელ-ლავში ჩაწერილი მასალით (ლ. მამალა ძე) ის მეფუტტერები, რომელთაც ბუქები ხევბზე პერნდათ შემოწყობილი, სახლში დატოვებულ 2—3 ძირ ფუტტართან მივიღოდნენ ზემოხსნებული შესაწირავით, ფუტტარს „მოილოცვილენ“ და გიღელაში ჩალაგებულ შესაწირავს ეჭვე მახლობლად დებდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემასსენბულ თაფლიან ჭადა შეფუტკრე უდაა რიბეს შეზობლებსაც უნდა შეიღილებდა (ს. ორაგვე, ვ. ურუშაძე). ზოგ ადგილას (ლანჩხუთში, ა. ებრალიძე) მეფუტკრესთან ფუკობა დღეს საგანგებოდ მიღიოდნენ მოქეთე-მეზობლები თაფლიანი ჭალის საჭმელად; ზოგ შემთხვევაში (ს. ვაკისჯვარი, დ. მზინარაძე) მეფუტკრეები ამ დღეს საგანგებოდ აცხობდნენ დიდ კეტზე სასტუმრო თაფლიან ჭადას სერთოდ მიღებული იყო, რომ ეს თაფლიანი ჭალი რაც შეიძლება მეტ ხალხსა რევენდა.

ძეველად არსებული შეხედულებების შესაბამისად ფუკობა დღეს, ზემოაღნიშნული რიტუალის შესრულების გარდა, საჭირო იყო რაიმე საფუტკრე საქმის გაეთება: ამ დღეს იყოდნენ ბუკის გამოთლაა ან უკვე გამოთლილი ბუკების შემოწყობა ხებზე, „გაცოცხლებული“ ბუკების დათვალიერება და დასუფთავება, ე. ი. რამე სასკე საჭმის გაეთება ან ყოველ შემთხვევაში ამ საქმის დაწყება, ამ მოსაზრებით, რომ, თთქმის, ამის შედეგად უუტკრის საქმე მთელი წლის მანძილზე კარგად წარიმართობოდა.

რაც შეეხება საბუკე ხის მოკრას—ამაზე სხვა წესები ვრცელდებოდა.

ს. ზემო-სურებში მასალები ფუკობის შესახებ ვერ იქნა მიკლეული.

მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩერეულებათა შორის აქაც ფართოდ და საყოველთაოდ იყო გაფრცელებული ფუტკრის ყრის ღრის რკინის არაკუნძბა, თოფის სროლა, შიწის შეყრა, წყლის მოპეურება და სხვ., როგორც მაგიური საშუალებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფუტკრის დატოვებას საფუტკრეში.

ამათან ერთად ქვემო-ჩიბათში, მაგ. (ს. მარგალიტაძე), აბლად გავსილი ბუკის ზედა ყბაზე ჯინქარის დაალაგებდნენ და ცულით დაკეპვდნენ მას; ამ ღრის მეფუტკრე დაიძიხებდა: „დედო სკაი აქანია, უუუ“. ჯინქარი აერთვალის საჭინააღმდეგო მაგიური საშუალებად ითვლებოდა.

მაგიური ხასათის შეძახილებს წარმოადგენდა აგრეთვე ამავე მიზნით წარმოოქმული: „ცხვარი, ცხვარი, ცხვარი—ვითომ აბლად ნაყარი ფუტკარი ცხვარიეთ დამჯდარი იქნება, შინ დარჩება და ხალხს არ დასუსხავს. ზოგჯერ (ლანჩხუთი, ა. ებრალიძე) ფუტკრის შინ დატოვების მიზნით იმ მოქმედებასთან ერთად, რომელიც აყდრის მიმტკაცას წარმოადგენდა. (რკინის არაკუნძბა, წყლის შეპურება და სხვ.) იყოდნენ შეძახილი: „დედო სკაი ბუკ-შიაო, დედო სკაი ბუკშიაო“.

ფუტკრის დაწელება აქაც დიდ „ცოლოდ“ ითვლებოდა. გურული მეფუტკრეებით გაკვირვებით ყვებიან ქომულებულების წესს, რომლებიც ფუტკრის მოწველის დროს სამჩნევედ, ე. ი. სათესლედ, მსოლოდ 10—20 ძირ ფუტკარის მოიტოვებდნენ, დანარჩენს კი ღუბავდნენ.

ბუკების ავი თვალისაგან დაცვის მიზნით, ს. ორაგვეში იყოდნენ ბუკების დატოვება ტყეში და მათი შებეკვნა დალევობაზე (ქ. სტ. 31 აგვისტოს წინა ღამით). ავი თვალისაგან თვეის დაცვის მიზნით გურიაში სცოდნათ სანთლით შებეკვნა ყველა იმ მიეკერისა, რომელსაც ამგვარი საფრთხე მოელოდა. ამ მიზნით, სანთლის ნაჭირისაგან გამოქნილ პატარა ჯვარს დააკრავდნენ სახლის კარს, საწინაშელს, საქონლის სადგომს, გვნაზის კარს; გარდა ამის იყოდნენ.

ადამიანის „შებეჭვნაც“ სქესისა და ასევის განუჩევლად; ეს წეს-ტელულება სრულდებოდა ხარის მიმართაც; „შებეჭვნა იციონენ აგრეთვე სამი ძარი ლომისა, სიძინდის კოტას და ამასთან ერთად ბრკისაც.“

ს. ზემო-სურებში ელიობას (ძვ. სტ. 20 კიორიკობის თვე), საერთო წეს-სად ჰქონდათ პაპაჯვრის გაეტება იელის ორტებისაგან. პაპაჯვარს მოათავ-სებდნენ ყანაში, სახლის სახურავზე, სამეურნეო ნაგებობებზე; მას დაასაბ-დნენ აგრეთვე საფუტრერშიაც. ამ დღეს დააცხობდნენ თაფლიან კვერებს, რომ-ლებსაც ჩაალებებდნენ გილელაში და ჩამოჰკიდებდნენ სხვადასხვა სამეურ-ნეო უბანზე. ასეთივე გილელა ჩამოჰკიდებული უნდა ყოფილიყო საფუტრე-ზიაც.

ბავშვები და მოზრდილები ამ სალამოს დაანთებდნენ ცეცხლს, ხტუნაობ-დნენ ზედ და გაიძახოდნენ:

„ჯვარი აქა კუდიანო,
შენი სვი და შენი ქამე,
ჩემსას ჯვარი დამიწერე“.

ამავე მიზნით საფუტრერში კიდებდნენ ეკლისაგან მოწნულ გორგალს; ასეთი ეკლის გორგალი უნდა დაეკიდათ მეურნეობის სხვა უბნებშიაც.

ფუტკართავ დაკავშირებულ წეს-ჩერელებათა შორის იღსანი შნავია ის მინშვნელობა, რომელსაც ანიჭებდნენ დევლად გურულები ფეხის მღლომარე-ობას ბუკის გამოთხვის დროს.

გარდა იმ დღისა, რომელიც საგანგებოლ ფუტკრის სალოცავად იყო მიჩ-ნეული, გურულ ტეფუტრებებს წესიად ჰქონდათ მიღებული სხვა დღებშიაც გარეველი შესაწირავის გაძილება. ს. გომში ჩაწერილი მასალით (ლ. გ გ ი-ნე ი შვილი) აქ მეფუტრები ბარბალობა დღეს (ძვ. სტ. 4 დეკემბერი) შემო-ქმედში ლოცვას ასრულებდნენ ფუტკრის მომრავლების მიზნით და შეპირებუ-ლი რაოდენობის სანთელს სწირავდნენ მას.

მეფუტრებისათან დაკავშირებულ წეს-ჩერელებათა შორის, აქაც, ისევი როგორც საქართველოს ზოგ სხვა რაობნში, მნიშვნელოვანა დაგილი ჰქონდა დათმობილი თავისებურ შეხელულებას სხვადასხვა ჯიშის ხეზე. ს. ქვემო-ჩიბათ-ში (ი. ვა ტა რა ი ა) დადგინდ ცხემლის (ცხვილა) ალვეთა საზუյე ხელ; ცხემლა უბედურ ხედ იყო ჩინებული. შესაბამისად ამ წარმოლებენისა (ცხემ-ლაში დაბუდებული ფუტკარიც უბედურების მომტანად ითვლებოდა. ამ ხეზი დაბუდებული ფუტკრისთვის შემთხვევთაც რომ შეეხდა ადამიანი, ცრუ-მორწმუნეთა შეხელულებით მას რამშე უბედურება არ ასცდებოდა. ამის გამო ადამიანი, რომელიც ცხემლაში მოთავსებულ ფუტკარს შეხვდებოდა, ცდილობ-და ეს ფატტი სასწრაფოდ გადაეცა სხვისათვის; ამის შემდევ პირველად შემ-სცედრ ადამიანი იგი მიაძახებდა: „ფუტკარი ვნახე ცხემლაში“-ო. ამ თქმით ეს ადამიან თითქოს თავს იხსნიდა უბედურებისაგან, თუმცა ამავე დროს ამ ამბის მომსმენს არაეთთარი საშიშროებს არ უქმნიდა.

ზემოხსენებულ წარმოლებენათა შესაბამისად ცხემლაზე არც ბუქს შეს-დგამდნენ „გასაცოცხლებლად“ და არც ამ ხეში დაბუდებული ფუტკრის ნა-ჭოფს გამოიყენებდნენ, რადგან „უბედური ხის ფუტკარიცა და მისი ნაყოფიც ერთნაირად უბედურიან“.

ცხემლას არც სახლის მასალად წარმობდნენ, არც საოჯახო ნივთების გასაკეთებლად. ივი მხოლოდ დასაწევად იყო გამოსაღევი.

ასეონვე წარმოდგენი დადგინდა ლანჩხუთშიაც (ძ. ებრა ლიქ), სადაც თურმე ცხემლაში დაზოდებული ფულების ნახვასაც კი იბრძნიდა ადამიანი; „ცხემლა განსაკუთრებულად მარტო ცეცხლისთვის სმარობენ შესო“. ანალოგიური წარმოდგენის ქველად არსებობა ს. ორავეშიაც დადასტურდა (ერმალოზ სპარადონის ძე კვაჭაძე ე, 78 წლ.). ს. ვაკისჯვარში (დ. მდინარაძე); ფუტკის ყრას დრო სკა ცხემლას რომ დაეხვეოდა, ასეთ სკას თოვეს ქრონიცენ და „გააფუძნებოლნენ“. ანალოგიური წეს-ჩევულება ჩოხატაურის რაიონშიაც დამოწერდა. ს. ნაბეღლავში ჩაწერილი მასალით (დ. მამალაძე) ტყიურ ფუტკარს რომ ნახვდნენ ცხემლაში დაბინავებულს, ამ ხეს ცეცხლს მოუკიდებოლნენ და ზარს იტყოდნენ—„ზარი ხეს გადახდება და კაცი უბედურებას გადაჩინებოთ“. აქცე ცხემლას არც საბუკ ხედ ხმარობდნენ, არც სასკე ხედ.

ზემო—სურებში ამ შემთხვევაშიაც თავისებურება იჩენს თავს—წარმოდგენა უბედური ხის შესახებ აქ ვერ იქნა დადგენილი.

მეფისტოს მომავალისათან დაკავშირდულ წეს-ჩევულებათა სისტემში განსაკუთრებული ადგილი ეპირა მთვარეს. მეფისტოს მთვარეს ციკლის გარკვეული ეტაპები ორგანულ კავშირს ამეღავრებენ მთვარესთან.

ს. ორავეში (ვ. ურუშაძე) არჩევდნენ მთვარის ფაზებს, რომელთაც აქ ეწოდებოდა პირველი მთვარე, სავსე მთვარე და დალეული მთვარე. აქ, ისევე როგორც გურიის სხვა მრავალ სოფელში, სამასალე ხე და მათ შორის საბუკ ხეც ძველ მთვარეზე უნდა მოქმედოთ—ამ დღეს მოქმედი ხე, ხალხის წარმოდგენით, ვარგისიანი გამოდგებოდა. ზოგი ბუკის გამოთლასაც ძელ მთვარეს უფარდებოლნენ—ძელ მთვარეზე გამოთლილი ბუკი დიდხანს გაძლებს. ს. გომში კი (ლ. გიგინე იშვილი) ხის მოქმედი (მიუხედავი მისი დანიშნულებისა) მართალია ძველ მთვარესთან იყო შეფარდებული, მაგრამ ბუკის გამოთლას კი აპალ მთვარეზე აწარმოებოლნენ—ასეთი ბუკი მალე გაცოცხლდება.

ს. ვაკისჯვარში (ლ. თხოლა იშვილი) საბუკ ხის მოქმედი მხოლოდ იმ შემთხვევაში უფარდებოლნენ კარგ მთვარეს, როდესაც თხმელა იშერებოდა—თხმელამ დარკილდა იცის და კარგ მთვარეზე მისი მოქმედი მატლისაგან დაიცავს. აქვე (ქ. გიორგაძე) წაბლის მოქმედისას მთვარეს არ უყურებოლნენ—წაბლი მაგარია და მისი ხანგრძლივად შენახვა საგანგებო წესების შესრულებას არ მოითხოვს.

აქვე ჩაწერილი მასალით, ძველად არსებული წარმოდგენების მიხედვით, ყველა დღეები ორ ჯგუფად იყო დაყოფილი: წარმო და უკუნი. ახალი მთვარის პირველი სამი დღე (ორშაბათი—ოთხშაბათი) წარმოდ ითვლებოდა, სოლოუკანასკნელი სამი (ხუთშაბათი—შაბათი) —უკუნად; ძველ მთვარეზე კი პირიქით.

შესაბამისად ამ წარმოდგენებისა საბუკ ხის მოქმედი უკუნზე იცოდნენ—საუკუნიდ გასძლების, ხოლო ბუკების შემოწყობა წარმოშე—ბუკი აღრუ გაცოცხლდებათ. მსგავსი შეხედულების ძელად არსებობა ს. ნაბეღლავშიაც და-

მოწმდა იმ განსხვავებით, რომ აქ წარმოდ ითვლებოდა ახალი მთვარის სამშაბათი და ხუთშაბათი, ხოლო უკუნდ—დანარჩენი დღეები (კეირის გარდა, რომელიც არც წარმოში შედიოდა, არც უკუნში). ძველ მთვარეზე აქაც შებრუნებული სურათია. სამშაბათი და ხუთშაბათი ითვლებოდა უკუნად, ხოლო დანარჩენი დღეები წარმოდ.

გურიაში შეუკების შემოწყობის დღეც ბევრგან მთვარის მიხედვით განისაზღვრებოდა. ფუტობაზე გაალილ ბუქებს ფუკობის მომდევნო ახალი მთვარის პირველ სამ დღეში შემოწყობდენ. ასე იყო ს. ორავეში (ი. ურუშაძე) და ს. გავისჯვარში (დ. მდინარე); ამ უკანასკნელში ახალ მთვარედ პირველი სამი დღის მთვარე ითვლებოდა; 8 დღის შემდეგ ბუქების გათლა-შემოწყობა და მოხილვა აღვევთილი იყო.

მეფუტტერეობის წლიური ციკლის კავშირი მთვარესთან ზემო-სურების მასალაშიაც იჩენს თავს.

საახალწლო ბუქების არსებობა ძველიდ მხოლოდ ს. ორავეში დაღინდა (კ. ჩატუქაძე), აქ ჩატურილ მასალით სახლში მყოფი ბუქებიზან ერთი ძირი ფუტერიდ მანაკურებულ ძირი ითვლებოდა. მას წლის მანძილზე ხელს არ შეახებდენ და მხოლოდ ახალწლის წინა დღით მოიხილავდნენ. ამ ბუქების თავს მხოლოდ ოჯახის წევრები შექმადნენ—მისი ნაყოფის გაცემა—გაყიდვა აღვევთილი იყო. საახალწლო ბუქიდან აღმოგულ სან ჩელს მეფუტტერები ფერფიალება დღეს (ძ. სტ. 6 აგვისტო) ლვთაების ეკლესის სწირავ-დნენ.

საფიქრებელია, რომ ტყიური მეფუტტერეობის გურული ფორმის პირველში, სახლში რამდენიმე ძირი ფუტერის გაჩერება რიტუალის შესრულების მიზნითაც იყო შეპირობებული. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ საახალწლო ბუქე აქ სალოცავი ბუქი ეწოდებოდა.

მეფუტტერეობასთან დაკავშირებული გურული ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს დანარჩენ კუთხეთა სათანალო მონაცემების საყურადღებო პარალელების შემცველია. შედარებითი მასალის გათვალისწინება უკეთეს ხდის, რომ ამ შემთხვევაშიაც არსებოთად ერთ ტიპოლოგიურ მოკლენასთან გვაქვს საქმე. ამასთან ერთად, გურული ეთნოგრაფიული მასალა რიგი თავისებურებით ხასიათდება, რომელიც საქართველოს სხვა კუთხების ეთნოგრაფიულ მასალაში არ არის წარმოდგენილი. აღსანიშვანია ისიც, რომ გურული მასალა უფრო სრულად წარმოგვისახას საქართველოში მეფუტტერების ძველი ფორმების სურათს. ამ მასალის საფუძველზე შემდეგი წინასწარი დასკვნის გაეთხდა:

1. გურიაში დამოწმებულია ფუტტრის საცხოვრებელი ბინის არსებითად ერთი ტიპი—ბუქი, რომელიც ქართული გვჯის ძირითადი ტიპის სრული ანალიზია.

2. გურიის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დაღენილია საფუტტრის 4 სახეობა, რომელიც ხევსურულ საშინაო საფუტტერესთან და ქართლურ მოწნულ საფუტტერესთან ერთად საუთუტერეთა თითქმის ყველა შესაძლებელ ვარიანტს წარმოადგენს.

3. გურული ეთნოგრაფიული მასალის წყალობით შესძლებელი ხდება თაფლისაგან შაორობელა სასმელის დამზადების სრული სურათის წარმოდგენა, რაც გარკვეულ თავისებურებებს წარმოაჩენს საქართველოს სხვა კუთხეებში დაღენილ მასალასთან შედარებით.

4. გურული ფუკიბა საბოლოოდ გვარწიუნებს ფუტკრს საგანგებო მუსარველის არსებობაზი, რასაც გადამწყვეტი მიზიშვნელობა ენიჭება როგორც ქართული მეცნიერების ძველთაგან მომდინარეობის ერთ-ერთ საბუთს.

შვის დაგუშავება მთიულეობი

ქველი ხანის ქართული რიგის მშენებლობის ხერხების შესახებ ისტორიული წყაროები სკმიანდ უსკ მსალას იძლევა. მაგრამ საქართველოში სამშენებლო ხელოვნების სრულყოფილად წარმოდგენისათვის აუცილებელი ხდება ხალხში შემონახული ცოდნის დაწურილებითი შესწავლაც ¹.

ცნობილია, რომ ქართველები აღრიდანვე ქვითხუროობის დიდი ოსტატები იყნენ, ამიტომ ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდევილემ შემონახა ხაგრძლივი ტრადიციის მენენჯ ხერხები და მისი შესატყვევისი მდიდარი ტერმინოლოგია, რის შესწავლაც ნათელს ფქნს ამ დარგის ისტორიის ზოგიერთ ბუნდოვან სკოთხს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ქვის დამუშავების ხალხური ხერხების შესწავლა დალევანდელს ქართულ ეთნოგრაფიულ გარემოში, ჯერჯერობით მარტო არაგვის ხეობის ფარგლებში.

არაგვის ხეობაში არის ქვის დამუშავების ორი მნიშვნელოვანი ცენტრი: მთიულეთი და ქაისხევი („ქაისის ხევი“). ქაისხევის ქვის დამუშავების ხალხური ხერხები ცალკე ნაშრომშია განხილული, ხოლო მთიულეთის (არახვეთი, ქალა, დიდველი და სხვ.) ცეცხლგამზღვე კონისა და „კლდის ქვების“ დამუშავების ალგილობრივი—ხალხური ცოდნა წინამდებარე ანგარიშში არის წარმოდგენილი ².

I

„საკოხესა“ და „დიდველის ძირის“ ქვის საბადოთა შესახებ მთიულეთში მრავალი გაღმოცემა შემონახულია. საკოხედან დიდი მნიშვნელით დაშორებულ მთიულთა სოფულებში ხშირად უჩენებენ ამ საბადოდან წამოლებულ დიდ ლოდებს, რომელთა ზურგით ჩამოტანას მთიულეთში სახელგანთქმულ გმირებს მიაწერენ. ლეგნდებში შემონახულია კვალი „ტადელთა“ და „ცხავარელთა“ შორის ბრძოლისა ქვის მოპოვების თაობაზე: კადელები ქვის საბადოების ბატონ-პატრონად სთვლილნენ თაეს და ცხავარელებს არ აძლევდნენ მით სარგებლობის უფლებას.

¹ ივ. ჯავახიშვილი დიდ ანგარიშს უწევს ეთნოგრაფიული ხსნათის მსალას და ხშირად სტრიული წყაროებში შეცემული მშენებლობის ხელოვნების მრავალ საკითხს ხალხური ცოდნის მარაგით აქვეხს, იხ. მისი „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, თბილისი, 1946 წ., შესვალი.

² წართხულია მოსსენებად 1946 წ. 14 ღეკემბერს ეთნოგრაფის განც. სტრომაზე.

3. მასალ. ეთნოგრ., V

შემონახულია გადმოცემა ცხავატიდან „დიდველზე“ ამივალი, კლდეში გაქრილი ერთადერთი გზის ჩამკეტი ქვის კარის შესახებ, რომლის გალება მხოლოდ პადელი გმირი ქალის დედუნას ლონესა და სურეილზე ყოფილა დამოკიდაბული; მეორე თქმულებით დედუნას ჩამკეტილი ჰქონია ცხავატიდან დიდველზე გასასვლელი არ აგვის ხიდი. „დევგმირობის დროს“ დიდველზე ციხე ყოფილ მსხვილი ლოდით აშენებული, ნაიდაგს ბარაქიანი პურის მოსავალი უწლევია, ხოლო „სისხლის წყვის“ შემდეგ გავრანებული ციხე-სმაგრე საძოვრად ქცეული. ვფრქობთ, სწორედ ამ ადგილის შესახებ ამბობს ვაჟუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ღუდს ხევის ჩრდილოთ, არაგრძს ვალშა, არს დაბა ჟადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე, მის ჩრდილოთ არს ციყარა, ადგილი კლდოვანი და კ კოშკოვინი ვარემს“¹.

ცად აზიდულ „მაღალს კლდეზე“ ვაშლილი „დიდველი“ ნახევარკუნძულს მოვაგოჩებს; ჯვრის ულელტრილილი ხელისგულიერი გადაშლილს, რომლის ფრინველი კლდები კიდევბს სამი მხრიდან არაგვი და „წალის წყალი“ ესაზღვრება; მათ შესართავთან ხელაც არის „არაგვის ხიდი“ და დიდველზე ამავალი კლდეში გატრილ გზა, რომელსაც იმამიდ ადგილობრივი ბეჭოვრებინი და უმთავრესად ირაბერეთელი ქვისმთლელინილი იყინებენ. საქართველოს სახელმწიფო გზამ ამ ძველ გზას ჯვრის ულელტეხილზე ასავალის მნიშვნელობა სამუდამოდ დაუკარგა.

მთიულეოთში შემონახულია ქვის დამუშავების აღრინდელ სახეობათა მდიდარი კვალი: წესად ყოფილი კერძო პირთავან ხატებისათვის თლილი ქვის ჯვრების, ბარელიეფების, ნიშებისა და სხვა ამგვარი ქვის ჩახელავის შეწირვა, ხშირად საცოდისათ თლილი ქვის წყაროს კოშკ-აუზების აგება მიცვალებულის სახელზე და აგრეთვე ყოველ ცალკე გვარს საკუთარი ციხე ჰქონია, უცრბო გვარის კაცს მთიული ქალს არ მიათხოვებდა.

ხსნებულ ჩეველებათა საცურველზე შემორჩენილი ქველად ნაგები თარიღიანი თუ უთარილო თლილი ქვის ქეგლები ჯვრ კიდევ უხვად მოიპოვება ჭადა-ცავატის მიდამოებში, ხოლო ამებამდ აშენებენ მაღალი სკეტჩითა და ცხოველთა ბარელიეფებით შემკულს თლილი ქვის საცურველებელს თუ საზოგადო სარგებლობის ნაგებობებს?

მითულნი ასახელებენ ჩექერთმიანი ჯვრებისა და წმინდანთა ბარელიეფების შეკვეთით ანდა პირადი სურვილია შეანდაკებელ სახელგანთქმულ ქვის-მთლელებს, მაგ., არაცვერელ იყონ ბურდულს „ნიშთვაკეში“ აუგა ნიში და შეუწირავს საკუთარი ხელით გათლილი ჯვარი ქვისა. ქვისმთალელ იაგორ ბურდულს კაშაურის ეკლესიისათვის შეუწირავს შთლიან ქვაზე ნაზუქერთმევი წმ. გიორგის ბარელიეფი და მისივე სოფლის კიორაცხოვლის ეკლესიისათვის თლილი ქვის ჯვარი. ამავე ბურდულისათვის შეკვეთით წიფორის ხატისა-

¹ ვაზე მტკ, ალწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 66.

² ქაისევეისათვის დამახასიათებელი შეინიდნ და გარედან თლილი ქვით მოპირეობული დარბაზების შესავალისა და ბურტნის ქვების ჩექერთმ მზს გამოსიულების, გვიმეტრიული ორნამენტის ე. წ. ბერდაურის გარიცემის იდეულა, ნალი მთიულერი ნაგებობის შემკულობა უმ-თავერესად ცოდელთა ბარელიეფური გამოსახულებით ქმაროვილ დება.

თვის გაუკეთებინებით ჯვრი, რომელსედაც წმინდა გიორგი და ყოჩები ყოფილა გამოხატული და წარწერა: „ეს ნიში შევიწირე მე ნაეროზ ზექაიძემ ჩვენ სადლეგრძელოდ“. ლომისის გზაზე დაღმული ნიშიც არახვეოული ქვის მთლელის ნახელავი ყოფილა, სოფ. არახვეთის მცხოვრებთა შეკვეთით დამზადებული.

მთიულეთშივე იციან თხელ ქანებად დალაგებული კლდის ჯიშის ე. ჭ. სიპების გამოყენებაც საცხოვრებელი სახლის ბანების გადასახურავად, შიგნით ფილაქანის დასაგებად, საქონლის სადგომში „ზღავისა“ (ზღვე) და „დარანის“ გასკუთხობლად, კიბების, გრძელი სამებისა და სხვა ამგვარი საჭიროებისათვის. მასვე ხმარებენ კარმიდამოს შემოსახლულავადაც და სიპი ქვის მაღალ ლობებს იველებენ. მთიულთა ამ ჩვეულების შესახებ ვახუშტიც აღნიშნავს: „აუკა არს ქა, რომელიც აიყრების კლდისაგან ფიქალ-ფიქლად და ასხედს მას ქვასა სიბრტყეშებ ხშირად მუჭვავებრ, ვითრუა ოქრო და ვერცხლი ანუ ნარევი და ბერკუვინავი ფრიად. ივლებენ ამას ზღულეს გარემოთ და არს პატიონსნება მათ შინა ესე“¹.

¶ ქვას დიდი გამოყენება ჰქონდა მიცვალებულის კულტზიც. ძელებური სამარხების სახეობათაგან აქ უცვდებით სიპებისაგან შედგენილ ქვის კუბონებს, უბრალო ქვის მშრალი წყობით წაგებ „საკენბას“ ანუ ეკლდამებს, რომელთა შიგნით, სამ ან ორ რიგად, გრძელი „სიპის ბაქენები“ არის მოწყობილი მიცვალებულის დასასკენებლად. გარდა ამისა, შედარებით მახლობელი დროის სასაფლაოებზე „კუბონები“ და იშვიათად კი ქვის „მატურები“ არის მიწის ჰემოლან აღმირთული, რომელთა ზედაპირი და გვერდები უმეტეს შემთხვევაში მშისა და მთვარის ნარჩსახოვანი, ორავენტრით, ცხრის, ყოჩის, ირმის, ცხნისა და ადამიანით გამოსახულებებით არის მოწყობილობებით.

მთიულთა აღრინდელი ჩწმინით „სამზეოზე“ დადებული საფლავის ქვის გამოსახულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს „საქიონში“ მცხოვრები მიცვალებულისათვის. ამბობდნ: „როგორც აქ ქხედავთო, ისრე იქ უდგებაო დახატული რო არისო“, ე. ი. სამზეოს საფლავის ქვის გამოსახულებინი საიქიონს ნამდვილ მოსახმარ საგნებად იქცევიან მცვალებულსათვის. ამიტომა, რომ საფლავის ქვაზე მიცვალებულს გამოხატავეთ ძეირუასი ტანისაძინით, გაშლილი შუფრით (ბურ-ლვინით), საქავი ცხვრით და იმ სამზეონბისათვის საჭირო იარალით, რომელსაც ის „სამზეოზე“ ხმარობდა² (გუანინ, კამბალი, ლუქარლი და სალამური, ცხრი და თოფი, გონიო და ფარგალი, ქაფხა და გონიო, გრძემლი და მარწუხი, საწველელი, საქმოვი, საკერავი და სხვ.). „როგორც ანლა საბზეოზე ვართ ცოცხლები, ეგრე საიქიონს ყოფილა, ეგრე ტანსაცმელით,

¹ ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

² პირაგორიულების თვალსაზრისით ზელიუნებისა თუ ამა თუ მი საქმის მომზედო, მათი საქმიანობის დამახასიათებელ იარაღს საფლავის ქახა უხატადნენ, როგორც საბუთს საბუთებულებისათვის, რომლის სანაღუროდ ვითომიც საქმიოს მუდმივდად გაშლილი სუურა ენიჭებოდათ (Franz Cumont, Recherches sur le symbolisme funéraire des Romains, Paris, 1942, გვ. გვ. 33, 224 და სხვ.). მთიულთა ჩწმინით მიცვალებული საიქიონშიც სამზეოზე ჩვეულ საქმიანობას აგრძელებს და იარალიც ამ მიზნით ესაჭიროება.

რომელიც დამონებული ყოფილია და მიმგონი არა ჰყავ, დამონებული და სუ-
ტიტველი დადის; ვინც კი ტანისამოსს სამშეოზე ჩაატევს ვისმე, მაშინ ის-
ტანისამოსი მიერ და იხას ჩაეტევაონ“.


რაც შეეხება საფლავის ქვის ასტრალურ გამოსახულებებს, ამას გვიხსნის
ხალხური რწმენა მხის მკიდრო კეშირისა მიცვალებულთან. მთიულნ ამბო-
ბენ „ვინც მხე ნახა მოკვდება, მარტო მხე არის ქვეყანაზე უკვდავი“, „მზე
თხოულობას, თუ მხე ჩავალის, გაშინ სხვა კინძე კიდევ უნდა მოკვდეს. მზე ამ-
ბობს მე ჩავცდი ვაღრე არ წავიდაო და ესლა სხვა კინძე გაჯვევს იჯასიდა-
ნაა“. ამტრომ იშვიათად ნახავთ საფლავის ქვას, რომლის თავზე, ზურგზე ან
ბოლოზე „ზემოჭრილი“ ან „შიგჩაპრილი“ ბულური არ იყოს ამოლებული. ამ რო-
ნაშენტს მთიულნ ბუროს, ქადას, მზეს ან ვარსკვდას უწოდებენ. განსაუთოე-
ბით ალანიშნავია ე. წ. გახელებული კუტოვე, რომელიც ძირში სიბრტყეზე
თითქმის მთალდ კავევთილი, კედეს ნიჩილად ტატრი რჩება, სემით კი კუბო-
ქვა; მათ შემცერებულია კა ექცეს მრგვლად გამოთლილი ბურთი (თავ-ბოლო-
ში ოთხი, შეაშორი) არის დატოვებული. ვფიქრობთ, ამ ბურთებზე შეყურე-
ბულ კუბო-ქვას კავშირი უნდა ქვენდეს ხალხის ძეველ წარმოდგენასთან მზის
დაბარებით სამშეოლან საიკოში მიცვალებულის გადასახლების შესახებ. მიც-
ვალებულის სახელზევე იციან თლილი ქვის წყაროების შენება ცადაქნილი ან
ბანიანი სახურავით. /

მთიულეთის კახს ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულე-
ბითაც: ხელსაფუვებები, წისქვილები, სალუწები, პურის საცხობი ღუმელის.
ქვები არა მარტო ადგილობრივად გამოიყენება, არამედ იქედან შირეულ
კუთხებშიც ვრცელდება. აქვე იციან ე. წ. „ქვაყაცას“ შენება უბრალო ქვის
წყობით. ქვაყაცას უმთავრესად მწყვმსები აშენებენ მაღალ, საჩენ ადგილებზე
და მას საძოვრის სახლების ნიშნად სთვლიან¹.

„საკოხის“ და „დიღველის ძირის“ ქვას ამუშავებს წალის, თავებითია
და ჭადის მოსახლეები ცხავატის მოსახლეობა. მაგრამ ამ საქმიანობით ერთი
გვარი ბურდული არის განთქმული, რომელსაც თემში საპატიო ადგილი უკი-
რავს. ხალხური გადმოცემები მოგვითხრობენ ბურდულთა გვარის მოთავეობის.
შესახებ ჭადას და ცხავატში მოთავეშე დფალთა ლაშეარის განადაურებაში.
ალსანიშნავია, რომ ხალხური გადმოცემისათვის ჩერული მანერით თქმულებებში
ამ გვარის რომელიმე ბუმბერაზი ღონის ვაკეაცები კი არაა დასახელებული,
არამედ გვარის წარმომადგენელთა მიერ ბრძოლის დროს ქვის ლოდების,
ლრჩა თხრილების, ლასტებისა და სხვა საშუალებათა ხერხიანად გამოყენე-
ბის შემთხვევები არის მოთხრობილი². ადგილობრივი გადმოცემის მიხედვით
თვით გვარი ბურდული ისების მიერაა შერქმეული, რაც მათ ენაზე ყვითელ
ქვას ნიშნავს. მართლაც ძირითადად ბურდულებით დასახლებული მლეთე-


¹ ე. ჩ. გ ე დ ე ლ ა ძ ი ს ცნობით, ქვაყაცას ესა თუ ის ვაკეაცი თავის სახელზე დამს მაღალ
საჩენ ადგილზე, რისთვისაც ხშირად შორიგან უნდება ლოდების ზიდვა და, რაც უზრუ მა-
ღალი და შორიგან კარგად საჩენი იქნება ეს ქვაყაცა, მით მეტი სახელია ამეცნისათვის.

² თქმულება ბურდულთა მიერ შენილებული ლოდების დამარებით ისების ლაშერის გა-
წყვეტისა ირ. სონდულაშეილსაც აქვს გამოქვეყნებული. საქ. მუშ. მომბე, ტ. X.



სურ. 1

არაზეების მცხოვრებნი დღესაც დიდებლის ძირის საუკეთესო ხარისხის „ყველი ქვის“ დამშავებელ ქახელგანტემულ ხელოსნებად ითვლებიან და, ეთ-ნოგრაფიულ მონაცემთა მიხედვით, ისინი ქვის ჰელის ცოდნის ხანგრძლივი ტრადიციის მატარებელნი არიან. ბურდულთა გვარის საძლიერება წარ თემის წინაშე დამსახურებას მიაწირენ მთიულეაზი წესდ მოღებულ წევულებას, რომ მთიულთა სხვა გვარებს უფლება არა ჰქონდათ ბურდულის გვარის ვაჟაცისა-თვის ქალის მითხვებაზე უარი ეთქვათ.



სურ. 2


მთიულეთის ქვისმთლელობის ისტორიის გასათვალისწინებლად გვერდს ვერ ავუხევეთ კადაში შემონახულ, ადგილობრივი ქვით ნაგებ, ქოროლის ტექსტი ექვე-სის იმ ბარელიეფებს¹, რომლებიც უმთავრესად ტაძრის აგებისათვის საჭირო. ქვის დამშავების პროცესებს გამოსახავენ (სურ. 1,2,3). აქ, დასავლეთის ტელ-ლის ფასადზე ოდნავ ცადაქნელი სახურავის ქიმის გასწერივ ბარელიეფთა შარ-ცხენა ფრთა იწყება ქვის მთლელის გამოსახულებით, რომელსაც ქვის სათლელი

¹ ამ ბარელიეფების ფოტოებადან ლემბი ს. მაკალათის აქვს გამოქვეყნებული. ს. მაკალა-თია, მთიულეთი, თბილისი, 1932 წ., გვ. 52, ხოლო მეტების მუშეუშებრ. ხ. მაისურაბეს მიერ 1939 წ.-შელესიდან აღებული ქსტამპაჟებიც იჩანება.

იარაღი გამოკვერილ ქვაზე აქვს შენტბული. ბარელიეფის ზედა ქმნე კარგი ასო-მთავრულით ამოკვეთილია ექვსი ასო ცხრმა-ც (ჭარმა), წარწერას დასაწყის-ში ერთი ასო უნდა აკლდეს, რაღაც ქიმის ნაპირი ჩამოტეხილია. ეს მოკლე წარწერა, რომელიც მომდევნო ქვის ბარელიეფთა იმგვარადვე გამოკვერილ ქიმებზე აღარ გრძელება, როგორც ჩჩნს, სახელი უნდა იყოს ტაძრის მშენებელი „გალატოზისა“. სხვა ბარელიეფებზე მოცემული ქვის დამუშავების პროცესიც ამებად მთიულეთში გავრცელებულ ხერხებს გვაგონებს. მაგ., ერთ ბარელიეფზე მოცემულია ქვას გაჭრის დროს ე. წ. „მორბედით მუშაობა“ ბურის დამჭერისა და უროს დამრტყელის სახით. ორი ქვის მკვეთრობიდნ ერთს ქვის სილრმეზი ჩასული იარაღი უჭირავს და მეორეს მაღლა აღმართული დიდი კვერი ამ იარაღზე დასარტყმელად აქვს მომარჯვებული: ქვის აკოდება, ქვის წალება ზურგით, ქვის გადატანა ხელის მარხილით, ქვის გადატანა თურშში შეგმული ხარებით და სხვა. შრავალი ამ ბარელიეფზე დიდი რეალობითა და საუკეთესო შესრულებით არის გამოქანდაკებული.


კადის ხეობაში დადასტურდა ამჟამად გამოყენებაში შეითვი ქვის ოსტატთა პირადი ნიშნები, რომელისაც ქვის საბაღოში დასამუშავებლად არჩეულ ლოდზე ამოკვეთენ ხოლმე; ასეთ ლოდებს მთიულნ „ჯვარდასმულ“ ლოდებს უწოდებენ. თავებადის სოფ. ბენიანის ქვისმთლელები გიორგი ზაქარიე, სიმონ ბენიანიძე და პავლე ბენიანიძე კლდის მოჭრის დროს ამჟამადაც იყენებენ ასეთ პირად ნიშნებს: —— (გ. ზაქარიე), —| (პავლე ბენიანიძე), ||| (სიმონ ბენიანიძე)

ეს ეთნოგრაფიული ფაქტი და აგრძელებული წევულება, რომ მთიული ქვისმთლელები ქვის ჯვრებას და ნიშნებს სლგამლნენ საუკარია ან შემკვეთის გვარის წარწერით, გვაფიქრებინებს, რომ სოფ. წერერეში (აღვალის პირთა გადმოცემით) დაშლილი სახლებიდან ამონებულსა და ამჟამად წყაროს აუზებად გამოყენებული მთლიანი ლოდებისაგან გამოთლილ „გე-ჯებზე“ გვიჯების გამოთლელ ოსტატთა ნიშნები უნდა იყოს ამოკვეთილი (სურ. 4,5):



ტის კარისა და კედლის ქვებზეც ამ ქვების გამომთლელი ოსტატების პირა-

დი ნიშნები უნდა იყოს გამოსახული:



მსგავსივე ნიშნები გვხვდება სოფ. წერერეში ძეველად ნაგები. საცხოვრეშელი სახლების, შესავალი კარისა და კედლებზე ჩატანებულ სხვა ქვებზეც.

II

მთიულეთის კოხი ცეცხლგამძლე „დაჭოჭნილი“ (დაკენკილი) ქვა არის. საბას გამარტებითაც აკომი არს ქვა მექისე და ცეცხლში არ მტკრცოლელი.


„აგური დაიწვის ცეკვლში და საკონის ქვა არ დაიწვისო“ — ამბობენ მთიული ქვის ოსტატები, არახვეთილი ქვის მთლელის დახასიათებით ზემდევ რბილია საკონის ქვა, რომა კვერი იღესება ზედა თლის ტროსა, რო სცემ იღესება და არა ფუჭდება, როდისმე გვიან მოცვლება მხოლოდ და კი არ დაიტესება“. კონს სირბილის გამო აღვილად ეკიდება ხაესი, განსაკუთრებით „ჩირლილი“ აღგილის კონი ხაესიანდება, „მხევარი“ აღგილილი მოქრილი კონი წვემის შემდეგ სინოტივეს არ ინარჩუნებს, აღრე შრება და ხაესიც არ ეკიდება.

სურ. 3

სათალი კონი ოთხვერია: ლურჯი, ყვითელი, წითელი და შავი, არის კიდევ დასამუშავებლად — გასათლელად უვარგისი კადა, ბასრი და ჭაჭა კონი. ბასრი კონი შეიძლება დატეხონ კვერით, მშრალი წყობის კედელში გამოსაყენებლად. ჭადა კონი რბილია და ფხენიად, ჭაჭა კონი კი დაჭაჭულია (დაჩვრეტილი). კარგი ხარისხის დაჭაჭული კონი ზელსაფქვავად, წისძილად და ქვის საწმენდად¹ გამოიყენება.

¹ ქვის მთლელი იაგორ ბურღული ასე ახასიათებს ქვის საწმენდ კონს: „აევ ნატები კონი რო მაქს ქვის საწმენდა, ეჩ აი პირევლი საწისტილე ქვა, იმძრომი რომ რო გაიღევა სხა ამოცივა და სუმულამ მოკოდილია“.

სათალი კოხი დასამუშავებლად რჩილი და კედელზე ასატანად მსუბუქი ქვაა სხვა ჯიშის ქვებთან შედარებით. ლურჯი, ყვითელი (|| თეთრი) და წითელი კოხი ქვის საბაღო „საკოხეში“ მოიპოვება, რომელიც მდგრადის ჯვრის გადასვალზე გუდაურის ჩრდილო-აღმოსავლეთით; საკოხის საზღვრებად ადგილობრივი მწყემსები სთვლიან: „გაღმით ჩირდილი, მაღლა უკან-კუდები, აღმოსავლეთით წითელი მთა და მუღურის ყელი და მერე ვაკე-ლელე“.



სურ. 4


ადგილობრივ ქვისმთლელთა დაბასიათგზით საკოხის ქვებიდან „წათე-თარო ლურჯი“ საუკეთესო ხარისხისაა, რომ გატებავ; თითქოს ეერცხლის ჟატეხები ურევია და სათლელადაც ადგილია; მთლიად ლურჯი კოხი ხაესს არ იკიდებს, მხოლოდ „უმაგრდება თლაში“, ძნელი სათლელია; წითელი ქვა ადგი-ლი სათლელია, მაგრამ ხაესს იქიდებს; ასევე ყვითელი კოხიც.

გადისა და ცხავატის ქვის მთლელნი კოხის ქვას პირდაპირ საკოხეში სჭრიან და საჭირო ადგილზე „თუშებით“ (|| ქვის მარხილებით) ეზიდებიან, თავებიდის (|| გადის ნევის) მციოვრებინი კოხის მიერ ჩამოტანილ ლოდებს „მირისეში“ პოულობენ და იქვე ამუშავებინ.

მთიულეთში საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ქარები ხარისხის ქვის მეორე საბაბლოც—„დიდევლის ძირი“ ანუ „დიდევლის პირი“ (იგივე „ქვეშითავი“). იგი სათალი კლდის ქვაა, მოყვითალი ფერის, ფიცხი, მაგარი, „საქსრიანი“ „კულა-დაჟულა მიწყებილი“. მშენებლობისა და საფლავის ქვეშისათვის „ქვეშითავის“

ქვა საუკეთესო ხარისხადა მიჩნეული, რაღაც იგი ხავსს არ იყოდებს და არც უგაუფრდება¹. კოხის ქვასთან შედარებით კლდის ქვა გაცილებით ძნელი დასამუშავებელია, მას „მეტი ბრძოლა და მეტი სოლი უნდა“.

კლდეს გამოჩენა უნდა. ამგვარ მუშაობას „კლდის გახსნა“ ეწოდება, ვამორტინის შემზევით გულის მოკრია, რასაც მთიულნი „კლდის დაშლას“ ან „კლდის გაღმოგდებას“² უწოდებენ. კლდის დასაშლელად კუინის იარაღებს ხმარობენ, რომელთაც „კლდის საშლელი იარაღი“ ჰქვია. კლდის ჭაშლელ იარაღს მეტდღობით სახელგანთქმული უშარიძენი ამზადებდნენ და ამჯობადაც ამზადებენ მლეთუ-არახვეტის ქვისმთლელებისათვის.



სურ. 5

კლდის საშლელი იარაღია: დიდი კვერი, ანუ ვარიოზი („ოცგრივანქიანი“, სოლაპირანი კვერი, ბური სხვადასხვა სიგრძისა, სოლები, სოლის რკინები და ტეტები; კვერი, პატარა კვერი და სხვ. კლდეში გამგზავრებისას იარაღებს გუდაში ჩაწყობენ და ისე წაიღებენ. მთიულეთში აქვამად კლდის საშლელი იარაღები ყველა რკინისა და სხვაგვარად გაჭრის წესის არსებობა არ დაინდება.

კლდის მოჭრისათვის „კლდეს მიუღებიან“, მაგრამ მას ჭინასწარი შეჩრივა უნდა საგანგებო დაკვირვებით. ცულად შეჩრიული ქვა შეიძლება „გამშალოს“, შრიანი ალმოჩნდეს და შრეზე დატყდეს; შეიძლება „ერთანან კლდე“ შეხვედეს — უსასროო და რამდენიც უნდა სცემოს დიდი კვერი, კლდე „ვერ დამალოს“, ამიტომ კლდის ყოველი ძარღვა ფრთხილად უნდა გადაისინჯოს თვალით, იარაღის დარტყმის შედეგად გამოიღებულ ხმიანობას ყური და უგდოს და წყლის დასხმით გამოაჩინოს ზოგი უჩინარი ხაზი.

არის დასამუშავებლად უვარებისი კლდები: კური, ანუ მჯდომი, კლდე (|| „ბითური კლდე“), სალი კლდე, ბარი კლდე და საშალი კლდე, ამგვარი კლდე არ მოკრება. კური (მჯდომი) კლდე გადაერთებულია, „საწსარი“ არა აქვს და ვერ გაიკრება. არეული კლდე — სხვადასხვა ჯიშს ქვა არის ერთ-

¹ მცხეთელი ქვის მთლელნი ამ თვისებასე იტყვიან „ზუნი ქვა“ არ არის.

² საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კლდის დაშლის სხვაგვარი ხერხებიც დასტურდება, ხელ უსწობს ცეცლის, წყლით გაქურნილი ბის სოლებისა და ქვაკირის დანარებითაც ჩშირად ურღვევით ქვის საბადოები.

მანერიში არეული და „დატყდება“, არ გამოღვება. ბასრი კლდე მაგარია, მას ბური ცერ მოერევა, ცერ დაიბურება; სალა კლდე მაღალია, მიუდგომელა; შრიანი კლდეც შეიძლება კარგი ხარისხისა, იყოს, მაგრამ პატარ-პატარა ნაჭრებად დაიშლება და არაფერში გამოღვება. საშალი კლდე მხოლოდ სი- ჟებად შეიძლება აიყაროს, მისი მოჭრა არ შეიძლება.

კლდეს უნდა უბოვონ ძირი, ღრმადაა ჩაშეგბული სხვა კლდეში—ჩარ- კობილა თუ ზემოდან არის¹. ქვის შეიძლება ჰქონდეს: საჯარი, ზრე (|| ძარ- ლვი), მუწუკი, ჯავარი, მუჯრი, შირიმი, ქუმიშელა, შლე, ტეინი, გული, ფხა და სხვ. კლდის მშრელმა უნდა გაითვალისწიოს, საბადოს მდებარე- ბა „ჩირდილია“ თუ „მზეარე“, რადგან მზეარის ქვა საუკეთესოა. უნდა შეა- ფასოს კლდე სალია თუ უგარებისი, თუ საღი კლდე არის, ფიტბა და მაგარი თუ რბილი და მსუბუქი. ამის მიხედვით იქნება კიდეც დამზადებული კლდის საჭრელი თუ საზიდი არალები.

ქვისმთლელთა განმარტებით: საჯარი კლდის „კულათაშორის“ არსებულ „გადახსნილ“ ადგილს ეწოდება, „საქსართველოს ერთმანეთზეა მიყუდებული კლდე- ბი, მხოლოდ კლდე კლდეს არ არის გადაერთებული“. სათალი კლდე აუცი- ლებლად სახსრიანი უნდა იყოს („სათალი ქვა კალადაკულა არ მიყუდე- ბული. საქარი აქვ და ბითუნი ქვა გამბულია ერთიანად“). ზრე კულად და- წყობილი კლდის ერთეულში არსებული ორნავ შესამჩნევად ან მთლად შეუმჩნევ- ლად დაყოლილი მიწის ზოლი არის „რალაც მისწეზი აქვ, გახსნილივით არი, ზოგჯერ არ ჩანს და მერე გამოწინდება თლაში“ და მთლად გაიხსნება ამ შრეზე. ამიტომ ქვის შრიანიბა-უშრეობას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დაწუ- შავების დროს და კარგი ქვისმთლელი იშვათად შეცდება. ნაკლებ საზი- ში და ქვის მცირე არეზე მოქმედი ნაკლ არის მუჯრი. მუჯრი მაგარი, კაუის ჯამის, ხშირად მუშტის დღენი ან მასზედ მცირე ქვის ნაწილია, სათა- ლი კლდის ამა თუ იმ ადგილას ჩყოლებული; მუჯრი თლის დროს კვე- რის ცემაში ამოვარდება და ამოღარული ბუდე დარჩება (მუჯრი თუ საჩენ ადგილზედ არის, მას თავგამარილათი ამოგლესქნ ხოლმე). მუჯრივით მაგარია კლდის შირიმი, რომელიც „თვალი და თვალია“ დამზრეტილივით და ხშირად აქვს დატყდებული სი ქვას ამა თუ იმ ადგილას. შირიმიც ამოვარდება ხოლმე თლის დროს და ქვაბანინჯველება. ქვას აქვს ჭაგრეთვე გული², რომელიც მრგვალია, კეურცის მსგავსი და მაგრი, ზოგჯერ კი ქვას დაყოლილი აქვს „ცოცხალ გიასავით“ ჩბილი და ფერილივით ფხენადი ნაწილი, რომელ- საც ტვირი ეწოდება. ქვის აქვს უგრეთვე ფხა, რომელიც მას მცროლო- ბის თვისებას ანიჭებს. ფხიანობა მთიულეთის კონის ზოგიერთი ჯამის

¹ მცხეთლი ქვისმთლელების განმარტებით, კლდეს ძრაშედ თირი უნდა ჰქონდეს, თირ- ზე დამდგარი კლდე ადგილად გამოცურდება—ადგილი გადმოსალებია.

² წყლისაგან ნაფრიერ დიდი ზომის მრგვალი მოყვინილობის ქვის გულებს ხალხი ხშირად შეცდომით მცენობ დროის ადგილონთა ნახლავად მიიჩნებს და ქვის გულის ამოვარდის. შემდეგ კლდეებზე დარჩენილ ადგილებზე კი დევის ნაშულარებს უწოდებს.

ქვის ახასიათებს¹. ქვისათვის სიმაგრის მიმცემი არის ჭაფარია. რომელიც ხის ჯავარის მსაგასად ხვეულ ხაზებადაა ქვაზე განლაგებული².

ქვის შერჩევის შემდეგ იწყება კლდის დაშლა, ანუ კლდის შორია. საბადის ძლის მდებარეობის მიხედვით ამ პროცესს კლდის გაღმოვდება და ქვის ამოდებაც ეწოდება. ძნელად მისადგომ კლდეში ქვის მშრელებს ზოგჯერ საგანგებო კიბეების გამოყვათაც უწოდებათ.

კლდის მოჭრა ხდება დასაღითა და დაბურვით. „კლდეს საბურავად რომ მიუღებიან“, პირველად „მშვერი კვერატი“ ამოსთხრიან ბურის პირის დასაქრის „ერთ გაჯას“, რომ „ბურშა დაიჭროს პირი, ქანეა აღარ დაიწყოს იქი-აქა“. დაბურვა ხდება ორი კაცის მეშვეობით—ერთს ბური უჭირავს და მეორე კვერს სცემს. ბურის დამჭერი ბურს ატრიალებს ქვაში, ბური რომ ტრიალებს ნაბურალში ქვას ფშვის და „ნაფქავი“ ჩნდება. ნაფქავის ამოწმენდა ხდება „კოვზის“ დახმარებით, ნაბურალში დაგროვილ ნაფქავები წყალს ჩაასამერ „ნაფქავი აიზილება“ და კოვზით ადგილად ამოისვეტება. ნაბურალის სილრმ ქვის საიდილეზედ არის დამოკიდებული, თუ მოხერხებულადაა ქვა შეუძლებული, ორი სოლით გაკრება და ორი ნაბურალი დასჭირდება; თუ დიდა და 4—5 ნაბურალიც უნდა. ნაბურალები ზუსტად ერთ ხაზზე უნდა იყოს განლაგებული, შიმშით გახაზავენ და ისე ამოჭრიან თითო მტკვერის დაშორებით („ბური მტკვერს დაგრიოთ“, ასე ამბობენ). შემდევ იმ ბურს ამოიღებნ და ნაბურალებში სოლს დაუშვებენ, ე. ი. „სოლს დაურიებენ“. სოლს გვერდებზედ ე. წ. სოლის რკინებს დაატანენ, მათ ჟუა ჩაშვებულ სოლს კვერს დაკრებენ³, სოლი და სოლის რკინები „მოეკიდება“ ნაბურალის პირში, გაიღედება და რამდენიც მეტს დაკრავენ კვერს სოლზედ, სოლი „ძალაობს“ და ქვას ხეთქვეს. რაც უფრო მჭიდროდ არის სოლი ნაბურალში, მით მეტი ძალა აქვს.

როდესაც ბურითა და სოლით იჭრება კლდე, გაშინ ნაბურალი უფრო ღრმა არის სოლის სიგრძესთან შედარებით. კლდის მშრელთა განმარტებით სოლი ნაბურალის პირში უნდა იყოს გავედილი, სოლის რკინებს შორის შოთავასებული სოლი რკინებს აწყვბა, ამ უკანასკნელთ კი ქვის კედლებზედ შიაქვთ ძალა. საკონეში გაზომილი ნაბურალების სიგრძე 7—10 სმ სილრმისა და 3—4 სმ სიგანისა იყო. შეგვხვით ლოდები ორიდან ექვსამდე ნაბურალით. „ნაბურალში რომ გასჭედენ სოლებს, მერე ერთი კაცი უნდა არტყამდეს ვარობს ვარიგებით—უყლა სოლს თითოჯერ, რომ ერთ-ნაირად გადასწიოს; თუ დიდი ქვაა, ორნი ჰკრვენ, ერთი იქიდან მაულება, მეორე აქედან, ჯვრ უნდა დაკრათ ცოტა-ცოტა რო გაიჭედოს, მემჩე მაუძლევ და გრიალს გადაიტანს. ისეთი სახალისოა გვიხაროდის ის ქვა, შე, უხაპ! ეგრე რამეს იზამს ქვა და სწორედ გასჭდება, გული გალალება“ (80 წ. გ. ჯაღმათ ძე, ქადა).

¹ ქვის ტვინისა და ფრის შესახებ დაშვრილებით იხ. ავთორეფერატ დისერტაციონუმზე „ფიზიკური მოთხოვე მასალების არაგრავიუმის შედეგების შესახებ“, თბილისი, 1950, გვ. 5.

² მცდელობის ქვისმთლელი ასეთ ქვას ხვეულ ქვას უწოდებენ.

ზოგჯერ სცოდნით გასაჭრელი ქვის „წვეტი კვერით“ მთელს სიგრძეზედ გაღარესა და შემდეგ მასში სოლის „ჩაკრება“, სოლის რეინგბის საშუალებით, მაგრამ ალგილობრივი ქვისმთელები ამბობენ: „ამ ამოღარვასა დიდი ჯაფა უნდა და ისევ ნაბურალსა ვრჩეობთ, რო მშვიდად ვრჩებით, ბერი ჯაფა არ გვინდათ“.


როდესაც სოლითა და ბურით ვერ მიუდგებიან კლდეს დასაშეულად, მაშინ მას ანგრევენ. კლდის დანგრევას ასაფეთქებელი წამლით აწარმოებენ. საგანგებოდ ამ საქმისათვის გამოჭედილი „გრძელი ბურით“ კლდეს მეტრზე ან ნაკლებ სილიმეტრზე ამოხერეტენ, ერთიმეტრვედ სიღრმეშე წამალს ჩაყრიან, ქაღალდშემოხეულ წევლას დაატანენ, ირგვლივ დარჩენილ ადგილს მშრალი კლდის მიწით ამოაგებენ, წევლას ამოილებენ, წამალს ჩაყრიან, თავზე დადგებულ აქეცს ცეცლს წეუყიდებენ და გაეცემებიან. კლდის ასაფეთქებელი წამლის კუსტარული წესით დამზადებას ვაკრალიანგორითისა და ხის ნახშირისა ნარევისაგან მცხოვრელი ქვის მთლელები ამჟამადაც კი მისდევენ, რაღაც ქარხნული წესით დამზადებულ ასაფეთქებელ წამალს სიფიციეს უჩიგიან: „ქვას გვიფუშებძოს“.

გარერილ ქვას გაკოპიტება უნდა, გაკოპიტების დროს ქვას „მუჯრი“, „ელმეტი „მუწუკი“ ვარიოზით ჩამოეცება, შემდეგ კვერით აიყრება „ვარიოზისაგან დაძრული გვერდები“ (ვარიოზი ღია დიდი კვერია, ღია დ კვერს რომელით უნდა დაჭრა, კვერს კი ერთი ხელი უნდა ერეოდეს. „ევერს ერთი პირი კუთხითია აქეც და ერთი პირი სოლი“). შემდეგ კულტურში გამოიყვნება.

(॥ წერააქში). ამით მთავრდება გაკოპიტება. ქვის დამუშავებას მთიულნი ოთხ საცეცხურად ყოფენ: მოჭრა, გაკოპიტება, გაწმენდა და ამოღება. ეს პროცესი, საფლავის ქვის დამუშავების შემთხვევაში, შემდეგნაირად ნაწილდება: თითო ქვას ქადელი ოსტატი რეალებს ანდომებს: მოჭრა და გაკოპიტება ოთხი დღე, გაწმენდა და ამოღებაც ოთხი დღე. მლეოფ-არახვერითისა და ქვეშის ხელოსნები გაწმენდასა და ამოღებას მეტ ღრის ანდომებენ (10 ღრ) და მათი ნახელავიც გაცილებით მეტი ღრის ღრის სისხლისაა. წელიწადის დროს მიხედვით მუშაობას ასე ანაწილებენ. მოჭრასა და გაკოპიტებას ზაფულში ახდენენ, ხოლო მარხილებით სახლში მოტანილი გაკოპიტებული ქვების გაწმენდასა და ამოღებას ზამთარში დათბუნებულ აღვილზე. საერთოდ კი ქვის დამუშავება ზაფულში სჯობს. გაყინული ქვა ძნელად ითლება.

გაკოპიტების პროცესში ქვას ეძლევა ესა თუ ის გარკვეული სხეუ, კოპიტიდან ითლება: ა) ნაგებობისათვის: ქვის ბოძი, ბოძის ქვა, კარისთავი (॥ თავებული), სარქმლის თავი, კუთხი. კარის ამყოლი, ყრუ კედლის ქვა, ფაიის ქვა (ხშირად ცხოველთა—ლომი, ირემი, ყოჩი—ბარელიფებით შეძეული, ზოგჯერ კი ასტრალური გამოსახულებებითა და სხევადასხევა ორნამენტით მოჩუქრითმებული), გონიოს და ბედგონიოში გათლილი ქვები. ბ) წყალგაყვანილობისათვის წყაროს კოშები—ცალაქნილი ან ბანური სახურავით, წყაროს აუზად—მთლიანი ქვის ზოდისაგან გამოითლილი ქვის ფილები (॥ გაჯები), ან რკნის გამირებით გადასამებლი საგამირე ამოჭრილი ქვის ნაჭრები. გ) საკულტო და-

ნიშნულებისათვის: მოლიანი მაღალი ქვის ჯვრები, ნიშიანი ქვის ჯვრები, ქან-დაკებები (კოჩების), საკულტო ნაგებობათა კედლებში დატანებული ქვის ბარელიეფები ცხვრის, ირმის, ლომის, ცხენის, გველუშაპის, იესო ქრისტეს, მზის, მთვარის და სხვა გამოსახულებებით. დ) სამეურნეო საჭიროებისათვის: სალექტი, ხელსაფეხვები, წისქვილები, წისქვილის თოლ-კოჭები, ბანის საზეპი საგორავები, ქვის სკამები. ე) შიცვალებულისათვის: სიახებისაგან შედგენილი ქვის კუბოები, სამარხის საქნების (|| აკლდამების) შიგნით ზედაქვეებად (|| რამდენიმე სართულად) დასაწყობი სიპის ბაქნები, მატურები, კუბოქვები (ჯვრიანი, გახედებული და სხვ.), დაბალი ქვები (|| საი), ქვის ბალიშები (|| მუთაქები) და ტაბტები. ვ) ოჯახური საჭიროებისათვის: ნატეხარები (თი-თისტარებისათვის), გუგულის მძივები (აკვის ბავშვის მშვიდი ძილისათვის), ქვის საწონები და სხვ. ზ) იარაღებად: სალესავები, ქვის საწმენდი კოხები და სხვ.



სურ. 6

ღამუშავების პროცესში ამა თუ იმ სახეობის გამოყვანის დროს სდეგბა - გახაზება, გაკუთხვა (|| გონიოში გამოყვანა), გაწარბვა, დაკავშვა, გაწმენდა, გაგლუვება, ამოთხია, ამოლება.

ამოილება: ქვის თავი, ფეხი, სარტყელი, მხარი, წარბი, ნაწიბური, კანჭი, ზურგი, ძირი, ბოლო, კაპები, საფარიშე, საგამირე, ლარი, ფთები, ნაკები;

გამოსახულებები: ცხოველების, აღამიანების, იარალების, და სხვადასხვა საგრძნების; ორნამენტები: ბორჯლო, ბურთი, მზე, ქადა, მთორე, ფოთოლი, და სხვ.

გაწმენდისა და ამოლებისათვის საჭირო იარალებია: კვერი, წერაქვე ორზირი და ცალპირი (|| კულმუქი), წვეტი კვერი, პირიანი კვერი (|| ტარალი || საყოდელი, ცალპირი და ორპირი), სატეხი, ჩაქუჩი (ჩაქუჩი-კანკებისაული, ფხანი), კალამი, ქვის საწმენდი კოხი ტარდაგებული (ქასრი), ქვის საწმენდი ტყავი, ანდაზა. წინსაფენი, სათვალე და სხვ. (სურ. 6, 7).

ქვის გადატანისათვის იხმარება: ქვის მარხილი, თუში, ალანი, დაბალი ჭრემი.



სურ. 7

ზემოდ ჩამოთვლილი ქვის დასამუშავებელი იარალების ნაწილებისა და დაწუშავების პროცესზე ცალკე საფეხურების შესასწავლად მრავალი დაწვრილებითი გასაღა მთიულეთში შემონახული, რომლის შესახებ ამჯერად აღარ ვიღაპარა ყებთ.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მთიულეთში ქვის გათლას ქვის დაწურასაც უწოდებენ და სათალ ქვას—დასაწერ ქვადაც მოიხსენიებენ. მაგ., სოჭ. წერეს

მცხ. 85 წ. ჯლუნა გიორგის ძე ნარაიძე ამბობს: „მშავდა ქვა ორ ვარგა-სათალში—დასაწერ ქვაში და თეთრ ქვის არაუშავრა, ის რბილი გამოდის და დასაწერი კარგია“ არახვეთელი ქვისმთლელის სიმონ სიმონის ძე ბურ-დულის თქმით: „[საფლავები ქვას] ზევიდან არის ჯვარი, ჯვარი გამოგვევ, ჯვარი-დააწერება სწორი“. ზოგის თქმით „ჯვარი გაწერილია“ სატლავის ქვის ზურგ-ზე. კადელი მეწისქვილის სიტყვით კი „წისქვილი დაწერილია“, რომ დაფენას კარგად (სურ. 8).



სურ. 8

როგორც ჩანს, ქვის დაწერა ქველად ქვის გათლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ქვის სათლელი იარაღის სახელწოდებაც. საბა-ორბელიანის განმარტებით: „წერაქვი—ესე არს ცალგნით სათხრელი აქუნდეს კლდეთა დასარღუევად, წალკატი არს ორგნითვე საკვეთი აქუნდეს ქუათა სა-თლელად“, ხოლო წალკატზე ამბობს: —ორწევეროსანი წერაქვი არაისო (ლექს.)¹. ქართულ ხალხურ მასალაშიც ქვის დასამუშავებელ იარაღს წერა ქვი, წე-რეთი, წეროიანი ან წვერო ეწოდება. წერაქვითა და წალკატით მშვერვა (॥ მოწერვა ॥ დაწერა) ქვის მოხელეს იმერეთში გარკვეული პროფესიული სახელწოდებაცა აქვს შემორჩენილი „მჯორლავი“, რომლის საქმიანო-

¹ საერთოდ „წერა“ ძირის კვეთასთან კაშირი მრავალი სხვა ეთნოგრაფიული ფაქტი-თაც დასტურდება.

ბაში ბრტყელპირიანი საკოდლებით მოქმედება, ე. ი. წმინდად თლა, აღარ შედის. საფიქრებელია, რომ ქვის გათლის მნიშვნელობით მთიულეთში შემორჩენილი „ქვის დაწერაც“ ქვის დამუშავების აღრუული საფეხურის აღმნიშვნელი ტერმინია, იმ დროისა, როდესაც ბრტყელპირიანი რკინის სკოდლებით „წმინდად თლა“ ჯერ კიდევ არ იყო გაერცელებული და წერაქვით დაწვერილ ქვას მხოლოდ ქვისავე ქასურით აქასურებდნენ, ანდა უშეტყსად ისევე ტოვებდნენ.

8. ბარაზელიძე

ქართველთა უძველესი სარმაზოების ისტორიიდან IV. ან ლევიშვილი *

უკანასკნელი წლების მატილე ინტენსიური მუშაობა გაიშალა ქართული ხალხური სარწმუნოებისა და კერძოდ ხალხურ დღეობათა შესახებ მასალის შესაგროვებლად. ეთნოგრაფიული ფაქტების ფიქსაცია ხდებოდა უმთავრესად მთავრ ქართველებში¹—სისტემატურად, ხეობებისა და სოფლების მიხედვით და წინაურაში შემზადებული გეგმითა და პროგრამით. ასე წარმოებული მუშაობის შედეგად დღეისათვის მოძოვებულია ხევსურული, ფაზური, თუშური, მთიულური, გუდამაყრული, სვანური, რაჭული, ლეჩემურური, იმერული წლოური (და აგრეთვე აჭარულებში რუდიმერტების სახით შემორჩენილი) დღესასწაულებისა და სარწმუნოებრივი წესებით აღეჭულილი დღეების ცოტად თუ ბერად სრული აღწერილობანი², რომლებიც ლიტერატურულ შინაგანებით ერთად შეიძლებან მასალას წარმიაღენენ შეცნიერული კლევა-ძებისათვის.

ეპუს გარეშე, რომ ამ მასალის მეცნიერული დამუშავება მრავლისმეტყველი აღმოჩნდება როგორც ქართველების უკველესი სარწმუნოების ისტორიის შესწავლის საქმეში, ისე ამავამად ქართული ჰემინტარული მეცნიერების წინაშე დასმული ეთნიკური გრეტიკისა და კულტურულ-ისტორიული საკითხების გასაზურებლად.

ამხანგი სტალინი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი იღების, საზოგადოებრივი თეორიების, საზოგადოებრივი შეხედულებების წარმოშობის წყარო უნდა ვეძებოთ არა თვით იღებში, თეორიებსა და შეხედულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში და საზოგადოებრივ ყოფიერებაში, რომლის ასახვასაც ისინი წარმოადგენენ. თუ საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მოცემულია სხვადასხვა საზოგადოებრივი იღები, თეორიები, ეს ა აიხსნება არა იღების ხასიათთ, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებით საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში³.

ერთს ჩევრს აღრიცხულ ნაშრომში იყო გარკვეული, რომ ქართულ ხალხურ ქრისტიანულ ბარბარეს იმსტიტუტში თავშეფარებულია ქართული

* წაკათხულია მოსხენებად 1944 წლს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების სხდომაშე.

¹ ხოლო უკანასწილ სუთშელები საველე ეთნოგრალული მუშაობის ცენტრში ძარღი საქართველოც მოიჩინა.

² ამას ერთვის უკანასწელ სუთშელები ასევე ინტენსიურ-კომპლექსური მეთოდით. ქართლსა და სამეგრელოში შეგრძელებულ ანთლივით მასალათა აღწერილობანი.

³ ი. სტალინი, ლენინისმის სკონხები, თბილისი, 1951, გვ. 683; ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათეციონიზმის საკითხები, თბილისი, 1950, გვ. 3.

პანთონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟის — მზის ღვთაების კულტი. რომელიც მთიანეთში შემონახული გადმონაშთებით მსხვილფხა მესაქონლეობის მფურნეობას უკავშირდებოდა. მზე-ქალის, ქალ-ბარბარეს, ანუ ქალ-ბაბარის, სახელით ცნობილი მზის ღვთაება შინაური ცხოველების უზენაეს ბატონ-ბატ-რონად ითვალისწინდა, თუმცა, როგორც ქალური ნაყოფიერებისა და გამრავლების საწყისა, პირველ რიგში მდელობითი სქესის — ცხოველებიდან ძროხების ხოლო აღამიანებიდან ქალების — მფარველად და დამშმარედ იყო მიჩნეული. ამასთან ერთად დადგენილ იქნა მზისაღმი განკუთვნილი დღეობები, რომლებსც გაზაფხულისა და ზამთრის ე. წ. „ცეცხლის დღეობათა“ ქართულ გარიანტებს შორის საპატიო აღგილი უნდა; სკეროდათ, ღვთაების სახელობის სადლესასწაულო პროცესიები, შესაწირავი ცხოველები, საბოძვარი „ზედაშე“ „კულუხი“ და მისთ, საგალობრელთა ფრაგმენტები და კულტის სხვა ნირსახის ელემენტები. გამოაშარავდა უკველესი დუალისტური კონცეფცია გარეშე ბუნებასა და აღამიანთა ცხორბებაზე მნათობდა ქალ-ღვთაების დაბეჭით და უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, რომლის თავდაპირველ საფუძველს უკველებელი მზის განვითარი — ა. როგორც სითბო-სინათლის წყაროსი და ბ. როგორც მწვევი მნათობისა — გამოვლინება შეაღებელი.

მეორე მხრის, გაირკვა, რომ მზე-ქალის ანუ მზე-ბარბარეს კულტი უკავშირდება წინა აზის უძველეს ასტრალურ რელიგიებს. ხოლო ქართველების შეის ღვთაების სახელის შედარებამ მნათობთა ქართულ, სხვა კავკასიურ და სუმერულ სახელებით კველი ან სახელსათვეს საერთო ძირის აჩვებობა გამოაღლდა და ამასთანავე ნათელი გახადა, რომ მისტერია ბარბარე თავდაპირველი და „მნათობთა-მნათობის“ აღმინშენელი ღვთაების ეპითეტი უნდა ყოფილიყო¹.

ასტრალური კულტების სპეციფიკურ თავისებურებათა ასეთი ერთგარიბა და და სილარულ ღვთაებათა სახელების შეხვედრები როგორც ფორმალური მხრით, ისევე შინაარსით იმ რიგის მონაბორებია, რომლებიც გაძლიერდა ჩივინებებს იძლევიან: ისინი ან წინა აზის აღნიშვნულ ხილებთან ქართველთა წინაპრების მეტობრი და ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული კავშირის არსებობას მოწოდებნ და ან ქართველ-კვევასიერთა და წინა აზის უძველესი მოსახლეობის გენერაციულ ნათესაობაზე უნდა მიუთითებდონ.

სკანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში² ერთი მეორეს მიყვება სამი დღეობა³ — ე. წ. აშნაშ (ფრ, ცხ, ლტ, ლჲ, მტ, კლ, იფ), || აშნაშ (მლ, უშგ) || აშნაშ

¹ კ. ბარ დავით იძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდნ (ღვთაება ბარბარ-ბარ), თბილისი, 1941; მ ო ს ი ც ე, სკანური საგალობრელი „ბარბალ დოლაშ“, „ენიმეონას მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 541—573. ბერ ძენი შვილი, ჯავახიშვილი, ჯანა შია, საქართველოს სტრირია, თბ., 1946.

² კ. ბარ დავით იძე, სკანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I. ახალწლის ცილი, თბილისი, 1939, გვ. 21, 30.

³ ვერცხლებან ან ა: სკვ=სკანური, ქვ=ქვემოსკანური, ბზ=ბალსხემოური, ბქვ=ბალსხემოური, ლბ=ლახამულური, ჩბ=ჩუბეხეცური, ტრ=ტარული, ეც=ეცერული, ცხ=ცხმარული, ბჩ=ბეჩამური, ლტ=ლატალური, ლჲ=ლენკერული, მტ=მესტიური, მლ=მულაცური, კდ=კალური, იფ=იფარული, უშგ=უშგულური, ლმ=ლაშური, ჩლ=ჩოდურული, ლნ=ლენტებური.

(ქსვ) ქანობ (ჩბ, ფრ), ჰკედობ (ფრ, ცხ) || ჭეგთობ (ეც, ლჯ) და ლიგშდვას (მტ) || წი შდვრობ. ეს დღეობები სვანების თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდევი-ლეში კარგა ხანია რაც გაქრობის გზას დადგომან. დღეობა ქანობს ლახმულის და ბერის მოსახლეობა უკვე აღარ იცნობს, ჩუბებებში ძველი ტრადიციის შიმდევარნი ამ დღეს მხოლოდ უქმობენ, ბაგრამ არსად ნაჩვენებ თემებში ლრმა მოხუცებსაც კი არ შერჩენათ იმის სსოვნა, თუ რის გამო ან რა მიზნით სრულდებოდა ეს უქმებები. რაც შეეხება ორ დანარჩენ დღეობას,—მათი დამოწმება რამდენიმე თემშიდა მოხერხდა: ჭეგლობისა—ჩუბებებში, ფარში, ეცერში, ცხუმარსა და ლენჯვერში, ჰიშდვრობისა კი—მხოლოდ ფარსა და მესტიაში. ზემო სვანების დანარჩენ თემებსა და ქვემო სვანეთში ამ დღეობათა ქვალი სრულიად წარხოცილა.

სამიერ ახალწლის ციკლის დღესასწაულთა რიცხვს განკუთვნებოდა. მათგან ანანბი უძრავი დღეობა იყო, რომელსაც ძევლი სტილით 9 დეკემბერს ახდიდნენ, ჭეგლობი ეცერსა და ცხუმარში ანანბის წინადღეს, ჩუბებებსა და ლენჯვერში ანანბის მეორე დღეს, ხოლო ჰიშდვრობი მეტადაში ანანბის მეორე დღეს, ფარში კი ჭეგლობის წინადღეს მოღილდა. თარილის მხრივ ასეთ შეიძრო კაშირთან ერთად, ერთნარი იყო და დღეობათ აიროთადი რიტუალი, შესაწირავი მიმეტები, მათი შეწირავის მომენტები, წესი და, ბოლოს, სამიერ დღეობა ერთი და იმავე უხენების არსების—ანის სახელზე სრულტანიდა. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება გვთვისერებინებს, რომ ანანბი, ჭეგლობი და ჰიშდვრობი ძევლიად ერთი მოლიანი ხანგრძლივი დღესასწაულის სახით უნდა არსებულიყო.

სვანეთში ხანგრძლივი დღესასწაულები და მათში გაერთიანებული ცატ-კუული დღეები თავ-თავის სახელებს ატარებდნენ. ასე, მაგალითად:

ზანგრძლივი დღესასწაული: ზომხები და ბერი:

მასში შემავალი დღეები:

ზომხა (ბჩ, ლშ, ჩლ) || კანდა (ბტვ) ||
კალანდა (ლნ); ნანკ (მლ, იფ) || კუმბო
(ლჯ, მტ, უშგ) || კვამისო (მლ, კლ) ||
კვიმტობ (ლტ) || კვიმტარ (ლხ, ფრ,
ეც, ცხ, ბჩ) || კვიმტარებ (ჩბ).

ლიფანპლი (ბტვ) || ლიფანპლი
(ბჩ) || ლიფანპლი (ლშ, ჩლ)

ადგომ; განცხდვბ(ზსვ) || ლიცი ლიც-
რისდალ(მლ); ლალხორძლ (ტშგ) ||
ლალხორი საფიინ(იფ); სვალიტხსლ
(ლტ) || ლალხორი მიშლადელ (ლჯ,
მტ, იფ); ჯველი ჰამ (ლხ) || ჯველი ჰამ
(ფრ) || ჯველი ჰამ (ჩბ, ეც, ცხ, ბჩ) ||
ჯველი ჰამ (ბჩ, ლშ, ჩლ) || დაიჭლომიშლი
(მლ, იფ).

ლიმპტრიელ (ბზ) || ლინელურსლ (ბქვ)

ლიმპტრი (ბზ) || „ჯგუპტები ნაშენობა“
(ლბ, ჩბ) || ხოშა ღერთემი ღადედ (ცხ);
ლიმპტრი (ბზ) || „მენერი ლადედ (ლნ,
ჩბ); გაბრელა ლადედ (ბქვ); კოსანდილ
ლადედ (ლნ) || ხოჩა ჯგუპტე (ცხ); შა-
ცხარი ლადედ (ბქვ), „ხელმობა“ (ბქვ).
თეთნე ფხუ (ეც, ცხ) || თეთნე ფხუ
(მტ); ლილაობ (ეც, ცხ); ალბა ლაღრალ
(მლ).

თანფიერ (|| თამცაერ)

თანაფ; ლაჯგრო დაშლიშ (მტ) || ლაჯ-
გრელ (ცხ); თარი ჯგუპტე (ლტ) || ჭაბგობ-
(ცხ); აარნენსგა ცაშ (ცხ) || აარნენსგაშ-
ცაშ (იფ); ჭაბგობ (ზსე).

უფლიშიერ (|| ხოშა თანფიერ)

უფლიშისამგონ (ეც, ცხ); უფლიშ; უებ-
გრიბ (ლხ) || მგხერიშ ლადედ (ცხ) || ხაც-
ცობ (ეც); გულა თახაშ (ბქვ); გომი ლიმ-
ზირი ცაშ (იფ); ქაშვათობ (იფ)...

ამათ მსგავსად, ჩვენს ხანგრძლივ დღეობასაც საკუთარი სახელი, რომელსაც ვნახულობთ ჩემებების ჭიდვის სახელწოდებაში: „ენშიერ-
ჰეგომ“. აქ პირველი სიტყვის ფორმანტი -იერ ხანგრძლივ დღეობათა მანევრ-
ენებელია (შდრ: ზომხიერ, ლიმპარიელ, თანფიერ, უფლიშიერ), ხოლო ბო-
ლონილური -ი ნათესაობითი ბრუნვის ნაწილაკი. როგორც ჩანს, დღეობის სა-
ხელწოდების ჩემებებეურ ვარიანტში სიტყვით ენშიერ ხანგრძლივი დღესა-
წაული ივარაუდება, ხოლო ჭიდობ-ით — ამ ხანგრძლივ დღესაწაულში შემა-
ვალი დღე. ამგვარად, ახალწლის ციკლის დღეობები ძანობ, ჭიდობა და ჭიშ-
დერობ ძევლად წარმოადგენდნენ ენშიერ-ის სახელით ცნობილი ხანგრძლი-
ვი დღესასწაულის დღეებს, რომლებიც საერთო რიტუალით და თაყვანის-
ცემის ერთო და იმავე პერსონაჟით იყენენ გაერთიანებული.

ჭიდობ || ჭიდობ და ლაჭიდვებრ || ჭიშდებრობ სახელები სიტყვებიდან-
ჭედ და ჭიშდვებრ არიან ნაწარმოები. ჭიდებს ს სანები ფერების (და აგრეთვე
სიმინდის) მშაიას უწოდებენ. სენტრი ჭიშდებრიც ფერების (და აგრეთვე სი-
მინდის) მშაია, ოლონდ ჭელში გადაშებლილი. მესამე დღეობის სახელწოდე-
ბის ფორმა ჟანრში ჟანრში || ენშიერ ლატალის თემის ერთ-ერთი სოფლის სახელს-
ემთხვევა და დღეობებში ასახული პერსონაჟის საკუთარი სახელიდან — ჟანრ-
ნაწარმოებ ჩანს.

დღეობის საერთო რელიგიური წესებისა და რიტუალურ საგნებზე მო-
ნაცემების მოქლე შეჯამება ხანგრძლივი დღესასწაულის შემდეგ სურათს იძ-
ლევა:

ენშიერს უქმობდნენ. ხალში შემონახული გაღმოცემების თანახმად-
უქმე დაწესებული იყო ფერების მოსავლის დასაბევებლად. დღეობისათვის სამ-
ზაღისი იწყებოდა ჯერ კიდევ შემოლგომის პირზე — ახალი მოსავლის აკრეფის-

დროს ფეტვის საუკეთესო მარცვლეულს გადაარჩევდნენ, დაფეხვედნენ და სა-
განგებო კილობანში მოათავსებდნენ. ამ მარაგს ფეტვას გვიზ, ანუ აპნა ვვიზ,
ეწოდებოდა. კილობანს დაისახლისი პირველად ექნიერს გახსნიდა, გვიზს
ამოიღებდა და მისაგან შესაწირავებს დამზადებდა—აპნობას და ჭევლის მარ-
ტო ფეტვის, ხოლო ჭიშდობის ყველში გადასხელილ ფეტვის ტაბლებს გამო-
აცხობდა ფეტვის მოსავლიანობისათვის¹. უმრავლეს შემთხვევაში საღამოს,
გამშმის ჭინ სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარგმელთან იმართე-
ბოდა აპნის სახელზე ლოცა-ვედრებისა და შეწირვის რიტუალი. ოჯახის უფ-
როსი დაიჭირდა ხელში ფეტვის კვრებს, გაადიღებდა მანს და შესთხოვდა
მას ფეტვის მოსავლის ბარაქს, ყოველთვის ფეტვის „დაჯვარვას“ და სხვა
მისთ. შემდეგ შეწირულ კვრებს დაანაწილებდა და მათ ოჯახის წევრებს
დაურიყებდა.

ამ საერთო წესების გარდა, ხანგრძლივ დღესასწაულ ექნიერში შემა-
ვალ აპნობ დღეს სპეციტიფური თავისიც უკრებებიც ახასიათებდა. აპნობს უქ-
მობდნენ არა მხოლოდ ფეტვის მოსავლის დასაბევებლად, არამედ თველის
ტკიფილის საწინააღმდეგოდაც. ამ დღეს ოჯახის ყველა წევრი, ბავშვებს გრ-
და, ზოგან მსხვილეულისა საქმელეულიც, სსვაგან კი ოჯახის ერთი რომელიმე წევრი,
რომელიც ზოგიერთ ფეხაბზე თვალის ტკიფილით დავადალბულ პირი იყო,
თავისი სურველითა თუ მარჩიელის მითითებიან ან სპირები, რომელებსაც თვალ-
თა სნეულებისაგან თავდაცვის მიზნით ალთემა ჰქონდოთ დადებული, დილი-
დან შენს ჩასკარამდე საქმელ-სასმელ სთმობრნენ. ამის შემდგომ რისას ასლი-
სი გვიზის ფეტვის ცომს მოზელავდა. და ფეტვის მშალებს გამოაცხობდა ზოგან
დიდი რაოდენობით, ზოგან ოჯახის სულზე ორ-ორ ცალს, რომელთაგან ერთი
განკუთხნილი იყო ფეტვის მოსავლისათვის და მეორე თვალის ტკიფილის სა-
წინააღმდეგოდ, და ზოგან კი ერთ დიდ ტაბლას—ფეტვის ბარაქსა და თვალის
შექის მატებისათვის. ამას გარდა, თვალით სნეული პირისათვის ცალკე
ცხვებოდა ფეტვის სამი ტაბლა, რომელებსაც სანთელთან ერთად სწირავდნენ,
და ცალკე ცხვებოდა მშალები საქმელ-სასმლის მთმობი საქონლის ბეჭნე.
ზოგან მხოლოდ სახლში, ზოგან კი სახლშიცა და ეკლესიის კარიბებ ფეტვის
ცომსა და გამომცხებას ტაბლებს აქნის სახელზე სწირავდნენ. იქ, საღალ-
ფეტვის ცომს შეწირვი იცოდნენ, აუფუტებელ ცომს ორად გაპუფლენენ, ოჯა-
ხის უფროსი დაიტერდა ხელში ერთ ნაწილს, აღიდებდა. ან ლატალისას
და შეეველრებოდა მას—ფეტვის მოსავლით გაგვაარეო. შემდეგ ამ შენაწირს
პატარ-პატარა ნაჭრებად დაცლევდა, ოჯახის წევრებს ჩამოურიყებდა. და
ისინიც თავის წილ ცომს შეექცეოდნენ. ხოლო ცომის მეორე ნახევრიდან
სულზე ორ-ორ ცალ ტაბლას გამოაცხობდნენ და ტაბლების საერთო
რაოდენობიდან ნახევარს შეწირავდნენ დან ყვლაც ფეტვის კარგი მოსავ-
ლისათვის, მეორე ნახევრით კი მას ეკედრებოდნენ—ჩევნს ოჯახში მყოფა—ადა-
მიანს აკილე შენგან წარმოგზავნილი ჭირი, ვააქრე ჩევნს სახლში მყოფი


¹ გვიზის შესახებ იხ. В. В. Бардавелиձე, Земельные владения пренебрегу-
вавших святыни, Советская Этнография, № 1, 1949, 105—106, 108.

აღამინის თვალთა ტკივილი, ქვემოთ წყალს მიეცი, ზემოთ ქარსო, საზოგადოდ, ანთბ დღეს ტაბლების შეწირვისას დან ადილებინენ და შესთხოვდნენ: შეწევნას, დღეობის კარგ გულზე მოსწრებას, კაცის სულილის სიმრავლესა და მშვიდობას, ფეტეის მოსავლის მინიჭებას, ყოველთვის ფეტეისა და აგრეთვე ლოცვის „დაჯვარებას“, თვალისა და გულის სიმხიარულეს, თვალთა სწრულებისაგან განკურნებას, ჭირის აცილებას და სხვა მისთ.

სამივე დღეობისათვის სერთო მხარეები: დაუქმება ფეტეის მოსავლის დაბეჭების მიზნით, დღეობისათვის ფეტეის საუკეთესო მარცვლეულის გადარჩევი და ე. წ. ფეტები გვიჩის დაზიადება, შესაწირავა ფეტეის ცომი, რიტუალური ფეტეის ტაბლები, შეწირვა და ლოცვა-ედრება ფეტეის მოსავლი-ანობისა და ბარიკიანობისათვის და, ბოლოს, დღეობის სახელშოდებინი ჰეგილობდა ჰეგილობ, რომელიც „მეტადობას“, „ანუ „ფეტეისკერობას“, „აღნიშნავენ, —ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ ავანშიერი ფეტეის კულტურა სთან იყო. დაკავშირებული და ამ მარცვლოვანის კულტის ასახიერებდა.

1944 წლის ზაფხულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სვანეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს ჩენ მოგაბოვეთ ფეტეის კულტის ნივთიერი გამოსახულებაც—ფეტეის თავთავის გამომხატველ რიტუალური კვერი ფეტეი მდა (იხ. ნახატი), რომელსაც სვანები დღეობა ლილ-შურეს აცხობდნენ (და რომლის ერთ ეგზებლარის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლექციათა ფონდში შევიდა—იხ. კოლ. № 22—44/13).

ფეტეის კულტი სვანებში შემცველია არქაულ დროიდან მომდნარეობს, რამდენადც თვით ამ მარცვლოვანის კულტურის წარმოშობა უაღრესად ძეველი ჩანს. სვანების მეურნეობაში ფეტეს დღესაც განხაუზობული ადგილი უჭირავს. მას დაკავშირებული აქვთ საპატიო როლი მოსაელიანობის გადიდების საქმეში. მეურნე სვანების კარგად იცის, რომ ფეტეს დაწიფერისათვების და ფეტეის ვეზეტაციის ხანას ჯეროვნად იყენებს. როდესაც ის ყამირზე პირველ წელიწადს დათესავს საშემოდგომო პურს—მეორე წელიწადს მასზე ქერს, მესამე წელიწადს საგაზაფხულო პურს ან შერისა და მეოთხე წელიწადს ფეტეს თესავს. ფეტეის დათესავის ძირითადი მიზანია საყანე მიწა სარეველა ბალაბისაგან გაწმინდოს. ეს შემდეგნარიად ხერხდება. პურისა და ქერის ყანაში ჩევულებრივად სარეველა ბალაბი მრავლად კრცელდება. მათგან გაწმენდის საშუალებას ფეტეის ყანა იძლევა. ვეგეტაციის მოქლე ხანის გამზ ფეტეის გვიან თესება—მისის ბოლოში, როდესაც წინათ პურისა და ქერის ყანად გამოყენებულ მიწაზე სარეველა ბალაბი უკვე ამოსულია. ამ ღრის სვანი მოხნავს ამ საყანეს და მაშინ მო-



ბისათვეის მცირე ღრის სჭირდება და ფეტეის ვეზეტაციის ხანას ჯეროვნად იყენებს. როდესაც ის ყამირზე პირველ წელიწადს დათესავს საშემოდგომო პურს—მეორე წელიწადს მასზე ქერს, მესამე წელიწადს საგაზაფხულო პურს ან შერისა და მეოთხე წელიწადს ფეტეს თესავს. ფეტეის დათესავის ძირითადი მიზანია საყანე მიწა სარეველა ბალაბისაგან გაწმინდოს. ეს შემდეგნარიად ხერხდება. პურისა და ქერის ყანაში ჩევულებრივად სარეველა ბალაბი მრავლად კრცელდება. მათგან გაწმენდის საშუალებას ფეტეის ყანა იძლევა. ვეგეტაციის მოქლე ხანის გამზ ფეტეის გვიან თესება—მისის ბოლოში, როდესაც წინათ პურისა და ქერის ყანად გამოყენებულ მიწაზე სარეველა ბალაბი უკვე ამოსულია. ამ ღრის სვანი მოხნავს ამ საყანეს და მაშინ მო-

ზნულ საყანეში ადვილად ისპობა სარცევლა ზალახი ძირებითურთ. ასე შემ-ზალებულ საყანეში დათესილი ფეტვი იღვილად იმარგლება და მასში ჯერ კიდევ დარჩენილი სარცევლა ბალახი საგანგებო ხამარგვლები იარალის (რო-მელსც სვანულად წარ ეწოდება) შემწევობით საბოლოოდ ისპობა. სოფლის მეურნეობაში ფეტვის გამოყენების აზგარი წესი ამ მარცვლოვანი კულტუ-რის სიძელის მაუშევებელია¹. ძველი ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძ-ველზე აკლ. ივ. ჯავახიშვილს² ფეტვის კულტურა ქართველი ტომების უძველეს მონაპორად მიაჩნია. ამ აზრს ადამტურებს არქეოლოგიური მონა-ცემც—ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, ანაკლიის ე. წ. „დიხა გუმუბას“ გათხრის დროს აღმოჩენილი ფეტვა³. ეს მარცვლოვანი სხვა შეცნარებთან ერთად ნაპონია განათხარის ჭევდა კულტურულ ფენაში, რომელიც დაახლო-ვებით ნეოლითის ბოლო ხანით თარიღდება⁴.

მრავალ წევნებას, რომელიც აღმოსავლეთის ნახევარსფეროს სხვა-დასხვა ადგილებიდანაა მოპოვებული, იმ აზრამდე მიყევართ, რომ პირველი მარცვლოვანი, რომლის კულტურაციაც ადამინმა მოასდინა, ფეტვი იყო. ახალი ქვის ხანაში, აღნაშენები მეცნიერები, ჩინეთის მოსახლეობის მთა-ვარ საკვებს ფეტვი (Panicum miliaceum) შეადგენდა, მაგრამ იგი აღმოსა-ვლეთ აზიისათვის ადგილობრივი მცენარე არ იყო და ჩინეთში მან კულტუ-რული გაფრცელებას შედეგად ინდოეთიდან ან ინდოეთზე გავლით მიაღწია⁵. კაცობრიობის ისტორიაში რომ ფეტვი ღრმად იგრძება, ეს ამჟამად არავას საეჭვოდ არ მიაჩნია. ძველ მესოპოტამიაში, ძველ ეგვიპტეში, ძველ ჩინეთში და ხიმინჯებან ნაგებობათა ხანაში ფეტვი ეჭვმიუტანლად გვხდება⁶. ჰერო-დ ღ. ტ. ე.⁷ მითითებით ფეტვი მიწათმოქმედ სკეითებსაც მოჰყვდათ. რიგი მეცნიერები ფეტვებსთვის კულტურის ხანას მიაკუთვნებას⁸. დღესაც აფრიკაში ფეტვის სყანეს დასამუშავებელ იარალად მხოლოდ ოთხია გამოყენებული და არა სახნელი.

ფენის თაყანისცემის ცენტრალურ ფიგურად ხანი ისახება. ღილები-თა და თხოვნა-ვედრებით ხანს მიმართავენ და შესაწირავებს მას მიუძღვ-იან. დღეობასთან დაკავშირებული ხალას რწმენისა და ლოცვა-ვედრების

¹ გ. ჩიტა ია, 1944 წლის სკანეთის ენთოგრაფიული ექსპედიციის დღიური.

² საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I, ტც., 1930, გვ. 322, 364.

³ В. А. Менабе, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхиды, Сообщ. Груз. физ. АН СССР, ч. I, № 9, 1940, გვ. 683—684; ნინთხარია, დიხა გუმება, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 208, 210.

⁴ იქნ.

⁵ C. W. Bishop, The beginnings of civilization in Eastern Asia, Smithsonian Report for 1940, Washington, 434; II. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Москва, 1950, 88, 148.

⁶ Der Mensch aller Zeiten, B. III, I, Die menschliche Wirtschaft. Regensb. 1924, 552-553.

⁷ IV, 17.

⁸ E. Hahn, Die Getreidenahrung im Wandel der Zeiten, Berlin, 1916.

შინაარსის თანახმადაც ფეტვით მოსახსენებელი და ფეტვით სავედრებელი ხანია („ფეტვაში ლალშვენ ხა“), ფეტვა მის გვიჩს შეაღეცს („სა ჯეშრალდ ისგვა გვიჩს“), ფეტვის პოსავალს ხანი იძლევა („ფეტვ მასპრდ ანიკდ“... „ჯაბიცდ, ერე ხორა ზბ პნიქდ ფეტვიშ“, „ფეტვა მავსდდ ანიკდ“) და ფეტვს ხანი მფარველობს. ამავე დროს მას შეუძლია ამ მარცვლოვნის „მავნე რაიტე ჰქნას“ („ფეტვაშ მავნინ წნახა ხხყა“) და ამით ხალს ფეტვის მოსავალი წაუხდინოს. ეს ფაქტები ლაპარაკობენ იმას, რომ ფეტვის უდიდეს ბატონ-პატრიანად და მფარველ ღვთავებად ხანი ითვლებოდა და ამას იუშუებოლნებ ზემო სენიტში მოხუცები, რომლებთანაც ამ რამდო დექიმე წლის წინათ ხალხურ დღეობათა კალებრის მასალებს ვაგროვებდი.

სადილებელ-სავედრებლებში ხანი იხსნება როგორც ‘ბატონი’ ანუ ‘უფალი’ („ჯან ფუსლი“), ‘მალლიანი’ („ჯან მპლდაბნი“), ‘ზეამალლებული’ („შიბე ლებლათხე“) და ხანი ზეკასა („ჯან დეცეზ“). უნდა ითქვას, რომ სვანების წარმართულ რელიგიაში მრავალი ღვთავება მოიხსნებოდა როგორც ‘ცის’ ღმერთი, ‘ზეამალლებული’. ამ ეპითეტების მცნიერული ღირებულება უმთავრესად იმით განისაზღვრება, რომ ისინი გარკვეულ ღვთავებათა ზეციურობის, ე. წ. ასტრალური ხსაიათის, მაჩვენებლები არიან. მათი შიხელვით ჰანიც ასტრალურ რი ხასიათის ღვთავებად გვევლინება.

ცუშირი სამყაროს ღვთავებათა საკრებულოში ხანის გამოსარჩევად და მისი სპეციფიკური ბუნებისა და რაობის გასარკვევად ჩენ მოგვიმოვება რიც-რიგის ფაქტები, რომელთაგან ერთს ხანგძლივი დღესასწაული შეიცავს და მეორეს დღეობა ხანში იძლევა.

I. ხანის კულტი ტრადიციულ ოჯახებში აუცილებლად საღამოს სრულ-დებოდა. როგორც ვიციო, დღეობა აანობს საჭმელ-სამლის ომობის ვადა მეკვეთრად იყო განსაზღვრული — ამ წესს დოლილან შზის ჩასყლამდე ისაფლნენ, შზის ჩასვლის შედეგ კი საღვთისასახური რიტუალს ჩატარებდნენ და პირს აისხინდნენ. დღესასწაულის დანარჩენ დღეებშიც ჩეცულებრივად საღამოს, ვა-ხშის წინ ხანის სახელშე ფეტვის კვერებს შესწირავდნენ, მის საღილებულ-საცემობრებებს წარმოსოებამდენ და შენაწირს შეეცეოდნენ. ისეთ ოჯახებ-შიც კი, საღაც ახრიანის ეს ჩეცულება შერყეული იყო და აღნიშნულ რიტუალს დღისით ატარებდნენ, — თუ ამგარ იჯაში თვალის ტეივილით იყო ვინმე დაავადებული (ზოგან კი ამის გარეშეც), იქ ფეტვის ტაბლებს საღამო-საც გამოიცხობდნენ და სათანადო ლოცა-ველდებით ხანს მოყდვინდნენ¹. ჰანის მსახურება და თაყვანისცემა საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ციური არსება ღამის ბატონი უნდა ყოფილიყო.

II. ღვთავება ხანს და მის სახელმის დღეობა ძანიბს მოსაზღვრობა მჭიდ-რიც უკაფშირებდა თვალისჩინსა (მხედველობას) და თვალის სნეულე-ბას. როგორც დღეობის წესებმა და ხალხში დაცულმა გაღმოცემებმა გვი-ჩვენეს, ხანის უქმობა დაწესებული იყო არა მხოლოდ ფეტვის მოსავლის.

¹ კ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, 23 ლვ, 15 ივ.

დასაბევებლად, არამედ თვალის ტკიფილის საწინააღმდეგოდაც. ამას ვარდა, სეანები ხანს წინასწარ აღუთევამდნენ მის სახელმბის დღეობაზე დალიდან საღამომდე საჭმელ-სასმლის თმობას, ოლონდ ლოთაებას ისინი თვალის ტკიფილისაგან დაცვა, და ამ აღთქმას ასრულებდნენ. ქანობს საჭმელ-სასმლის სომობდნენ აღუთეველადაც—თვალის სწორებით შეპრობილი პირები, ზოგნ ცალქული საღი აღმიანები, ზოგან ჯვარის ყველა წევრი, ბავშვებს გარდა, და ზეგან კი მსხვილფეხა საქონელსაც აშიშშილებდნენ და საღამომდე წყალს არ ასწევდნენ. თვალის ტკიფილით შეპრობილი პირები ამ წესს ასრულებდნენ ამ მარჩიელის მითითებით და ან თავისი ნებით—გულდაჯერებული იმაზი, რომ სწორებისაგან განიკურნებოდნენ. უეჭველია, თვალის სწორებისაგან თავის დაზღვევასა და თვალია შუქის გაძლიერებას ემსახურებოდა ამ წესს შესრულება სხვა პირების მიერაც. ამ მიზნითვე ხდებოდა რიტუალური ტაბლების გამოცხობა საო აღმიანებასა და საქონლის ბეღზე, ხოლო თვალის ტკიფილით დასწორებულებულითის—მათ განკურნების იმედთ. დაბოლოს, ამ ტაბლებს დან სწირავდნენ მეტად მანაშენებლი შინაარსის ლოცვა-ველრებით— შენგან წარმოგზავნილი ჭირი აგვაცილე, თვალის ტკიფილისაგან დაგვიცავი და თვალისა და გლოსის სიჩიხირულე მოვარინეთ. ამ მინაცემებში ხანი ისახება როგორც თვალის ტკიფილისაგან დამცეველ-მურნალი და თვალის სინათლისა. და გულის სიხარულის მიმნიჭებული ლოთაება.

ამ ფუნქციით ხანი უდიდეს მნათობს შეის ქალ-ლოთაებას ბარბარეს ანუ ქალბაბარს ხეფება. შეის ლოთაებაც, სუნების ჩრდილი, ხალხსა და საქინელს თვალის სინათლეს ანიჭებდა, თვალის ტკიფილისაგან იცავდა და ჰკურნავდა ამავე ღრუს სწორების გამჩნენიც თვით ის იყო¹.

მანისა და ქალბაბარის ფუნქციების დამთხვევა იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ორივე ლოთაება ციურ მნათობთა განსახიერებებს წარმოადვენდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ მწე, რომელიც ლოთაება ქალბაბარში იყო განსახიერებული, გარეგანი მოყვანილობით (სიმრგვლე) და შუქის გამოკრთბის, განათების, ბრწყინვალების თვისებებით, ე. ი. ამ მნათობის (და საცხე მთვარის) ყველაზე თვალსაჩინო ნიშანდობლივი მხარეებით, თვალთან შედარებული და დამსგავსებული იყო. ამავე ღრუს შეის თვისებების ორგვარი— გათბობა-განათებისა და, მეორე მხრივ, წვა-ხრუკების—გამოვლინების საფუძველზე შემუშავდა დუალისტური კონცეფცია, სადაც მნათობისა და თვალის ურთიერთობიმართების საკითხიც მკეთრ იღებად ჩამოყალიბდა: მზე, როგორც სინათლის წყარო, თვალის შუქის გამჩნია და, მეორე მხრივ, იგივე მწე, ოლონდ პაპანაქება, მწველი მწე თავისი სხივებით ცეცხლის ალივით— ედება თვალებს, აზიანებს, ასნეულებს, აქსობს². ამ ძღეებს შეის ფუნქციის ხასიათი, მუნებრივია, უფრო მეტად იმ ხანიდან უნდა მინიჭებოდა, როდესაც ქალბაბარი უკვე ანთროპომორფულ ლოთაებად ჰყავდათ წარმოდგენილი.

¹ ვ. ბარ დაველ იქ ქ, ქართველთა უძეველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლოთაება-ბარბარ-ბაბარ), გვ. 46, 49.

² და ს, ნაშრ., გვ. 54—59 შედ.

საციიჩებელია, ომი მანის ფუნქციაც ანალოგიური წარმოშობისაა, ოლინდ აქ მანის მკიდრო კავშირი უნდა იყარაულებოდეს მთვარესთან. ზემოთ ჩამოენდი ფექტების მიხედვით მანი ლამის ღვთაებად წარმოისახა. ხოლო ღამის ციური ქმნილებებიდან ძველ კულტურულ ხალხთა სარწმუნოებაში მთვარე იყო თვალოზ შედარებული და დამსახუსებული¹. ქართველებში მთვარის თვალთან და თვალისხინთან კავშირს ენობრივ მასალებზე ლინგვისტები არკვევლნენ.

ქართველი ტომების, მათ შორის ჩვენთვის ამეამდ პირველ რიგში საყურადღებო სკანების, ჭარმართულ ჩელიგაში დუალისტური კონცუფია, მზის ლეთაების გარდა, სათაყვანებელ ღამის დად მნათობრებულ არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ სკანებში მთვარის კულტი სულ უაბასკნელ ღრმომდე შემოინახა. ამ არმდენიმე წლის წინათ კიდევ გაიგონებდით სკანის ნათევამს: აღამიანის ივი და კარგი მთვარიანს არისო („ამსვალდაშ ხოლა ი ხოჩა დოშდულშვ ესერ ლ“), კარგ მთვარიანს ფეხი სიკეთისაკნ უდასო („ხოჩა დოშდულაშ ვიშშ ხისმთხესერ ხოგ“), მთვარის გარდა კველაფერი ფუჭი ყოფილაო („დოშდულგნეა მაგ ღალ ცვად ესერ ლგმარ“), მთვარის გარეშე არაფერი არ იქნებაო (სიტყვა-სიტყვათ: უმთვაროდ ნუ ვისს რა სჯერაო, — „დოშდულურ ნისოლვ მა ხაჯრავა“), მთვარის იმედი გქონდესო (სიტყვა-სიტყვით: შევარესამც დაიომედეო — „დოშდულ ესეროლვ ესმელან“) და სხვა მისთ. დანარჩენი ქართველი ტომების მსგავსად, სკანები „ბედნიერსა“, ანუ „კარგა“, და „უბედურს“, ანუ „ცულ“, მთვარეს არჩევდნენ. ქალს რომ ბავშვი დაბადებოდა, შას (ბავშვს) დალოცავდნენ — კარგი მთვარიანია იყავიო („ხოჩ! ესერ დოშდულაშ შოლვ ლ“, შენა მთვარით გახარებულიყოს შენი დედ-მამაო („მიჩა დოშდულშვ ესეროლვ ღლხიდელის მიჩა დი ი მუ“); ხოლო ბავშვის მშობლებს ეუბნებოდნენ — დაბადების გამჩენს (ეს ბავშვი) ბედნიერი მთვარიასა გაეხადოს („დაბადებიშ გეწსა, ბედნიერ ესეროლვ დოშდულაშ ხოჩმინა“). ქორწილის ღამეს ნეფე-დელიულის დალოცვის წეველებრივი ფორმულა იყო: აღამიანის გამჩენს ბედნიერ მთვარეშე ვინც შეეყაროს, (იმ პირებად) თავად თქვენ გაეხადოთ („ამსოლდაშ მეტსა ბედნიერ დოშდულეუ ეგრევ ესერ ხოთხანენეს, თხუმდ მინ ესეროლვ ხოჩმინა“). ახლად ჯვარდაშერილებს ულოცავდნენ — ბედნიერ მთვარეშე ყოფილიყოს თქვენი შეყრაო („ბედნიერ ლგმჯვ დოშდულეუ ესეროლვ ათმარჯვას ლითხალ“). როდესაც ქალი კარგ კაცს მისთხოვდებოდა და კარგ ოჯახში შევიდოდა, მეზობლები იტყოდნენ — ბედნიერი მთვარიას ყოფილხარ, ისეთი ბედ-ილბალო მოკუშიანია („ბედნიერ ესერ დოშდულაშ ლგმჯვ, ეჯგვან ესერ ლირდებედ ლაპოდენა“), კარგი მთვარიასს ღმერთი და კაცი — ყველა სიკეთისაკნ წარმართავს („ხოჩ! ესერ დოშდულაშ ლერმეთ ი მბრე — მაგ, ხოჩამდე ხომწვინე“). ხოლო, როცა ახლად გათხოვილ ქალს ქმარს უშუნებდნენ, მას ეტყოდნენ — დახრაჟულ მთვარიასავ, რა ცუდ აღმიანჩე გათხოვილხარ (სიტყვა-სიტყვით: დახრაჟული შენი მთვარე! რა ცუდ აღმიანჩე გათხოვილხარ — „ლგყჩესერ მიჩა დოშდულ! მა ხოლა მარათე რომვ ღლუვილ-ლუნ“). გულმოსული ქალი პატარძალს დასწევლიდა — დამწვარ-დაზრაჟულ

¹ W. H. Roscher, Ausführ. Lexikon der griech. und röm. Mythologie, II, Mondgöttern.

მთვარეზე შემოგედგას ფეხი სამამამთილოშიო („ლგშის-ლგუჩი დოშდულები ესე-როლვ ოხგა ჭიში ლპმთილთელისგა“). მკვდარ ჟილზე დღიდა მოსთვემდი— ქალებო, ჩემისისთვის საბრალო მთვარისა ვინმე—სადმე იქნება?! („ლექტრი დოშდ-ვლაშ, ხეხვარ, მიჩეული ირდი ესერ იმეგა?!“), დეღილა, არ გეცოდება დეღა შენი ცუდი მთვარისა („დიაჯო, მოდმ’ ესერ სოერია ხოლა დოშდვლაშ მიჩა დია!“) და სხვა მისთ.

დუალისტური კონცეფცია „ბელნიერი“ ანუ „ეპარგი“ და „უბელური“ ანუ „ცუდი“ მთვარის შესახებ ამ მნათობის განაპლებასთან, დალევასთან, საზოგადოდ მისი ფაზების ცვლასთან და კავაშირებით იყო შემუშავებული. „ქარგას“ და „აცულ“ მთვარეს სეანები ამ მნათობის ფაზების მიხედვით არჩევდნენ და თავის სამეურნეო და სხვაგარ საყოფაცხოვრებო საქმეებს მათთან შეკარდებით აწერილებნენ. ზოგადად ააბილ მთვარე „ქარგ“, ხოლო ძეველი მთვარე „ცულ“ მნათობად თველებრივა, ააბალ მთვარეზე ამორცენებული პურეული, ნამატი საქონელი თუ სხვა რამ, ხალხის აწმენით, სწრაფად იზრდებოდა და ამასთანავე, მაგალითად, გოჭები მშეყირილა, საქონელი ფხიზელი გამოლიდა. სამაგისტრო ძეველ მთვარეზე, განსაკუთრებით თერაბეტილან კცდასუთი დღის მთვარემდე, დაწყებული საქმე ნაცლულებინი და უბარაქო იყო. სეანს რომ ეფიქტა კიდეც ამ დღეების ნახელარიდან რაიმემ უგების იხეიროსო, ის მაინც დარწეულებული იყო იმაში, რომ მიღებული პროდუქტი სწრაფად დაელეოდა და გაუქრიმოდა. ამის გარდა, „კარგი“ და „ცუდი“ მთვარე ამ მნათობის დღეების მიხედვით გაირჩეოდა. „მეტად კარგი“ და „ბელნიერი“ იყო ერთი, სამი და ხუთი დღის მთვარე. ექვსდღიანასაც არაუშავდა-რა, მაგრამ მას სიფიცინ ახასიათებდა და ამიტომ მნათობის ამ დღეებში მოსახლე სახლიდან არას გაიტანდა და არაფერს განათხოვრებდა. მიწის მეურნე ხენა-თესეას რეა-ცხრა დღის მთვარეზე იწყებდა—ჯეჯილის ამსახლისათვის კარგით. რეა-ცხრა დღის მთვარე, მისი აზრით, მსუბუქი იყო და მცენარის ზრდას ჟელს უწყობდა. ამ დღეების მთვარე კარგი იყო ბაგშების ზრდისთვისც. საერთოდ, იგი ყველაფრისი ზრდასა და მატებას იწვევდა, ადამიანთათვის უარყოფითი მოვლენებისასაც კი. ამიტომ ახალი მოსავლით დატვირთულ კიდობნებს მთვარის ამ დღეებში არავითარ შემთხვევაში პირელად არ გაისწიდნენ და ახალი მოსავლის ხმარებას არ დაწყებდნენ—დანაკლისი სწრაფად გაიზრდება და მარაზი მალე დაგმილებია.

ახალი მოსავლის თივის ხარჯვას შეუდგებოდნენ და ხორბლის, ქურის და სხვა მარცვლეულისა და ფეხილის საცავ კიდობნებს პირველად განსიდნენ ათი ან თხუთმეტი დღის მთვარეზე, რადგან ამ მთვარეზე დაწყებული საქმე, სვანების ღრმა აწმენით, არც იზრდებოდა და არც კლებულობდა. ასევე სავსე მთვარეზე ილოდნენ სათანადო ჭურჭელში მარცვლეულ-ფეხილეულისა და თხიერის მოთავსება—ეს ჭურჭელი დიღხანს საესე იქნებაო. ხალხის ფიქრით, ათიდან თხუთმეტი რიცხვის მთვარის. დღეებში გატე-თებული საქმე ისეთივე სრული და საესე იქნებოდა, როგორც ამ დროის მთვარე იყო. თხუთმეტი დღის მთვარის შემდეგ არც საშენ და არც სა-

შვავ მასალად ტყეში ხეს არ მოსურიდნენ—გამძლეობა არა აქვთ. ჩვიდომეტი დღის მთვარეც არ ვარგოდა, რადგან იგი „ძალიან მაგარი“ იყო. განსაკუთრებით „ცუდ“ მნათობად შვიდისა და ოცდაოთხი დღის მთვარე ითვლებოდა. უკანასკნელ მთვარეზე მოწეული პურეული სასიკეთო არ იყო და ამ დროს დაბადებული საქმეელი არ ვაირიცებოდა. ამიტომ ამ საქმეელს სვანები და დაუზოგადდ და უდროოდ დაპერავდნენ ხოლმე. „ცუდ“ მთვარეზე დაბადებულ ადამიანსაც კი იყო ზენ გამოყვებოდა.

საზოგადოდ, თუ რამ მარცხს განიცლიდა სვანი რომელიმე საქმის წამოწებაზი, თუ მას დაკარლებოდა რამე — „ცუდი“ მთვარის ბრალი იყო. ოჯახის გატირების, არევ-დარევისა ან, ბირიქით, მისი ღოვლათიანობისა და მშენილობიანობის მიზეზიც „ცუდი“ და „კარგი“ მთვარე იყო. მონაცირე სანალირო „კარგ“ მთვარეზე წავიდოდა. სამგზავროდ სვანი „კარგ“ მთვარეს შეიტრევდა. საქონლის დაკორდა, არაყის გამოხდა, სახლის სამირკვლის ჩატრა, ქორწილის გადახდა და სხვა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო და მინშვნელოვანი საქმის გაკეთება „კარგ“ მთვარეზე ხდებოდა. ერთი სიტყვით; მთვარესთან დაკავშირებული და მთვარეზე ღმოვიდებული იყო მცენარებისა და ცხოველების ზრდაც, აგრძარული და სხვა სახის სამუშანეო საქმიანობაც, ოჯახის ბარაქაც, ადამიათთა შორის ავი თუ კეთილი ურთიერთდა-მოკიდებულებაც, მათ წერიბრივი თვისებებიცა და მრავალი სხვა მოვლენა-ვნებიან.

როგორც ჰემომიუგანილი სხვა გამომნაშობი, ისევე ეს მაგალითებიც თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არის დამოწმებული და მთაშიასახული დუალისტური კუნცეულია მსხვილფეხა საქონლისა და განვითარებული აგრძარული მეურნობის გარემოვაში მცხოვრებ სვანებს ეკუთვნის. მაგრამ მთვარის დუალისტური ბუნება და შესაფერისი მოქმედებები გენეტიკურად რელიგიური აზროვნებისა და პარაქტიკის უძველეს საფეხურს განეკუთვნებიან.

მაგალითების მიხედვით: ა. ახალი მთვარე ან, სხვანაირად რომ-ვთქათ, მთვარე თავის ზრდისა და მატების ფაზაში მცენარეების, ცხოველების, აღა-მიანთა (ბაგშეების), საერთოდ ყველაფრის ზრდასა და მატებას იწვევს. საესე მთვარე არც მატულობს, არც კლებულობს —საესე მთვარის ღლებში დაწყებული საქმეც ასევე არ მატულობს და არ კლებულობს; ამ დროის ნახელარი, მთვარის მსგავსად, საესე და სრულია. ძელი მთვარე კლებულობს და ილევარ —ძელ მთვარეზე დაწყებულ საქმეს გამძლეობა არა აქვს; ამ დროის ნახელარი ნაკლულოვანი და უბარაქო. ჩვენი ენით რომ გამოეხატოთ ეს აზრები, ნიშნავს: მთვარე მაგიურად მოქმედობს; მისა გარკვეული სახის მოზრაობა და მდგომარეობა ვარეზე ბუნების ობიექტებისა და მოვლენების მსგავს მოძრაობასა და მდგომარეობას იწვევს. მაშსაღმე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს გენეტიკურად რელიგიური აზროვნების იმ პრინციპთან, რომელსაც მსგავსების კანონი ეწოდება.

ბ. მიწის მეურნე სვანი ხნა-თესვას ახალ მთვარეზე იწყებდა — ნათესი იხარებს და გაზრდებათ. სავსე მთვარის ღლებში სვანი აკეთებდა ყველაფრის ისეთს, რის ისისავს და სისრულე სურდა; პურეულის საცავ კიდობნებს პირ-

კულად საცხე მთვარეზე სწნიდა და მოსავლის ხარჯვას ამ დროს იწყებდა — დანაკლისი არ გამეზრდებაო; შესაფერის ჭურჭლებს მარცვლეულ-ჭქვილეულითა და თხიერით ასებდა — ჭურჭლები დიდხანს საცხე იქნებაო. ეს და მსგავსი (იხ. ზემოთ) მაგალიერები გადმონაშეთები იმ შესგბისა, რომლებიც ზემოაღნიშნული შეხედულების ზეგავლენით იყო შემუშვებული. მათი მიხედვით, როგორც ჩანს, ადამიანი ხელონერად ქმნიდა ისეთ წინაპირობებს, რომლებზეც მთვარის მაგიური ზემოქმედება მიას (ადამიანს) კეთილდღეობას მიანიჭებდა.

გ. ახალ მთვარეზე სცანი პარკელად არ გახსნიდა ახალი მოსავლით საცხე კიდობანს და მოსავლის ხარჯვას არ დაწყებდა — მოსავლის დანაკლის გაიზრდებაო. ის ძეველ მთვარეზე ტყეში ხეს საშენ და საწვავ მასალად არ მოსტრიდა — გამძლეობა არ ექნებაო; ამ დროს პურულს არ დათესავდა, არ მომენტიდა, შეინ არ შეიტანდა — სასიყოთოდ არ მომხარდებაო. თავისათვად ცხადია, რომ ეს მოქმედებები ტაბუს გამოხატავდნენ, ადამიანი კრძალავდა ყოველივე იმას, რაჯეც მთვარის მაგიური ზემოქმედება მისთვის (ადამიანისათვის) საზრინო იყო.

ამგვარად, მოყვანილ მაგალითებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მთვარესათ დაკავშირდებული დუალისტური იდეები თავისი წარმოშობით არქაული ხანის შეხედულების ნაყოფია და ამ იდეებისა და რწმენის შესტყვისი პრაქტიკაც მაგიურ მოქმედებათა, — იმიტატიური მაგისისა და ტაბუს, ე. ი. იმავე არქაულ ხანიდან წარმომდინარე, — ნიმუშებს განასახიერებს.

შემდეგში ამ მანათობის მმართ მაგიური დამოკიდებულება როულ რელიგიურ წესებში გადაიზარდა, დუალისტური კონცეფციის ზეგავლენით ყველგან ქართველ ტომებში და კერძოდ სეანებშიც ახალი მთვარისა და მისი მეოთხედების თავისანის ცემა განვითარდა და მთვარის ფაზებთან დაკავშირდებული დღეობები დაწესდა¹. ამ დუალისტურმა კონცეფციამ, როგორც ირკვევა, თავი იჩინა მთვარისა და თვალის ურთიერთშემართების საკითხშიც და, აღაბათ, მთვარის. ფაზების ძალის შესახებ რწმენის საფუძველზე სათავეანებელ მნათობლებას, ერთი მხრით, თვალის სისალის, მისი შექმის გადიდება-გაძლიერებისა და, მეორე მხრით; თვალის დასწულებისა და თვალისჩინის დაკლება-გაქრობის ფუნქცია მიენიჭა².

ამავე დროს მოყვანილმა მაგალითებში ცხადჲო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა მიეწერებოდა მთვარის სეანების აგრძარულ მეურნეობაში. მთვარე იწევედა მცენარეების ზრდას; მთვარის დღეების მიხედვით აწარმოებდნენ სენები ხენათესებს, მოსავლის აკრეფას, მის მოხმარებას, რადგან ხალხის რწმე-

¹ ამ დღიობათა აღწერილობა და ანალიზი მოცემულია ივ ჯავახი შვილის მიუ. ხაშურში, გვ. 46—52.

² კინაძემ ჩენებში მთვარის მეოთხედებს მეტად დიდი მნიშვნელობა მიეწერებოდა, უნდა მოკეთებულ, რომ ქართველთა წარმართული რელიგიის ისტორიაში, მთვარის ფაზებში დაკვირვების შედეგად, შემუშავებული იყო სწავლება მთვარის, ვითარება მომავდავი და მცვლიეროთ აღმდგომი ღვთაების შესახებ.

ნით მიწის მეურნეობის ავკარგიანობა მთვარესთან დაკავშირებული და მთვარეზე დამოგაცემული იყო.

საფიქრებელია, ქართველებში მთვარის კულტის განვითარება წინ უსწრებდა მნის შესახებ სარწმუნობრივი სწავლისა და სათანადო თაყვანის-ცემის ფორმების ჩამოყალიბებას. ყოველ შემთხვევაში, მთვარის კულტი ჩენჭი, ფერცის კულტის შეგასად, უალრესად ძველი წარმოშობისა ჩანს¹.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დამაჯირებლობას მოქლებული არ უნდა იყოს, როდესაც სვანური მონაცემების ანალიზის შედეგად ჟერტვის მეურნეობაში და ფერცის კულტთან დაკავშირებით მთვარის თაყვანისცემას ვაღვენთ. ამასთანვე ჩენჭს მასალებში ფერცის კულტი და მთვარის კულტი პერსონიფიცირებულია: ხენშორის შესწავლამ გამოავლინა ფერცის კულტურის-მფარველი ღვთაება; ამანგ დღის რიტუალისა და მასთან დაკავშირებული ხალხის რწმენის საფუძველზე მიყვლეულ იქნა ამ ღვთაების თვალისწინთან და თვალის სწორულებასთან დაკავშირებული ფრენტია; ხოლო ისევ ხანგრძლივი დღესასწაულის ყველა დღეებში — ჰანბას, ჰევდობას და ჭიშლებობას — რიტუალის საღამო ეამს, მზის ჩასვლის შემდეგ შესრულების წესმა ნათელი გახადა, რომ ფერცისა და თვალისწინის მფარველი ღვთაება მთვარე უნდა ყოფილიყო. ამ გზით სვანური მასალის ძირითადი ფრენამ ჩენჭ მოგვცა საქმაოდ მყევთრად ჩამოყალიბებული რელიგიური პერსონაეუ — ფერცის ღვთაება, ვითარება ღამის დიდი მნათობის განსახიერება. უნდა ვიფიქროთ, რომ სვანების რელიგიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე თანაარსებობა და ფერცის კულტები, რომლებიც ერთმანეთთან მშენდებან კავშირში იმყოფებოდნენ. აღბათ, ამგვარი კავშირის შედეგად მოხდა ამ უძველესი მარცვლოვანი კულტურის უზენაესი ბატონ-პატრონისა და მფარველი ნათელი ღვთაების სახით ჩამოყალიბება.

მდგომარეობა როდესაც ჩენჭ ღვთაების სახელის სახითხს ვეხებით. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშვნოს, რომ, თუმცა მანი ეგზშირის უველა დღეებში მოიხსენიება, მაგრამ ფორმალურად მის სახელთან უშესალო კავშირშია მხოლოდ დანიში ანუ ჩანაში, რამდენადაც ჩანიდან ნაწარმოები არის მხოლოდ ამ დღის ეს სახელები — ჩანაში, ე. ი. მანის დღე, და ამანგ ‘დანობა’, მანის დღეობა. რაც შეეხება ხანგრძლივი დღესასწაულის-სახელწოდებას, იგი ჩანაში დღიან არის წარმოებული (ჩანაში → ამანგ დღესასწაული → ამანგ დღესასწაული).

¹ ამ მნათობის თაყვანისცემის ცნობრის ძველ აღმოსავლეთში, როგორც ცნობილია, სუმერებში — ური წარმოადგენდა. სამოგადოდ, მთვარის კულტის თავდაპირველ სამშობლოდ ძველ აღმოსავლეთში სამზრეთ ბაბილონის დაბოლობები ითვლება, ე. ი. ის აღვილი, სადაც კირველად სუმერების კულტურის ავანგ დარწმა. აღსანიშნავია აგრევევე, რომ ჩენჭის ისტორიაში მთვარის კულტი ნაწილობრივ დაკავშირებულია მესაქონლეობასთან, განსაკუთრებით ცხელ ჭვეშებში. ცონიბილია, რომ წინა ახაში, ცხელი ჰავის გამა, მესაქონლე ჩვეულებრივ დანობ მოძარაბადა და მას გზის მარწმებლები ამ დროს მთვარე და ვარსკვლავები იყვნენ. ამიტომ იყო, რომ, მაგალითად, ახაშებში ასტრონომიული ცონა მესაქონლეობის აღრეული პერიოდიდან განვითარდა.

ზიერ || ხენშეერ). ამ ვითარებიდნ ისე გმოღის, თითქოს თავდაპირველად ხანის ძირითადი დღეობა ჯანმზი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგში ხანის კულტი დანარჩენ დღებზეც გავრცელდა. ამავე დროს ზოგიერთი სხვა ფაქტები, რომლებზეც ქვემოთ შეითხოვთ, მოთხოვენ საკითხის გარკვევას. ამ ფერვის ნათელი ღვთავმის თავდაპირველი სახელია, თუ შემდეგში შერქმეული; ის აღგილობრივი სახელწოდებაა თუ უცხო, გარედან შემოსული ორლიგიური პერსონაჟისა, რომელმაც გარკვეული დროიდან ფერვის ღვთავის აღილი დაიტირა და მისი მსახურებისა და თაყვანისცმის მტკვიდრე გახდა. სამწუხაროდ, ამ საკითხის გადაწყვეტა ჩემს შესაძლებლობას აღმარტება. ასებული მასალების საფუძველზე მხოლოდ იმ სახელსპერტივო გზის დასახვა ხერხდება, რომლითაც მომავალში ამ საკითხის კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით დამაფიქრებელია შედეგი შედარებითი მონაცემები.

1. როგორც ირკვევა, სვანებში ფერვისა და მისი უზნაესა ბატონ-პატრიონის კულტი იონა წინასწარმეტყველთან არის დაკავშირებული. ლატალის თემის სოფელ იონაშისა და ლენჯერის თემის სოფელ ქავეთში ნანგრევების სახით შემონახულ იონას სახელის ეკლესიებს სვანები ხანის სალოცავს უწოდებენ. ჩემ მიერ მესტაზი ფიქსირებული დღეობა ჭანაშის ლოცვის ტექსტზეც ლატალის ეკლესიის წმინდან დანის სახელით („ამ ლატალში“) მოიხსენიება. როგორც ჩანს, სვანებს თავისი რწმენა-წარმოდგრები წარმართული ღვთაების შესახებ იონა წინასწარმეტყველზე გადაუტინათ და ამ გზით ქრისტიანობას გარკვეული წვლილი შეუტანია ფერვისა და მთვარის კულტის ჩენამდე დაცვის საქმეში.

რადგან იონა წინასწარმეტყველთან ფერვის ღვთაების კავშირი ეჭვს გარეშეა, ჩენ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ სახელი ამ იონას სვანური ფორმაა, რომელიც ამ წარმართულ ღვთაებას იონასთან დაკავშირების შედეგად გაუჩნდა. მაგრამ რას უნდა გამოიწვია ფერვისა ნათელი ღვთაების დაკავშირება მაინცდამაინც იონა წინასწარმეტყველთან? ქართველთა რელიგიის სტორია აღსასეა ქრისტიანულ წმინდანებთან წარმართული ღმერთების სინკრეტიზმის მიგალითობთ. ამ მგალითებზე დაკვირვებამ დაგვარჩეულა, რომ ქრისტიანული მოძღვრებით წარმართულის შეცვლის ზოგად პროცესში გარკვეული წარმართული ღმერთების აღღონის აღღონის თაობას სახანგაბო შერჩეული წარმართული ღმერთების აღღონის აღღონის თაობას სახანგაბო შერჩეული წმინდანები. იონა წინასწარმეტყველს კი, სახელის გარდა, არაფერი უჩანს საერთო ფერვის ნათელ ღვთაებასთან. ამიტომ შესაძლებელია იონა წინასწარმეტყველთან ფერვის ღვთაების დაკავშირება უბრალო თანხმიერობის შედეგი იყო მანთან ებრ. თუ ან ბერ. თუ ან იავა, თუ ან იავა, თუ ან იავა, მაშინ იონა წინასწარმეტყველს კი, სახელის გარდა, არაფერი უჩანს საერთო ფერვის ნათელ ღვთაებასთან. ამიტომ შესაძლებელია იონა წინასწარმეტყველთან ფერვის ღვთაების დაკავშირება უბრალო თანხმიერობის შედეგი იყო მანთან ებრ. თუ ან ბერ. თუ ან იავა, თუ ან იავა, თუ ან იავა, მაშინ იონა წინასწარმეტყველთან დაკავშირებამდეც ფერვის ღვთაებას ამ ამის მსგავსი სახელი უნდა ჩემვიდა.

მაგრამ შესაძლებელია ეს ბიბლიური პერსონაჟი ფერვის ნათელი ღვთაების შემთხვევით მეტყვიდრე არ იყოს. საქმე ისაა, რომ იონა წინასწარმეტყველს სპეციალისტები აკავშირებენ სუმერულ თანხმიერობის მითთან, რომელიც

¹ Hans Schmid, Jona, Göttingen, 1907.

5. მასალ. ეთნოგრ., V

შოთხრობილი ჰქონდა ბეროზოს ს თავის ხალხისა და ჯაილიგაში. ეს შითი ქართველებისათვის ვგონებ უცხო არ უნდა აღმოჩნდეს. უძველესი კულტურული მარტივობანის—ფერების უზენაეს მფარეველის კულტი, ჩვენის აზრით, ემაურება სუმერული ოანესის მითის ზოგიერთ მონაცემს. ასე მაგალითად, ბეროზოს ათანად, ოანესს მარტივონენ მცენარეების წარმოშობას. მასთან ერთად ბეროზოს მოგვითხრობს, რომ ოანესმა ხალხს მიწის დაწერა (კვალის გავლება), თესვა და ნაყოფის მომქა ასწავლაო¹. შესაძლებელია ოანესის მითის ანარეკლი ამირანის მითშიც მოინახოს. სხვა არა იყოს რა, საყურადღებოა, რომ ამირანის სწორედ სვანურ ვერსაბში ჩვენ ეხვდებით თხრობას ამანის ანუ დამანის შესახებ. მითის ზოგი ვარიანტით დამანი ამირანის („ამირმ“-ის) აღმზრდელია², ზოგან კი ამანი ამირმის ძმად გვიპლინება.

2 გასარკვევია საკითხი სვანური დანისა და ძველი რომაული ლვთაბის Janus-ის ურთიერთობის შესახებ. რომაული ორლიგიური წლის პირველი დღეობა, რომელიც Janus-ის სახელზე იყო დაწესებული, წლის პირველ დღეს (Kallendae Januariae) მოიდიოდა და ამ დღეობაზე ლვთაბის მთავარ შესაწირავს გამომცხვარი ტაბლები (Janua) შედგენდა. Janus-ი მაჩეული იყო ლვთაბრივ წეკარედ (ianus—კარი, კარში შესავლი), რომელსაც სალების პიმნში მოუწმობდნენ Clusius-ის ანუ Clusinius-ის (დამბშობი) და Patulcius-ის (გამლები) სახელებით. მის ატრიბუტს გასაღები და კვერთხი შეაღვენდა. ამავე დროს Janus-ი აკვლევარი საწყისის, ყოველ ქერსა და მოკლენაში პირველი საფეხურისა და მოქმედის მფარეველად ითვლებოდა³.

სკანდინავიური დანისა და ძველი რომაული Janus-ის ურთიერთმიშართების საკითხთან ერთად ეტრუსკული Janus-ი და Ani-ს საკითხიც ისშის. ეტრუსკული Ani წერილი ბრინჯაოს ლვიძის გამოსახულებაზე⁴. Janus-ი ეტრუსკულად ცას ალნაშენდა;— შეადარეთ დანის ეპითეტი „ხან დეცეშ“ „ხანი ცისა“. უნებლივი გვაგონდება აგრეთვე ძველი-ბაბილონური პანთეონის დიადი ლვთაბრივი ტრიალის პირველი წევრი—სამხრეთ ბაბილონის მთვარის ლვთაება, რომელსაც ურში თავავანსა სცემდნენ როგორც ‘ცის მეუფეს’ Ani-ს⁵.

¹ Roscher, II, 577-580; H. Schmidt, 73-87.

² სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისის ამხან. გამოცემა, № 4, 1893.

³ Roscher, II, 15 შმდ.; ფრ. Л. и Б. кер, Реалистичный словарь классической древности, 505-506.

⁴ Müller, Etrusker², II, 58—Roscher'-ის ლექსიკონის (II, 15) მიხედვით.

⁵ Roscher, II, 15 შმდ.

⁶ ეტრუსკების მცირებაზური წარმოშობილობისა და ხუთურ-იბურულ საზურისთ. ნმათი კავშირის შესახებ იხ. „ენციკლ.“-ის მოამბეში, ტ. I, ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტ-ბარენი, იბერი; გ. ჩირაია, რაჭული სახენგლი; აგრეთვე F. Schachermeyer, Etruskische Frühgeschichte, Br. u. Z., 1929.

ლ. პოზორიზელი

ხმასურული „პირი“¹

შორეულ წარსულში შექმნილი ბევრი მოვლენა ქართველმა ტომებმა გადამონაშით სახით უკანასკნელ დრომდე მოიტანეს. კერძოდ, ქართველმა მთავრებმა ზოგიერთა მათგანი თათქმითი ადრინდელი ცხოველმყოფელი შემოინახა (ამ შემომავალში, ძირითადად, რევოლუციამდელი საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფა გვაქვს მხედველობაში).

უძველესი კულტურის მემკვიდრეობას წარმოადგენს მთიელთა რელიგიური სამყაროც; ხევსურების ჩელიგია, ამ მხრივ, კლასიკურ მაგალითად უნდა მიღინიოთ.

ხევსურული რელიგიის წარმართული ხასიათი თითქმის ყველა მოგზაურმა და მევლევარმა შენიშნა, ვინც კი აქ იმოგზაურა ან ამ ტომის ეთნოგრაფიულ ყოფას შორით მაინც დააკვირდა. ზოგმა ის რამდენიმე სიტყვით დაახასიათა, ზოგმა კი მასზე საგანგებოდ იმეშავა.

ჩვენი ნაშრომის მიზანია: შორისული მემორიებული ფაქტების საფუძველზე გაარევოთ ხევსურთა წარმართული სარწმუნოების ზოგიერთი კონკრეტული თავისებურება.

სრული ცეკველებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მთიელების რელიგია ნამდვილად წარმართულია, ქრისტეს მოძღვრება შესამჩნევად სუსტი და ადვილად გამოსცალებელები დაფენება. ხევსა და მთიულეთ გუფამცყრის იდეოლოგიურ სამყაროში შეიძლება, ქრისტიანობასთან შერწყმული წარმართული კულტების მძლავრი გამომნიშვნების მოქმედებით, მაგრამ უშავში, თუშეთსა და განსაკუთრებით კი ხევსურეთში — წარმართული რელიგიის გადმონაშობით კიდევ უფრო მეტად და მძლავრად იყო წარმოდგენილი.

მოცულელ საკითხთან დაკავშირებული კლევა-ძიების დაწყებამდე საჭიროდ მიგვაჩინა ორიოდე სიტყვა საქართველოს მთიანეთის რელიგიურ წარსულზედაც ვთქვათ.

ძეგლი ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძეგლში, ქართლის მოქუცეას-თან ერთად, მთიელთა გაქრისტიანების პროცესიც არის აღწერილი. ცენტრალურმა ხელისუფლებამ „მთეულთა“ მოქცევაც გადაწყვეტა. ამ მისით შესარწყლებლად, „წარვიდა ნინო და გიოსკონი იოვანე, წარვიდა მეფე და ერისთავი ერთი; მიეიღეს და დადგის წომენს და მოუწოდეს მთეულთა, პირუტყულ სახეთა მათ კაცთა, ქართალელთა, ფხოველთა, წალ-ლაკასანელთა და გუდამა-

¹ შინამდებარე წერილში გადმოცემულია 1944 წ. დაბუშვებული და 1947 წ. შევსებულის ნაშრომის შემსრულებელი ბაკოთული 1948 წ. მასში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სსოფლისადმის შიძლვილ სმეცნიერო სტატიაშე.

ყრელთა, და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჰუშარიტი, შიმყვანებელოცხოვრებად საუკუნოდ.

ხოლო მათ ორა ინებეს ნათლისლება. მაშინ ერისთავმან ქართლისმან მცირედი წარმართა მახუილი მათ ზედა, ძლევით შემუშანეს ქრისტი მათნი. გარდაპოვიდეს შუნით, და დადგეს ქალეთს, და უქადაგეს ერწო-თანაცელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-ილეს. ხოლო ფხველთა დაუტევეს ქუყანა-მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეული უშრავლესნა არა მოიქცეს, არამედ წარკრძეს იგინი და შეცოტეს, და რომელიც უკნასენელ მრავცივნა აბიბოს ნეკრესელმან-და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასვე შინა დღეს-აქამომდე¹.

ქართველი მეტატიანის ეს თხზულება, როგორც ცნობბლია, ზღაპრულ ცნობებსაც შეიცავს, მაგრამ ზოგი რამ მარც ისტორიული ამბების ანარეკლს წარმოადგენს.

ქართველ მთიელთა, კერძოდ ფხველთა, წარმართობაზე მოვითხრობს თამარის ისტორიკოსიც, როდესაც ის სამეფო სპისა და განდგომილ ფხველ-დიდოთა ლაშქრის შებრძოლების აბავს აგირშერს.

საცეციირო ლიტერატურაში გმოთქმული აზრის თანახმად, „ფხველებში“ („ფხველებში“) თანახელროვე ხევსურები და ფშავლები უნდა ვიგულოთ. ეთნოგრაფიული, ლინგვასტური და ისტორიული მონაცემების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს, რომ ქართველი მეცნიერების მიერ უამოთქმული მოსტეუბა ჩევნ სამართლიანად მიიჩნიოთ².

შშილობიანი გზით გავრცელებულმა თუ ცეცხლითა და მასვილით შექრილმა ქრისტიანობამ მთიელთა სარწმუნოებაზე მხოლოდ ზერელე ზეგავლენა მოახდინ, გაბატონებული რელიგიის ადგილი მან ვერ დაიკავა. წარმართო მთიელი „ქრისტიანის“ სახელით მოინათლო, მაგრამ თავისი მამა-ბაპის რელიგიას მან არ ულალატა. საუკუნების მანილე ქართულ ეკლესიასა და მთიელთა წარმართულ სტატ შორის დაუსრულებელი ბრძოლა წარმოგდა. ჩევნ ქვეყნის მთიანეთმა, კერძოდ კი ნებურეთმა, წინა ქრისტიანული რელიგიის ვადმონაშთი მტკიცედ დაცა და მე-20 საუკუნე-მდეც კი მოიტანა. ფშავლებისა და ხევსურების რელიგიური მრწვანესის თავისებურება კარგად გაითვალისწინა გახუშტრი ბაგრატიონმა და იგი საგანგმოდ აღნიშნა: „და ორიან ესენი საქართველო ებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქესთ სასოება ქადაგსა ზედა, რო-

¹ ქართლის ცხოვრება, ანა დეოფლისეული ნუსხა, თბილისი, 1942, გვ. 80 (შდრ. ქართლის ცხოვრება, ნაწ. პირეველ, ბროსეს გამ., სანქტ-პეტერბურლი, 1849, გვ. 97—98).

² ვა სუ შრო, ალწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაციით, თბილისი, 1941, გვ. 83, 93; А. Шавиадзе. Отчет о летней командировке в Душетский и Тбилисский уезды Тиф. губ. для изучения грузинских говоров. Изв. ИА. Наук., с. VI, № 18, С.-Петербург, 1913, გვ. 1072; ივ. ჯავახიშვილი, ქართველ გრის იურობრა, წიგნ მეორე, ტფილისი, 1914, გვ. 301, 304; Н. Я. Марр, Кавказские наименования и местные параллели, Петроград, 1922; ს. ჯანაშია, საქართველო ადრ. ნდელი ფილალისაციის გზაზე, ტფილისი, 1937, გვ. 99; ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფილისი, 1935.

შელი წამოდგების კაცი უცები და ვითარება ხელქვენილი, და ღალადებს შრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყვის, სთნავთ და ჯერ იმენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა¹.

ქრისტიანობის აღმაღებელმა საზოგადოებამ წარსულ საუკუნეში ქრისტიანული ეკლესიები თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ააშენა, მაგრავ ამ ხერხში წარმართული რელიგიის გაღმონაშობები ოდანავადაც ვერ შეარყია. მიმდინარე საუკუნეში მომხდარი რევოლუციური გარდატების შემდგომ ქრისტიანული ტაძარი უმტკიცებულიდ გაუქმდა, წარმართულმა ხატმა კი, მცირე დროის შანძილზე მანცც, კვლავ შეინარჩუნა სიცოცხლე.

ჯვრის გამოსხეულების საკითხმა 1942 წელს მიიქცია ჩენი ყურადღება. ა. „ხევსურული ტალვარის“ ირგვლივ წაკითხეულ მოხსენებაში ჯვართან დაკავშირებულ საკითხსაც შევეხეთ და, ეთნოგრაფული გასალებისა და ძველ ქართულ მწერლობაში (თანარის ისტორიკოსის თხულებაში) დაცული ცნობების საფუძვლზე, სავარაუდო მოსაზრება წამოვაუწეოთ. 1943—44 წლებში, ბუდეებებურეთსა და არხოტის თემში შეკრებილმა ეთნოგრაფიულმა მასალამ აღნაშენულ მოსაზრებას დამაჯერებელი დასაკრძნი შეუქმნა, სავარაუდო მოსაზრება გაამართლა. ამის შემდგომ უცევ ძნელი აღარ იყო სხვა საკითხების მრგვლივ დაწერილ ეთნოგრაფიულ ნარკევებში ჩაენთვის საყურადღებო ფაქტები დაგვენახა და ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში დაცული ხელთაწერი მასალებიც ამ თვალსაზრისით გაგვეთვალისწინებინა.

აღრინდელი სამყაროს ცივილიზებულ ხალხთა მიწა-წყალზე მოპოვებული ჭეგლები ცხადჰყოვენ, რომ ქრისტიანული მოწოდებებს სიმბოლოდ აღიარებული ჯვარი ქრისტიანული ეპოქის ქმნილებას არ წარმოადგენს. კარგად არის ცნობილი, რომ ჯვრის გამოსხეულება წინაქრისტიანულ ხანს განეკუთვნიბა, მისი წარმოშობის საწყისები ძველი ლრობის საუკუნეთა სილმეში იძებნება².

ჯვრის გვარეობის კოველგვარ ნიშანის, რა თქმი უნდა, ყოველთვის ჯვრის გამოსახულებად ვერ მიღინჩევთ. ეს გამოსახულება მთოლოდ იმ შემთხვევაში იმსახურებს „ჯვარის“ სახელშორდებას, თუ მას, როგორც ორნატურს, დამოუკიდებელი არსებობა აქვს და, უმთავრესად კი, მაშინ, როდესაც იდეოლოგიური გააზრინებია ახლავს.

სტორი დამტერლობის ერთი იეროგლიფთაგანი სამმხრივ კუთხოვნად შექოზლუდი ჯვრის სახით არის წარმოდგენილი, ერთ-ერთი იეროგლიფი კი ჯვრის სახესხვაობად მიჩნეული გახატული, ე. ი. ირიბი ჯვრით, არის წარმოსახული. არც ერთი ამ ნიშანთაგანი, შინაარსობრივია, ჯვართან არ არის

¹ ვ ა უ შ ტ ი, აღწერა საქართველოსა, გვ. 92.

² ჯვარის საკითხმან დაკავშირებით იხ. გ. ბარდა ველი და გ. ჩიტა ია, ქართული ხალხური ორნატური, ტ. 1, ხევსურული, თბილისი, 1939 წ., გვ. 5; ად. ჯვარის მუზეუმი, ქველათო-მემორიალური მამაკანის გამოსახული, 1950 გ. (автореферат).

दायाग्नेशिरेभुलि. तोर्वेलि मातगानी, तरं तं न इ स मिहेदगित, सासक्केल्पे गामोहा-
त्रिएस, मेंवर्णे निश्चाना की, इमावे मेंप्रनिहास लास्क्वनित, गान्सान्विष्वलि सिद्धिदौस
हिप्रेस अल्निश्वास¹. अधिग्वार्लाद्वय उन्डा इन्द्रेस ग्राथरान्विष्वलि निरुष्टि मित्रावेश्वभु-
लि ग्रन्तेद्वाक्षुद्वलि ज्वरिस इस लामि ग्रामिसाब्दुल्लेद्वाप, हिमेलिप ग्रवावेश्विस म्वे-
लि सामेष्विस दर्लोन्देल ग्रहत शुर्हात्वेश्विस अरिस लाल्देश्विलिप: एग्वावेश्वरि स्विमोनिस-
स्विर्वाता श्वरिस इग्वाग्लिप्पुरि निरुष्टिरावा निरुमोन्देश्विलि दा शेमोक्सेश्विलि
लि ज्वर्वेश्विप ल्लेश्विस श्विनारहिस ग्रामोहिमावेश्वल इग्वाग्लिप्पुरि श्वरिस अरिस
म्वेश्विल्ला². एग्वावेश्वेल्लेश्विप अ निश्वास एक्लावेश्विस लाल्सान्विश्वाद ब्रामोन्देश्विन.
अम्वाता ज्वरित, अ एस श्वजान्विश्वेल्लि ग्रार्वेश्वेल्लि सासीस इग्वाग्लिप्पुरि ग्रव्वर्वेल-
श्वेश्विल्लि अल्निश्वेल्लि, श्वेमोन्देश्विलि, एग्वावेश्विस श्वेल्लिप्पेश्वेश्वेश्विलि
श्वेश्विन. एग्वावेश्विप इग्वाग्लिप्पुरि श्वरिस श्वेश्विरि ग्राथावेश्विस म्वेश्विस निश्वासिप
ज्वेश्विप, ब्रामोन्देश्विप, अ श्वेश्विक्षेश्वाश्विप, इस श्वेल्लेश्विस ग्रामोहिमावेश्वेलि लाल्देश्विल-
दिस एर्लो-ग्रहत एर्लेवेश्विर्लाल ग्रव्वेश्विनेश्विप³.

ज्वरिस मोन्देश्विल्लिस उप्पेला अर्क्केल्लेश्विग्विरि निश्वित दा म्वावेश्विल्लिस ग्वेवात-
ग्रामोन्देश्वेल्लि ग्वेवाता ज्वरिसेश्वेल्लि सासान्देश्विप उप्पेलेत्वेश्विस ज्वरिस ग्रामाशेश्विर्वेश्व-
द्वाल ग्रेव इन्द्रेश्विप मिन्देश्वेल्लि (भाग., क्वावासाश्विप मोन्देश्वेल्लि द्विनेश्विस ग्रामोन्देश्विप
अम्वेश्वित्विल उर्मिस ज्वार्वेश्विनिक ब्रामोन्देश्विप ज्वरिस साश्वेमोन्देश्विप ग्रेव: इन्द्रेश्विप मिन्देश्व-
द्वेल्लि⁴).

ज्वारित, एर्लोन्देश्विप श्वेश्वित्वेश्विप उप्पेश्वित, निरुमिहात्वेश्विल निरुमेन्देश्विता दात्विन्देश्विलिस
श्वान्देश्विप एर्लोन्देश्विप निरुमेन्देश्विल दा निंग श्वेश्वित्वेश्विप, एर्लोन्देश्विप श्वान्देश्विप, एर्लो-
ल्लेश्विरि ग्रेश्वेल्लेश्विस एर्लोन्देश्विप श्वेश्वित्वेश्विल. अधिग्वार्लि ग्राथावेश्विप दामोहिमावेश्विल-
श्वेलि अर्क्केल्लेश्विग्विरि मेसाला क्वावासाश्विप—ग्वेलि अमोन्देश्विलेत्वेश्विस श्वेश्वित्विल
द्वाप इन्द्रेश्विप दा ग्वेलिस श्वेश्वित्वेश्विप निरुमेन्देश्विल ग्रामोन्देश्विप दात्विन्देश्विलिस
दात्विन्देश्विप अमोन्देश्विल⁵.

स्वेश्वाश्विप अमोन्देश्विल एर्लेमिक्षेल्लि उर्माग्वेश्विल श्वेश्वित्वेश्विप “स्वेश्वित्वेश्विप” साश्वेल्लिप्पेश्वित
प्रेश्विलिस ज्वरिश्विप ग्रामोन्देश्विल दा एर्लो-ग्रहत ग्वेसिस साश्वेश्विल दात्विन्देश्विप, ल्वत्वेश्विप दात्विन्देश्विप
दात्विन्देश्विप ग्रामोन्देश्विल दात्विन्देश्विप श्वेश्वित्वेश्विप, श्वेश्वित्वेश्विप श्वेश्वित्वेश्विप
श्वेश्वित्वेश्विप श्वेश्वित्वेश्विप श्वेश्वित्वेश्विप श्वेश्वित्वेश्विप श्वेश्वित्वेश्विप श्वेश्वित्वेश्विप
ज्वरिश्विप ग्रामोन्देश्विल⁶.

¹ Б. Гроэнинъ, Об одной интересной „хеттской“ иероглифической надписи. Вестник древней истории, 1 (2), Москва, 1938, 83-88, 24, 26.

² Б. А. Тураев, История Древнего Востока, т. I, Ленинград, 1936, 83. 188.

³ A. Erman, Aegyptische Grammatik, Berlin, 1894, 83-88, 13, 41, 56; м ० ६ ० ३ ३, Die Hieroglyphen, Berlin und Leipzig, 83. 88, 26, 120.

⁴ Ж. де Морган, Доисторическое человечество, Москва-Ленинград, 1926, 83. 292.

⁵ Ed. Meyer, Reich und Kultur der Chetiter, Berlin, 1914; D. Fimmen, Die-Kretisch-Mykenische Kultur, Leipzig-Berlin, 1921; G. de Mortillet, Le singe de la croix avant le christianisme, Paris-Reinwald, 1866.

⁶ Y. de Morgan, La Préhistoire Orientale, t. II, Paris, 1926, 83. 88, 266, 305.

⁷ New Chalcolithic Material of Samarran, Type, Journal of Near Eastern Studies, 1944, I.

յո—Եს Ենքնებული ჯვաრი¹. ეგვიპტის სიძველეთა შორის „მიცვალებულთა წიგნის“ დებულებათა მიხედვით შედგენილი სურათებიც გვხვდება². ამნაირ სურათებშე საიქოს გამზიარებულ აღმიანთა გასამართლებაა ინსცენირებული. გასამართლების მონაწილე ღმერთებს—ზოგან ანუბისსა და ხონისუს, ზოგ შემთხვევაში კი ანუბისს, ხონისუსა და ნეიტს—ჯვარი უყრისათ სელთ. თავდამრგვალებული ჯვარი ეგვიპტური იეროგლიფის ფუნქციას ასრულებდა, წაკითხვის დროს ის enh-დ გამოითქმოდა და შინაარსობრივად „სიცოცხლეს“—„ცხოვრებას“ აღნიშვნად გადას.

ღვთაებათა ხელში წარმოდგნილი ჯვარი და სიცოცხლის ვამომხატველი იეროგლიფი შეიძლება გენტიკურად ერთმანეთს დაუკავშირდეს; ეგვიპტური ჯვარი, იქნებ, სიცოცხლის მომნიშებელი ღვთაების დაბაზარითებელ ატრიბუტს წარმოადგანს.

ჯვრის ამგვარი დანიშნულება აშკარად ჩანს ეგვიპტის ახალი სამეფოს ხანაში გადაეკეთებულ თუ ახლად აგებულ ტაძართა შხატვრული გაფორმებილი. ცნობილია, რომ მეორე ათასეულის შუა წლებში, ამენხოტეპ IV-ს მეორ გატარებულ რეფორმათა შედეგად, ეგვიპტური რელიგიამ დიდი ცვლილებით განიცადა. ამენხოტეპე ეგვიპტურთა რელიგიური სამყაროდან ყველა ღმერთი განდევნა და ერთადერთ უზრუნველყოფა ღმერთებით „ატონის“ სახელში დარღვეული შეეგრძოდა. დიდი ამონიც განდევნილ ღმერთებში მოჰყვა და თავის საკუთარ სახელადც მეფე-რეფორმატორმა ამონის სახელაან დაკავშირებულ ამენხოტეპს ნაცვლად ენატონი აირჩია. საკულტო ხასიათის მხატვრობაში აღრინდელი ზეარსებების აღილი ხელებით გარემოცულმა შეის ღისკომ დაიკავა. იმდროინდელ რო სურათზე, შეის გამოსახულების ქვემთ, თვით ენატონიც არის წარმონაბრუნვილი ფაქას წევრებთან და ქვეშევრლომებთან ერთად. ერთ სურათზე განსახიერებულ მხის დისკოზზე თავმრგვალი ჯვარიც არის მოცემული, მეორე სურათის მიხედვით კი ამგვარი ჯვრები შეის სხივთა ხელში და არის ჩამოკიდებული. შეიძლება აქ რელიგიური ტრადიციის გაგრძელებასთან გვერდეს საქმე: ძველი ღმერთების საბრძანებელა ატონში დაიკირა და ღვთაების ატრიბუტიც, ჯვრის სახით წარმოდგნილი, მან მითოვის.

ვარნილული მცირეულები მასალაც კი ცხადებულს, რომ ორიანუნტისა და სარწმუნოებრივი ემბლემის როლში წარმოდგნილი ჯვარი ქრისტიანობის გაბატონებამდე არსებობდა. „სასიცელილოთ კაცთა დასამსწულავად“ გარდა კრისტიან ძლისაც ხომ ცივილიზებული კაცობრიობა ქრისტეს ჯვარმცმლე იწონდა. ქრისტიანობამ, აკად. ს. ჯანიშვილის სატევყვაბით რომ ვთქვათ, გამოყენა ის, გაეგრცელა ხალხის ფართო მასებში ეს ემბლემა და მას თავისი სამსახური დაკისრა“³.

¹ Б. А. Тураев и И. Н. Бороздин. Древний Мир.

² იქვ. გვ. 8. Б. А. Тураев. История Древнего Мира, т. 1, გვ. 303.

³ A. Erman, Die Hieroglyphen, გვ. გვ. 18, 20, 26, 27, 64.

⁴ „ჯვარი, როგორც ფოლდაური რელიგიისა და იდეოლოგიის სიმბოლო“, განხილულია აფად. ს. ჯანიშვილის ნაშრომში—საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გუბაზე ტუილისი, 1937, გვ. 96 (აყად. ს. ჯანიშვილის ნაშრომშია ამ ადგილზე მიგვთოთ დოც. ვ. ბარი ავ გლი იკ მ); ვ. თოფური ია, ქაა-ჯვარანი საქართველოში, მასლები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 4, თბილისი, 1942 წ.

სენატურული ჯვრის შესწავლა, ამ მხრივ, უფრო საყურადღებო ვითარებას არკვევეს. ხეგისურეთის რელიგიურ სინამდვილეში, როგორც ქვემოთაც დავინაზაყო, ჯვრის კულტი მეფიობს.

ჯვრის გამოსახულების რელიგიური თუ ესოეტიკური გამოყენების ფაქტი, მეტრაკლაბი გავრცელებულობით, თითქმის ყველა ქართველი ტომის ყოფაშია დამოუწებელი, მაგრამ ყველაზედ ღრა ფეხები მას ხეგისურეთში აქვს გადგმული. სენატურული ტაავარის ყაველ ელემენტში ჯვრის სახეებია მოქარელთა შორის ჯვარს საპარიო ადგილა აქვს დათმობილი, ავეჯზე ჯვრებია მინიჭებულობული, ხეგისურათ სულიერ სამყაროში ჯვარია გაბატონებული. ამიტომაც არის, რომ საშორიშმი შემდგენია თანმიმდევრობა დაკული: ჯვარი — ორნამენტი, ჯვარი — სარწმუნობრივი სიმბოლო და ჯვარი — ლოთება.

ხეგისურები ჯვარს „ხატია“ და „ჯვარს“ უწოდებენ, ამავე სახელებით აცნობენ მას სხვა მწიობელი ქართველი მთელი ტიპის. „ჯვრად“ ის სენიტებენ ამ გამოსახულების საქართველოს სხვა კუთხეების მყიდრნიც, მათ შორის — სვანურად და მეგრულად მოლაპარაკ ქართველი ტომებიც. ჯვრის აღმნიშვნელი მეორე ტერმინი „ხატი“, როგორც ვხედავთ, მხოლოდ აღმ. საქართველოს მთივალებში გვხდება.

წერილობითი წყაროებიდან ეტყ „ბილობთ, რომ ძველ საქართველოშიც ამგვარ ნიშანს აგრძელებ „ჯვარი“ ეწოდებოდა, „ხატი“ კა სახის, ანუ, საბას სიტყვით რომ ვთქვავა, „მსაგავს სახე“, საბანიშვნად ისმარებოდა.

ხეგისურული ორნამენტის გაბატონებულ სახეობას, როგორც ვთქვით, ჯვარი, ანუ ხატი, წარმოადგენს. ჯვრის სახეებით არის შემობილი დიაცის ტაალავარი: სათაურა, მანდელი (თავსაბურავის ელემენტებია²), საღიაცო³, ქოქლო, ფაფანაგი, ქათიძი, ტყავი, ქათიძი, ტყავი (ტანაცმლის ელემენტებია), ბაჭჭები და თათები (ეს ორი უკანასკნელი: ქალაპანებთან ერთან, უხესაცმლის ელემენტებია).

ჯვრის სახეებისა ამოქარებული მიაჩვის ტალავარზედაც: ჭუღზე (თავსანურია), პერანგზე, ტანსაცმლზე, ანუ შალგარზე, ტყაზზე (ტანსაცმლის

¹ ხეგისური მაბაკაცის შეიარაღების, ჩატულობის ცალკეულ ელემენტთა ჭრილისა და კერძოდ კი მასზე გამისახული ჯვრის ორნამენტის სფურველზე ზისურმამა. როგორც ცობილია, ხეგისურების წარმოშობასთან დაკავშირებული თეორიაც კი წამოაყნა: სენატურები მან ჯვარისან მეომართა შოამომაცლობდ მიიჩნა (A. L. Чиссерман, Двадцать пять лет на Кавказе). ხეგისურის ეს შენებულება წარსულ საუჯუნებელ უაზყვეს (Р. Эристов, О тумано-пшаво-хевсурском осярге, Зак. КОИРГО, кн. III, Тифлис, 1855; Г. Радде, Хевсурия и хевсуры, Тифлис, 1881; Гр. Уварова, Познака в Павани, Хевсурети и Сванети, МАК, вып. X, Москва, 1924), მაგრამ მომციცნობ პერიოდის მოგზაურებმა — ჯვრის ორნამენტის სიუპათა და მრავალინარიბით განციფრებულებმა — ზისურმანის მსგავსი შენებულება კულავ გამოიყენება განმა ხეგისურიდ ერთობის მემკვდრებდაც არ ჰასფალა, მაგრამ ჯვრის გამოსახულების გაერცელებულობის ფაქტი მაინც მათ ზეგალენის მისწრაა-ხეგისურების წინაპრები, აღავათ, ჯვარისანთა მოებში იღებდენ მონაწილეობასთ (K. ფ. გან, Путешествие в страну пшавою, хевсур, кистин и ингушет, KB, 1900, 4—6). წართველ მეცნიერთა კელევა-ძიებამ ზისურმანის დაუსაბუთებიან თეორიას საბოლოოდ გამოაცალა საფუძველი: ხეგისურები არა ჯვარისანთა ნარჩენები, არამედ ქართველი ტომები — წერილობით შეყრდნა ხეგისურების სხენებულების შთამომავალი. შდრ. ბარ დავ და იძე და ირა მითითებული ნაშრ. ვვ. 4.

² ზოგიერთ ქალ ამჟამა სათაურას ქვეშ თავშალაც იხვევს.

³ საღიაცოს სარტყელს ირტყამენ.

ელემენტებია), ბაქიშევსა და თათებზე (ეს ორი უკანასკნელი, ქალამწებთან და ჯღანებთან ერთად, ფეხსაცმლის ელემენტებია).

ჯერის და საერთოდ სატალავრე ორნამენტის მოსაქარგავად ნაირფეროვანი და ნაირსახოვანი მასალაა გამოყენებული; ჯვრის ამა თუ იმ სახელწოდებაში, ზოგჯერ, მასალის შინაარსა ჩაქროვებული.

ხეკუთი ვაჟა-ცებიცა და მანძილოსნებიც მუქი ფერის ტალავარს ატარებენ, განსაკუთრებულ უპირატესობას ლურჯ ფერს ანიჭებენ¹. ამჟამად ერთობ გავრცელებული ლურჯი ფერი, როვორც ჩანს, ძველადც გაბატონებულ ფერად უნდოფულიყო მიჩნეული.

ტანისამოინი ცალკეული ნაირთა დამაკავშირებელ საშუალებად წაჭერს, ანუ მატყლის ძაფსა, ხმარობენ, მოქარვეას კი ნაჭრითა და აბრეშუმის ძაფის მეშვეობით წარმართავენ. ნაჭრით დაკერულს, ანუ ნაჭრით მოქარგულს, ნაჭრით წაკრელა პერია, აბრეშუმით დაკერულს კი აბრეშუმით ნაჭრელაა — აბრაშუნით ნაჭრელას ეძახან. ნაჭრით მოქარგული ორნამენტის თითოეული ზოლი შიბად წოდებულ გრეხილს წარმოადგენს, ემის გამო ნაჭრის ნაჭრელას შიბად დაკერულიც ეწოდება. ხეცურულ ტალავარზე, ნაჭრელა ორნამენტის გვერდით, ხრისიდან სკლატისა და სხვა გვარუობის ქანიგილთავან გამოყვანილ ორნამენტსაც ვხვდებით. ტალავარზე მრავალნაირი მმიღების, ლილების, ლითონის მოწერუბისა და ლითონისავე ბურცულა-ფირფიტებისაგან შედგენილ სახეებსაც გამოწმებთ. ეს უკანასკნელი. ზოგ შემთხვევაში ნაჭრები ირნამენტში არიან ჩაყოლებული, ზოგჯერ კი მხოლოდ თვითონ აფირშებენ ამა თუ იმ სახეობის ორნამენტს. ქარვის ხელოვნებაში კარგად გაწრთვილი ხეცურის ქალები მოქარგვის დროს მტკიცედ დადგენილ ტრადიციას იცავენ: ორნამენტის სახეთა შერჩევასთან ერთად, ისინი სასრინამენტო მასალის ფერების შერჩევა-შეხამებასაც დად ყურადღებას აქვთვენ. ხეცურული ორნამენტის ფერები დიდი გემოვნებით არის შეხამებული, ყველაზე მტტად შავი, თეთრი, ყვითელი, წითელი, ცისფერა, სისვი და ლურჯი ფერებია მოწონებული.

ტალავარის ორნამენტირება აქ წინაპირობებთან არის დაკავშირებული, ჯვრის გამოსახულებათა დახასიათების დროსაც ზემოთქმული უნდა იქნეს გათვალისწინებული.

შემაღენერ ხაზთა მიმართულების მიხედვით, ჯვრის ორი ძირითადი სახეობის არსებობას ვადასტურება: ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზების გადაჯვარედინებას ხატი ეწოდება, ირიბად გადაჯვარედინებულს კი — გახათული. ჯვრის სახელწოდებაში, ზოგჯერ, სიღიღე-სიპატარავის მომენტიც იყარაულება: პატარა ჯვარს ჰატულა — ხატუას ეძახიან, მოზრდილი ჯვარი კი საკუთრივ ხატის სახელით აღინიშნება. „ხატისა“ და „გაბატულის“ შინაარსში, ზოგჯერ, ჩვეულებრივ ხატისა და გაბატულისაგან განსხვავებულ ხატებსაც გარაუდობენ: მაგ., ფრთხებდაუთხული კუთხანის ხატიცა და ორტორაზოლობინ ხატიც ხშირად მხოლოდ „ხატის“ სახელს ატარებს. ირიბად გადაჭდობილ რამდენიმე ხაზსა და ორმბისებრი იოხეკუახედის გვერდების დამა-

¹ ფართოდ გავრცელებული ლურჯი ტალავრის გვერდით ხეცურეთში შეასა და მოწითალო ფერის ტალავარსაც შევხდებით.

კაგშირებზე ჯვარედნისაც, რომელიც გახაფულ კერამთაც იხსენიება, აგრეთვე გახადულს ეტყვიან.

ჯვრის დანირჩენი სახესხვაობების სახელწოდებანიც ამ ძირითადი სახელების საფუძველზეა შემუშავებული: რამდენიმე პატარა ჯვრისაგან შემდგარი მწერივი ხატულანია და ერთმნეთში ჩამჯდარი ხატულებიც ჩატულანია. ზოგი ხატი რამდენიმე საფეხურისაგან შესდგება, ერთს მიღალ ვერტიკალურ ზოლზე რამდენიმე ჯვარის გამოსახული, ამგვარ ხატის ხატნისაც ეძახინ და გასატულსაც მას სახელწოდებას, ზოგ შემთხვევში, ხატების რაოდენიბის მიხედვითაც საზღვრავენ: სამავარიან ხატის, მაგალითად, სამხატს უწოდებენ. თუ ხატისა და გახატულის მეტავებზეც ხატებია გამოსახული, მაშინ მათ ხატის-ხატნის სახელით მოიხსენიებენ.

ჯვართა სახელწოდებაში, როგორც ზემოთაც ვთქვით, გამაფურმებელი მასალის შინაარსიც არის ხოლო გააზრიანებული. თუ რომელიც სახეობის ჯვარი შიბას ზოლით არის შემფარგლული, —ეს მის სახელწოდებაშიც იმოვის აღვილს, ხშირად გავიგონებთ ჯვარ-ხატთა შემდეგნაირ სახელებს: ხატი შიბანშემოლებული, ხატულა შიბანშემოლებული, ხატნი შიბანშემოყოლებული, ხატისსაჭრი შიბანშემოყოლებული.

ტალავარზე სკლატისაგან გამოშრილ ხატებსაც აქტებენ, ამის გამო მათ სკლატის ხატის, სკლატის ხატულას და სხვა შესაფერისი სახელწოდებით აღნიშვნენ. თუ სკლატის ხატი (ან ხატულა) მძიევდითა და ღილებითაც არის შემკობილი, მასშე იტყვიან: სკლატის ხატი მძიე-ღილავათო. თუ სკლატის ხატზე მხოლოდ ძვლის ღილები მიერტებული, ის იქნება სკლატის ხატი მგალიბ ღილავათ. ორგვალიც მძიებებშემოყოლებული სკლატის ხატი არის სკლატის ხატი თითოობით მძიებარული, ძაფზე ასტმული მძიების ჩანაწებით გაფორმებული სკლატის ხატი კი არის სკლატის ხატი მძიე-ქუჩუმა-მთ ან ხატი მძიე-ბურჯლუ-მთ.

ზოგი ხატი თუ მისი რომელიმე სახე მარტოდენ მძიე-ღილებით არის გაფორმებული, ზოგი მხოლოდ მძიებით ან მხოლოდ ღილებით არის გამოყვანილი. ყოველ ამათგანს, ხშირად, შიგადაშიგ მონეტებიცა აქეს ხოლო ჩატანებული. ამ უკანასკენთაც მოხაზულობის ბაზუშებელი სახელწოდებით გამოხატავენ და დამატებით მასალის აღმინიშვნელ სიტყვასაც ურთავენ.

ჯვარი, ძალიან ხშირად, ორნამენტის სხვა სახებთან ორგანულად არის ხოლო გადაჯაპეტული. ასეთი ოთვლილი ორნამენტის სახელწოდებაში, ჯვრის აღმინიშვნელი ტერმინის გეერლათ, სხვა ელემენტთა სახელებიც არის ნავარის უდევე. ამგვარი ხატების განხილვა შემდეგნაირ სურათს იძლევა: ხატი დატბილული, ხატულა დაკბილული, დაკავკაულის ხატი, დაკავკაულის ხატულა, თავმასრილი ხატი, თავგრადნილი ხატი, ხატი დაკოშკილით, ანუ ხატი ჩამოკოშკილით, ხატი რქანით, ბატიანი, თვალით გახატულია, ოთხთვლიას ხატულაა, კვერა გახატული რქანით, კვერაში ჩამაყრილი ხატი, კვერაში ჩამაყრილი ხატულა, ოთხყუთხის გახატულით და მირგვალანით, ოთხყუთხის გახატულით, მირგვალა ხატულით ჩატანილი, ხატი ჩატანილი, ხატი სიმირგვლით შემოწერილი, ხატი სიმირგვლით გახატული, მირგვალით გახატული,

სატულაით, ჯვარ-ჩქიან მარტულელაი, გახატული წლიანი, სატიანა ნაჭრელა და სხვა მრავალი¹.

ჯგრის გამოსახულება ფართოდ გაშლილ ნაჭრელაშიც არის ჩართული. ქალისა და ვაჟკაცის თათ-ბავიტებისა, საღიაცოს ფარავისა და მძიმაცის პერან-გის საბეჭურის მრავალსახოვან ნაქარგში ის სხვა საბეჭოთან დაკავშირებით არის მოცემული. ასეთი როტული შეღვინილობის ნაჭრელაშიც მისი არსებობა არ ჩქმალება, ნაჭრელას თავისებურების აღნიშვნის დროს ჯვრის სახლიც პოინტინიება: ასეთია მაგ, ნაჭრელა კვერან-ზატულანით და ნაჭრელა ჯვრით ანუ ნაჭრელა სატით.

ისც შეიძლება, რომ ხატი, ზოგჯერ, სხვა სახის ორნამენტს დაუკავშირდეს და სახლწოდების წარმოთქმის დროს კი ყოველთვის არ დასახლდეს. რეა ჩამახრილ მარტულელასა. ყელგრძელასა, კვერა-თავნასასა, შიბაის მწერლიანასა, რთხოვალასა, ყურასთვალასა და სხვავებარ რთულ ორნამენტში ჯვარსაც ანსახიერებენ, მაგრამ დასახელების დროს მასზე ყოველთვის არ მიუთითებენ სოლმე².

ზემოდასახელებულ ჯვართა ესა თუ ის სახე, როგორც უკვე ითქვა, ხევ-სურული ტალავაოის თითქმის ყველა ელემენტზე გამოსახული; ზოგიროთი მითგანი სამაულის სახითაც არის წარმოდგენილი. ხის ავეჯა, და საერთოდ ხისგან დამსადებული თითქმის ყველა ნივთიც, მრავალნაირი ორნამენტია არის მოჩეული მომზადებული. კარადებზე, კარატულებზე, გრძელ სკამებზე, ჰაგრუცებზე, მაჭალოცებზე, ფანდურებზე, სახრელებზე, გალიებზე, საჭვრელებსა და ხევსურთა საოჯახო ყოფაზე დამოწმებულ სხვა საგნებზე, ძალიან ხშირად, ხატ-გაბატულებია ხოლმე ამოვევილია.

ჯვარიად სახელდებულ ორნამენტს აღმ. საქართველოს მთიანეთის სხვა ტომთა ჩიტულობად ვადასტურებთ, მაგრამ ჯვრის გიოსასაულებათა სიუ-ჭითა და მრავალფროვანებით ვერც ერთი მათგანი ხევსურულს ვერ შეედრება, ამ საცურალდებოთ გიოსასაულებას საბატიო ადგილი უკავი ფშავური, თუშური, შოთულ-გვდაბაყრული და მოხევური საფენების არნამენტშიც და ხის სავ-ნებზე ამორილ ხუქურ-თაბაშიკ; ჯვარი, ამ შემთხვევაშიც სხვადასხვანიარი ვარიაციებით გვევლინება. ამ ტრამების ორნამენტაციაში დამოწმებული ზოგი მონაცემი საყურადღებო დასკვნების გაყეთების შესაძლებლობას იძლევა.

ხევსურეთში მოგზაურობის დროს ჯვრებიან საგნებს ხშირად ვნახულობდით, ჯვრებიან ტალავარში გამოწყობილ ხევსურს ყოველ ფეხის გადადგმაზე გვხდებოდით. ხატებიანი ტალავარის ცოცხალი გამოფენა ვინახულეთ ხევსურულ დღეობებზე: ქერა სწერების წეიდა გიორგობას მაწმაოში, ფუძის ანგელოზობას უკანახოში და ათენგვნების გაყეთების შესაძლებლობას იძლევა.

ხევსურეთის სინამდივილეში ჯვარი ძირითადად რელიგიურ ემბლემას წარ-მოადგენს.

¹ ორნამენტ ჯვრის სახესხვაობებს დადგენის დროს გათვალისწინებულ იქნა ვ. ბ ა რ დ ა-ჭ კ ლ ი ძ ი ს და გ. ჩ ი ტ ა ი ა ს მითითებული ნაშროვო.

² ს. მაკალა თ ი ა, ხევსურეთი.

ხატის, როგორც ორნამენტისა და აპოთრობელი გამოსახულების, შნაუ-
ცნელობა ხევსური ქალის თმის დაყენების წესებშიც იჩენდა თავს. ხევსური-
ქალი უწინ გრძელ თმებს ატარებდა, თმებს ნაჭაპნებად იწნაედა¹. თმის მოკ-
ლა-შეღებების გაადგილების მიხნით თუ სხვა გარემოების გამო, თმის შეკრუჭა
თანდათან წესად იქცა და ნაჭაპნებინ ქალიც ხევსურეთის სინამდვილიდან გა-
ქრი. ხევსურეთში მოგზურობის დროს ჩემ მხოლოდ ერთი გრძელთმანი
ქალი ჟევენდა, ნაჭაპნები ახილაში მცბოვრებ-75 წლის ნანუკა ნაროზაულს
ჰქონდა. თუ ხევსურების გაღმოცემის დაცულებრებთა, ნანუკა ნაროზაული
ხევსურეთს მასშტაბითაც ერთადერთი ნაჭაპნებინ მნიშვნელოსნია, თმის შეკრუ-
ჭების წესს ძელი დროს ხევსურეთც იცნობდა, მაგრამ მაშინ მას სხვაგარი
მზეზი იდა საყველად. ქალი, თუ ერთადერთი მა მოუკედებოდა, ნაჭაპნების.
შეიტრიად და მმას საფლავში ჩააყოლებდა, უშმდო დარჩენილი ქალი უთმოც
უნდა ყოფილიყო, მმანი ქალები კი „თმადასვეულებ“ ყოფილან. თმას, თურ-
მე, რვა-ათ ნაჭაპნებ დაიწინაგდენ, ორ ჯგუფა გაყოფილ ნაწინებებს შებლზე.
ჯვარედინად გადაიტარებდნენ და მათ ბოლოებს თავებევე მიიჩინებდნენ. ერ-
თი სიტყვით, შებლზედაც კი ჯვრი უნდა გამოესახათ, შებლთან თმებს „ხა-
ტად დაიკათან“. ²

განსახლევრულ ჰასაკში, ჯვრის გამოსახულება ხევსური ვაჟის თავზედაც
ჩნდება. ვაჟის თავზე წარმოლებილი ჯვარი წმინდა ერლიგიურ ფუნქციას ას-
რულებს, ის „ვაჟის თავ-მასაპარსა სახმთოსთან“ არის დაკავშირებული. ვაჟს,
როდესაც სამიან ხუთი წელი შეუსრულდება, იჯახმა „თავმასაპარსავი სახმთო“
უნდა გადაიხადოს. სათანადო ღრეობისა და „დამწყალონ ბნების“ შემდეგ, ერთ-
ერთი მამაკაცი ვაჟის თავს სამართებელს შეახებს. თუ ბავშვი ხუთი წლისაა—
მას თავს მთლიანად მოუშეიშვლებს, მაგრამ თუ ის მხოლოდ სამი წლისაა—
თავის შუა ადგილზე თმას ჯვარედინად ამოაპარსავს³. ჯვრის გამოსახულება—
ბაჟშეს თვათმომწერა ირალის სამასაურს უწევს, ის იცავს პატარა გაუს ბო-
როტ ძალათ ვერასაგად.

ორნამენტად მიჩენებულ ჯვართან ერთად, როგორც არა ერთგზის აღნი-
შნეთ, არსებობს ხელშესახები საგანი ჯვარიც. საგანაც გამოკვეთილი ჯვარი—
ხატი—ან ხატა—ჯვარჯულსაღებთა შემა დაგნენლობაშიც გახვდება და ობლად-
სატარებელ ნივთადაც გვეცვლინება⁴. ჯვრის ტარების ფაქტში, ესთეტიკურ
მარესთან ერთდ, მისი მარიულ-აპოთრობელი ძალაც ივარაუდება; ზოგი—
ჯვარი, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, მხოლოდ ამ დანიშნულებას ემსახუ-
რება. ბშირად შევხვდებით ხევსურს „ჯვარის გამაცელილი“ ან „უძრავის“ მშედ-
ლის მიერ დამზადებული ხატით შემეობილს, პირველი აშკარად ჩანს და შეი-
რეს კი ტალავარი ფრავს.

¹ იბ. ს. ჯვარშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმში ხევსურეთის ენოგრაფიულ ზა-
მოფენაზე ტერნდო „ძეგსურული სათაურას ცვოლუვია“. ნაჭაპნები ხევსური ქალის პატარებ-
ტი მერგბაზერის ნაშრომშია დატვირთვილი. ეს პატარებელი ს. მაკალაიამაც გამოაქვეყნა თავის
წიგნში (ს. მაკალათი 2, ხევსურეთი).

² კ. ბარდაველი ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან—
მიმომდილები, ტ. I, გვ. 1949 წ., გვ. 142-143. ისტ. ინსტ. ეთნოგრ. განყოფილების არქივი, —
შ. ბალი იაურ გ. ბაჟშეის დაბადება-აზრდის შესტაციების შეკრუჭაში, გვ. 211.

³ ხატი დავდი ხატი, ხატა კი—პატარა. ტერმინი ხატულა ხელშესახები ჯვარის მიმართ
არ იმარება.

ადამიანს, თუ სიზმარში რაღაც აშინებს ან გაურცვევლი მიწეზების გამო ევაღმყოფობს; ჯვარიდან წამოლებულ ჯვარს ანუ ხატს ჩამოკიდებენ. ჯვარის ქვლოსანს ფულს ან რაიმე ნიერს მოუტანენ და მის ნაცვლად ხატში გაწმენდილ ჯვარს ან სხვა რომელიმე საგანს გამოართომევენ. ამგვარივე მიწეზის გამო, ზოგჯერ, მცელელსაც მიმართავენ: „უშმრას“ ამდგარი მცელელი დიდ ხუთშიბათს ჰატიან ყელსადგმს გაკეთებს და სათანადო შელოცვის შემდეგ მას აფალმყოფი ჩამოიკიდებს. ამნაირი ნატებით შესურვილ აღამიანს უფერი მოსცილდებო, ეშმაკი ვერარ მოერევა.

ხევსურის სიყვარული და რელიგიური მოკრძალებულობა ჯვრის წინაშე მის სამეურნეო ცნოვებაშიც იჩენს თავს; კულტის მსახურების სფეროში ხომ ის მთელი სიძლიერით აშკარავდგბა. „ხევსური—„ქართული ხალხური ორნაშენტი“-ს ავტორთა სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ—ჯვარს გამოიყანდა იმ ნანგრევშე, სადაც ბოროტი ძალების („დობილები“-ს) სამყოფი ეგულებოდა. ასევე იქცეოდა ის სახლში: სახლის კარზე და კეტზე ჯვარს გახატავდა“. ხევსურულ ლუმელზედაც კი ჯვრის ნიშანია დადგებული, პურის საცხობ სიპახ ჯვარია ამოღარული.

ორმ. საქართველოს მთიელებში საყოველთაოდ გაირცელებულ ჩეულებას, მიწის მოხვანა-დარესებასთან დაკავშირებულს, ხევსურებიც ტრადიციული წესით ასრულებენ. სახატო მიწების მოხვნის ცერემონიალში ხატის ხუცესიც ლებულობს მონაწილეობას, მოხსულ მიწაზე ის მარჯვენა ხელით სამგზის ჯვარს გამოსახავს, ლოცვა-ვედრების წარმოთქმის შემდგა ქრისაც სამჯერ გადაშლის ჯვარედინად და ქუდმოხდილი თესას შეუდგება. დაფარცხის შემდეგაც კვლავ საბ ჯვარს აღმეცდავს და სავედრებელსაც ხელიახლად წარმოსთვამ¹. ხატისა და მისი ყმების საინფელ მამულების მოხვნის დაწყებამდე, ულელზე საგანგებოდ ამ საკირიებისათვის გამოცხობილი ქადა უნდა გასცრან. „ულელზე გასპერელ“ ქადას გუთანში შემმული ხატის ულელზე მოათავსებენ, ჯვრელინად—ხატად გასპრინ და ლერწასა და ადგილობრივ სალოცავს მაღლს მოსთხოვენ². ქადა სახატო ყანების მომქინი წინ მოწყობილს რიტუალშიც მონაწილეობს: ზეცესმა „ლამის სამთელო ქადა“ ჯვარედინად უნდა გაცვითოს და თან დღთისშივილისა და ჯვარიონთ საღლეგრძელო შესვას.

ჯვარდაწერით დათესილსა და ალებულ მოსავალს, სახატო მიწების მეთვალყურენიცა და საკუთარი მიწების მომელელი ხატის ყმებიც, მომკის შემდეგაც ხატის გარეგნობას ანიჭებენ: 21 ძნისაგან შედგენილ წერილის ჯვარედინად სლაბამენ.

ჯვარი რიტუალური პურების დამხასიათებელი ნიშნიც არის: „ქრისტენ დღესასწაულისათვის დამზადებულ საჯვარო ხმიადშე გახატული ხუთანი

¹ ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ალ. ოჩიაური, რელიგია ბაცალი-გოში, რვ. 20, გვ. გვ. გვ. 392, 393.

² ისტ. იმსტიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ალ. ოჩიაური, ხევსურების წარსული ამბები, რვ. 3, გვ. გვ. 25, 26; მისივე, რელიგია ხატისში, რვ. 17, გვ. 362; მისივე, რელიგია სახატოში, რვ. 2, გვ. 20; მისივე, რელიგია უკან ხატში, რვ. 4, გვ. 66; რვ. 7, გვ. 141; რვ. 9, გვ. 150.

გამოსყავთ (არხოტი), სულთაკენფისათვის გამოცხობილ ხშირდშე ჯვარედნად განლაგებულ ვარსკვლავებს აღმეცდავენ (უკანხადუ), მარიემ წმიდაში წასალებად გაქეთებულს—ხმიადივით მრგვალსა და „მაპურებილ“ ნაპირებიან ქადის-კეტისაც ჯვარის სახედ დაწყობილი ვარსკვლავებით აქრელებენ (როშკა). არხოტის ჯვარის დიასახლისი საათენგენოდ, ხმიადებთან ერთად, მასპონოებად და საკვირაოვბად სახელდებულ მრგვალ პურებსაც აცხობს. მასათოს ხუთ ადგილას თითით ჩხერეტს გახატულის ყაიდაზე, საკვირაოზე კი ხატად დაწყობილი ხუთი თიკნისური გამოსყავს.

ოჯახის დიასახლის სახახლწლოდ ჯვრით დაღარულ სამკვდეოს ამზადებს, ჯვარის სახე კვერს თოთ ნიშილად ჰყოფს: თითოეული მათგანი, ცალკეული სახელდებთი, კაცისა და მისი მეურნეობის დარგთა ბედ-ილბლისათვის არის განკუთვნილი.

რიტუალური ხსიათის ნამტვართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ჯვარისხსნებური პური იმსახურებს. ამნაირი მოყვარილობის პურებს ე. წ. გაცებს გარდაცვლილი ბაგშვის პატრონები აცხობენ და სულთაკენფისა გაცოშას მართავენ. ვაცობაში მხოლოდ ბაგშვები მონაწილეობენ: რომელი ბაგშვიც მოახვდერებს ისარს განსახლურულ ადგილზე დაყენებულ ვაცს,—ვაციცა და ვაცობისათვის დაწყებული ჯილდოც მას ჩრბება. „სამანატურო“ ვაციშვილის მშობლები,—ერთად-ერთი ვაჯიშვილის, ვერი შეენილი ვაჯიშვილის მშობლები,—ვიღრე ბაგშვი სამი-ოთხი წლის ასაკს მთალწევდეს, საზომის ვაცს აუცნებენ. საზომის ვაცად წოდებული პურის ჯვარი ბაგშვის ზომისა უნდა იყოს: ჯვრის სიმალლე ბაგშვის სიმალლეს უნდა შეესატყვიისებოდეს, ჯვრის სიგანე კა. ე. მისი მორიზონტულური მელავების ზომა, ბაგშვის გამლილი ხელების ზომას უნდა იტევდეს.

სარწმუნოებრივი ელფერით შემოსილი ვაცი—ჯვარი, იქნებ, ადამიანის, ამ შემთხვევაში პატარა ვაჯის, სტილიზებულ განსახიერებასაც წარმოადგენდეს.

ხევსურეთის ეთონგრაფიულ სინამდგილეში ჯვრის სიმბოლური გამოყენების მრავალ სხვა ფაქტსაც ვადასტურებთ. ხევსურეთში დამოწმებულ ფაქტთა დიდა უმრავლესობა ხევსურების მოძმე მთილების ყოფაშიც გახსედება: ზოგჯერ—სრული მსგავსებით, ზოგჯერ კი—თავისებური სახესხვაობით.

რელიგიური თაყვანისტების ობიექტსაც, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ხევსა და მთიულეთ-გულამაყრში, აგრეთვე ხატი და ჯვარი ეწიდება. ეს სახელწოლებანი, გადატანითი მნიშვნელობით, სამლოცველო ნაგებობათა კომპლექსის აღსანიშნავად იხმარება.

სისუსტე მოქლებულად უნდა ჩაფითავოთ ერისთავის, უგაროვას, კოვალევს ქისა და სხვა მკელევრების მიერ ხმარებული ის გამოთქმები, სადაც ხევსურული ხატი¹ ძირითადად საკულტო ნაგებობასთან (კამიუ) არის გაიგივებული, ზოგ გამოთქმაში მხოლოდ მისი პირდაპირი თარგმანია მოცემული (იobraz)¹. შედარებით კარგად აქვს გაგმული „ხატის“, როგორც ლოთაების

¹ ქ. ერისთავ, ი. თუშინო-შემარებელი, ხევსურეთის მთავარი მოწმე, მ. კოვალევსკი, ვაკიონ და მარკონი, თ. II, მოსკვა, 1890.

აღმნიშვნელი სიტყვის, შინაარსი ურბნელს და ასევე სწორედ ესმის ის ან-ტონ ეპისკოპოსსაც¹.

უძანსკენელ წლებში გამოცემულ ეთნოგრაფიულ ნაშრომებშიც ეს ტერ-მინები ორავენაირი გაეცია იხმარება, თუმცა ივარულება და ზოგჯერ ჩანს კიდეც, რომ ავტორებმა კარგად იციან ხატუკერის პირებლად და მეორად მნიშვნელობათა შესახებ².

გამოსახულება ხატი ლეთაება ხატს შინაარსითაც უქავშირდება, ჯვრის წარმოშობის საშეიცები ხევსურთა სარწმუნოებრივ საყიდოში იძებნება³.

ქართველი მთიელების, კერძოდ ხევსურების, წარმართულ რწმუნასთან დაკავშირებული ცნობები, როგორც ცნობილია, აკად. ივ. ჯავახიშვილმა სა-თანადო გაითვალისწინა და თავის ცნობილ გამოკვლევაში საყურადღებო დასკვნები გააკეთა.

ხევსურეთის მიწა-წყალი საკულტო ნიშებით არის მოფენილი, ყოველ სოფელში ერთი ან რამდენიმე ხატის საბრძანებელი მოწყობილი. ხევსური, საგვარეულო-სასოფლო ხატებთან ერთად, სათემო-სატომო ხატებსაც ლოცულობდა, ერთ-დროულად ის რამდენიმე ხატს ემორჩილებოდა. ხევსურეთში არსებულ მრავალრიცხვონ ხატთაგან, მაგალითისათვის, შეიძლება რამდენიმე მათგანი დავა-სახელოთ: ქავთარ-ოჩიაურების ჯაჭველი ქმედის გრძისა (ახილა), ცისკარაულების მთის ცემავი (ახილა), ბერდიშვილების იავსარი სვეტად ჩამოსული (ამღა) და მრავალი სხვა—საგვარეულო ხატებია. ამრის ლალი იავსარი, ჭიმილის ჭიშეველი, კირილშიდის შექელ წყალწუას მეტყრთვალი, ბუკალიგოს პარ-ქუში ცეცქდისა-ლიანი და ცხრაუეს შათრაკანი, უკან-ხალუს შეტრინაცი ან-გვლოცი სანება ცროლის წევრისა, ხახაბის გიორგი წყაროს გრძისა, მაჭაოს დევარებთად მებრძოლი ქრისი წევრის წმ. გიორგი და სხვანი—სასოფლო ხატებია. როშების დიდობრის ჯვარი, ანატოლის ჯვარი, ქვემიურ ჯვა-რადაც სახელდებული დიდი არხოტის ჯვარი და ბევრიც სხვა—სათემო ხატებია. სანმთო გულანის ჯვარი, კარატის ჯვარი—გმირი კაპალა ლაპტანა და ხახატის ჯვარი—გიორგი ნალორშეგნიერი სატომო ხატებად ჩაითვლებიან. ამ უკანასკნელთა რელიგიური ავტორიტეტი ფრთხევა; თუშეთსა და ნაწილობ-რივ გულამაყარჩებდაც ვრცელდება.

¹. უ რ ბ ნ ე ლი (ჩინანაშვილი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940 (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისთვის, II); ანთონიქ, ენციკლიკოსი გორისკი, რელიგიозно-этнограф-философски იორექ შემადგრინილი სამართლის მიერ 1914.

². მდრ. ვ. ბ ა რ და კ ვ ე ლ ი ძ ე, სკანდ დღეობათ კალენდარი, I, თბ., 1939, გვ. 200 და მისივე, ვემცელას მართვის აღმოჩენა, კარატის ჯვარი—გმირი კაპალა ლაპტანა და ხახატის ჯვარი—გიორგი ნალორშეგნიერი სატომო ხატებად ჩაითვლებიან. ცტ. 93.

³ თხებიც, აღმა ქართველი ტომების ზეგავლენით, ლოთაებას ძუარი ეძახიან, თხების სარწმუნოებრივ ასარეცხებულ ჯვართა მოვლი პლეატა მოქმედებს (კილი-ძუარ, ფირი-ძუარ, რაგი-ძუარ, მუხინა-ძუარ) და თვით უმაღლესი ლოთაებაც კი ჯვარის სახელს არარებს (ზოგაუ-ძუარ)—Б. გამიევ, ცემა და მოვლენა უ იმავე სახელი თემის გვ. 1876; С. შულგინ, Из Осетинской народной словесности—Предание о рабе (СМОПК, в. 27—8, Тифlis, 1900); Гр. უავრავა, კავკას, Путевые заметки, Москва, 1887.

⁴ ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ I, ტფილისი, 1928—ქართველების წარმართობა.

ხევსურული ხატი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ ხატის საბანისი, შშრალად ნაგები რამდენიმე ნიშის, მრავალწლოვანი ხეგბისა და მიჯნებით განსაზღვრული კარმიდამოს კომპლექსს წარმოადგენს. დარბაზი, საქვაბე, საკოდებელელი, დროშის საბანისი, ანუ ხატის გრძელება კოშკი, და კერიფი—სახატო ნაგებობანია. ყველა ხატი, ძარითადად, ერთი ტიპისაა, მაგრამ ყველა მათგანი ყველმხრივ ერთგვარად არ არის მოწყობილი: წმინდა ხეგბის ჯვალი ყველა ხატის კარმიდამოს არ ჩრდილებს და საკულტო შენობათა სრული კომპლექსიც ყველა ხატს არ გააჩნია.

დროშები და სახუცო კოშხები, წესით, ხატს უნდა ჰქონდეს. თუ რომელიმე ხატს კულტისმასხურების ეს აუცილებელი ატრიბუტებიც არ მოგოვება— მაშინ ის მოძმე ხატის დროშებითა და კოშხებით სარგებლობს. დიდი მნიშვნელობის ხატებს დროშები, თასები, ჯვრები და სხვა სახის განძულობაც საკმაოდ მრავლად მოეპოვებათ. დიდი ხატების განძა შორის ყაფაჯვენი და იშვიათობად ქვეშლი ქველებური სმლებიც შეგვხდება.

როშების დიდგორის ჯვარი, გუდანის ჯვარი, ხამატის ჯვარი, აქუშის ჯვარი, ანატორის ჯვარი და ზოგი სხვა ჯვარიც, თურქე, მდიდარი საგანძურის მულობელ ხატებს წარმოადგენდნენ. მათ, როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში ზევრი რამ დაკარგეს და საუკუნეთა მანძილზე დაგროვებული ნივთები ჩვენს დრომდე სისხლით ველარ შემოინახეს.

ხევსურულ ხატს თავისი ჰელაცება, ჰყავს, სახატო საქმეებს გარევეულ პირთაგან შემდგარი ჯვარითონი—ხატიონი უძლევება. ხუცესი—გამძლო, მკადარე— მედროშება და დასტური თითქმის ყველა ხატის იერარქიაში არიან წარმოდგენილი; ზოგტერთი ხატის მსახურთა შორის კი, ზემოდასახელებულ პირებთან ერთად, მეზათე, შულტა, მეხაცურე და დაიახახლისიც შეგვხდება. ერთს ძირითად პრინციპში აგებული ხევსურული რელიგია, ალბათ დროთა სვლით შევმილი ვითარების გამო, სხვადასხვა თეში სხვადასხვა თავსებურებით აშვარავდება; კულტის მსახურთა სახელწოდებებსა და უფლება-მოვალეობებშიც თემური თავისებურება; შეიმჩნევა.

საკულტო ხატან დაკარგმრებით ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იბადება: რა არის „ჯვარი“—„ხატი“? რას უნდა აღნიშნავდეს ის „ჯვარი“ თუ „ხატი“, რომელიც ასე ხშირად გვხვდება ხევსურულ გამოთვემებში: „ჯვარიონი“, „ხატიონი“, „ჯვარის კელლაკი“, „ჯვარის კელლასანი“, „ჯვარის სუცესი“, „მეტატი“, „ჯვარის ყანანი“, „ხატის ყანანი“, „სახატო მამულები“, „ჯვარის მთა“, „ჯვარის ტყე“, „ჯვარის საქვაბე“—„ხატის საქვაბე“, „საჯვარო ქვაბები“, „საჯვარო ქაფები“, „ჯვარის კარი“, „ჯვარის სახელი“, „ჯვეართ ენა“, ჯვარის „სტუმრება“, „ხატის რისხეა“, „ხატის წყალობა“, „ჯვარის დავლათი“, „ჯვარის ძალით დალრშენა“, „ჯვარით დაკოშვა“, „ჯვარში მიბარება“, „ჯვარში შავგომა“ და სხვა მრავალი.

ირკვევა, რომ ჯვარი—ხატი „ხთიშეილების“ სახელით ცნობილ ზეციერ არსებათა ზოგად სახელწოდებას წარმოადგენს. ხევსურის ჩწმენით, ქვეყანას შარიგე ღმერთი და მისგან „გამაშობილი“ ხთიშეილნი განაგებენ, სამყაროს

შუწენები ლეთაებისაგან — ლეთისაგან მინტებული უფლებით აღჭურვილი ჯვარი ანუ ხატი მართავენ.

ამგვარი გაგებით ისენიებენ ჯვარს ხეცსურეთის მოლექსები¹, ამნაირად განვეიძარტავენ ჯვარის შინაარსს ხეცსური მთხოვობლება. ჯვარი უბრძანებს ყმებს, დაახლოებებული ხელკაცის პირით ის მათ თავის ნება-სურვილს გადას-ცემს.

— „ქადაგობს გაიდაური: ბრძანებს გუდანის ჯვარიო“;

— „ესლა თქვენ იკით ფშავლებო! — ბრძანებს ლაშარის ჯვარია“; ან კიდევ: „გრძელებსთ გამარჯვებასა დიდი არხოტის ჯვრია“.

ჯვარი ყუველმხრივ უმარტავს ხელს თავის საყმოს, ის ზოგჯერ ლაშქრობაშიც კი მონაწილეობს, როგორც მეომარი და მხედართმთავარი.

— „ეწმალე: გუდანის ჯვარი, წელთ შამაირტია ქმალია!

თავის სალერე შახკაზებ, ოქროს დააკარ ნლია!“

ბუდე-ხევაურეთის ლაშქარი, გუდანის ჯვრის ბრძანებით, სათარეშოდ არხოტეისაკენ გამართა. არხოტელი ხეცსურებიც ჯვრის ლაშქრის დასახვედრად მორმადნენ: „გაიგა არხოტის ჯვარმა წელთ შამაირტყა ქმალიო“;

„სრუ მუდამ არხვატის ჯვარსა წელთ სრტყავ სისხლიან ქმალიო“.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქისტებისა და არხოტიენების შებრძოლების ამსახველი ხალხური ლექსი:

„ზოშ არ დასკილდ ლილვლებსა, სამანს რომ დგემდეს ძვლისასა?“

თეთრ ტაქოსანი ხედვედეს სახეს არხოტის ჯვრისასა...“

ჯვარს, ადამიანის მსგავსად, ტირილიც შეუძლია და ყვირილიც:

„ლანწო, საღ მიზდინ, წევსურნო, სად მიძქრით ქარებულასა?“

წინ გიდგასთ გუდანის ჯვარი, კვირიდ ჭარებულას;

მიგუვებისთ ქამატის ჯვარი, ტირიდ ქარებურასა.“

ჯვარი შეეილება, ზოგვერ, საურთხშიც ჩვიარდეს და სხვათა დაბმიარება დასჭირდეს. თაღელოვანმა იაქსარმა დევების რაზიმი ამოწყვიტა და უკანას-კნელი — თვალებგამთხოვილი დევის დევნში აბულებლურის ტბაში ჩავარდა. საკუთარი ძალით ამოსვლა მან კერ შესძლო და ყმანი დაალონა: „ხატი დაგვრჩე-ა ტბაშია — დალოდნენ ჩენი შმანია“.

ზოგიერთ ჭალხურ ლექსში ლეჟისშეილი აშკარად არის გაიგივებული ხატან:

„დოთის კარზე შავიყარენით ლთიშვილინ სამოცდა-ცხრანიო.“

ქვემოთ, ბოლოში ჩამოვავე მე, ხატი იაქსარიო“, ანდა —

„ ვინ იცის, კიცუ რემაო, შენის თექალთოს კეცება?“

ზრევე, ჯვარო ხთიშვილო, მემრ შენის გულის კერძება?“

ხეცსურული პოეზია ღმერთისა და ჯვარის ნოტელი დაპირისპირების მა-გალითებსაც გვაძლევა:

„აშენებს ბედაანი ჯვარსა და ღმერთსა, — ორსავე“-ო; — „დღე — მუდამ ლოცვენ შამყრელსა ჯერ ღმერთსა მემრ კი ჯვარსაო“.

¹ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია (ხეცსურული), ვ3. ვ3. 1, 3, 5, 13, 16, 18, 24, 40, 50, 60, 69, 70, 73, 77, 82, 95, 108, 111, 115, 141, 150, 152, 167, 199, 208, 212, 215.

ხევსური ჩევეულებრივი საუბრის დროს „ხატისა“ და „ჯვარის“, ხშირად, ხატის საბრძანებლის გამოსახატად ხმარობს; მაგრამ, როდესაც „ხატის“ ნამ-ფერ განმარტებას მოსთხოვ—ის ყოველთვის ზებუნებრივი ძალის მქონე ირ-სებას დასასელებს. ჩევნი მთხროლებიც „ხატ-ჯვარის“ შინაარსს ამნაირად განმარტავდნენ და ხატ-ლოთავის სამყოფის სახელწოდებად კი „ჯვარის კარს“ ასახელებდნენ.

ხატისა და ლოთისშეინდონის იდენტურობა ძეველური ხევსურული თქმულებას მიხედვითაც დასტურდება: გუდანის ჯვრის შეადრე—ჭორმშორი გაუად მეგრელური „წაუკვანაც ზოთიშვილ გერეგერის თავად შაუკვანაც ბეთლემის სახლში. რო შავედივ, თქვისაც განხუამავ, სავსე იყვავ ის სახლივ ხატებითად, თამაშობდესავ. ზოგ ხატებივ ტრედებივითი იყვალ, ირეოლავ ერთმანეთშიავ. იმთვენ იყვავ ხატებივ, რომ ბუზებივით გად-გაბალიოდა“¹.

უდავოა, რომ „ხატი“ წმინდანია, ღითისავან „გამაშობილი“ არსებაა. გამოსახულებისა და წმინდანის აღმინშენელი ხევსურული „ხატი“ და „ჯვა-რი“ ქრისტიანული „ხატის“ გაგებას არ შევსატყვისება.

ჯვარი ზეუკარი მმართველია, ხევსური კი მისი მსახურია. ჯვარი ბატონია, ხევსური კი, როკორც ნ. ურბნელიც შენიშვნაეს, მისი ყმაა. ყოველგარი რელიგიური რიტუალის შესრულების დროს ხევსური ჯვარი შესთხოვს ზელა-სა და მაღლს. გატირებებაში ჩაგარდნილი ხევსური დამარტინისათვის „ჯვართ შასახებია“. დამარტავეს ჯვრის სატელით არასტებენ, მლოცველს ჯვრის სა-ხელით ამჟალობნებენ. ბავშვებს ჯვარს აბარებენ, ავალმყოფს ჯვარს აკოჭი-ებენ. თავდებად ჯვარს იყენებენ, ბრალდებულს ჯვრის წინაშე აფიცებენ.

სახლში წასასვლელად გამზადებული შეზღვნე, სათანალო ცერემონია-ლის შესრულების შემდგომ, ჯვარ-ჯვარინის უნდა გამოემშეიღობოს, ჯვარი-ონმა მას ჯვრის წალობა უნდა გაყოლოს. გამომშეიღობების დროს მეზღვ-ნენი ყველა ხევსურისათვის ცნობილ სიტყვებს შესახებენ: „ჯვარ გეშერასთ, ჯვარიონო, ჯვარსაც და კაცსაც“, „აშენდით ჯვარიონნო, წალმაც წაგიფათ დღიუ დღეობაი“.

„წეალობა წაილით ჩევნის ჯვარისა, წალმ გამაგევასთ ჩევნი ჯვარის და-ლათი“—უპასუხებებ ჯვარის ტელკაცები.

ხევცესმა ბუცობის დროს ჯვარინ უნდა „გაადიდოს“—ჯვრებს გამარ-ჯვება უნდა უსურეოს. ლუდის შესმის წინ, ხატიონის დანარჩენი წევრებიც ხატების საღლეგრძელის წარმოსთვამენ, „ჯვართ დიდებას“ და „მეხევეწური წყალობას“ უსურებენ. კეთილდღეობის მომნიშებელ ჯვარს ჩევეულებრივი საუბრის დროსაც კი არ ივიწყებენ: „არხოტის ჯვარის გამარჯვებამ“, „გუ-დანის ჯვარის გამარჯვებამ“, და სხვა ამის მსგავს გამოთქმებს ხევსურეთში წმირად გავიგონებთ.

¹ ისტ. ონსტიტუტის ეთნოგრ. განყ. არქეო—ალ. ოჩიაური, სხვადასხვა თქმულებები, რც. 34, გვ. 559, 560.

ხევსურული ხუცობა, როგორც ცნობილია, ქრისტიანული და წამართული საგალობლების ნარევს წარმოადგენს¹. ორივე რელიგიის ელემენტები უცნაურობამდევ გადასხვაფერებული, მაგრამ მასში ბევრი საყურადღებო ფორმულაც არის დაცული. სამების წარმოთქმის დროს ხევსურეთის არც ერთ თემით სულიერიდან არ ისხენებონ. სულიერიდან მაგიერ ყოველთვის ჯვარს ასახელებენ ხოლმე: „მამაო შაგვინდე, ძეო, ჯვარო წმიდაო“; „შაგვინდე მამაო, შაგვინდევ ძეო, ჯვარო წმიდაო“; „გვიწყალენ მამაო, ძეო, ჯვარო წმიდაო“; „თაყინისცემი მამისა, ძისა, ჯვარისა წმიდასა“. ჯვრის თაყინისცემი უცნაურია, როგორც კეცელათ, ჯვარის მოსახსენებელი ადგილი აქც გამონახა. აქევ უნდა შეენიშნოთ, რომ ხუცობაში შემორჩენილი — სამებასთან დაკავშირებული გამოთქმანი, ისევე როგორც ქრისტიანული რწმენის სხვა დებულებანიც, ხევსურეთის კულტისმსახურებსაც კი კარგად არ ესმით. „სამებად“ სახლდებული ზეარსებაც მთთვის ჩვეულებრივი ჯვარია და არა სამპიროვანი შეიოქმედდა.

ჯვრის ბუნების გარკვევის შემდეგაც კელავ ისმის კითხვა: რა მიზნზმა წარმოშვა გმოსახულებისა და ლუთების საერთო სახელი?

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო ცნობები მოგვაწოდეს: ამდელმა ხ ი რ ჩ ლ ა ნ ი ს ლ ა უ რ მ ა, ახილელმა გ ი ო რ გ ი ჯ ა ბ უ შ ა ნ უ რ მ ა დ ბ გ ა ნ ა ს ა უ რ უ რ ე ბ ი თ კ ი ჩ ი რ დ ი ლ ე ლ მ ა. ამ ცნობების კეშმარიტება სხვა მთხოვნელების გადმოუმარც დაადასტურა.

ჯვრის სურვილი ხალხს ქადაგშა თუ ქადაგად დაცემულმა შეადრებ უნდა გადასცეს². ქადაგს ურთიერთობა აქეს დაშარებული ჯვართან. საჭიროების დროს მას ჰავრში მცხოვრები უზილავი ძალა—ჯვარი, ღმრთისებნივ მოუკავა“. ჯვარი „სამეცალრო“ გადაფენილ ხელზე, „ხელისახოც—ჭრელ ქიჩილა“ გადაფენილ ხელზე დაუბძანდება. „ჩამოვიდის ისი და დაწყებდ კელზე ფრიალს“. სამეცალროს დაბძანებული ჯვარი თავს გვერდზე დაიჭირდა, ქადაგს პირდაპირ შეხედავდა, იღუმლი ხმით ქადაგთან საუბარს გააბრძა. განზრახულის შეტყობინების შემდეგ ჯვარი გაფრინდებოდა და ქადაგი ჯვართ ეწითა „ალაპარაკდებოდა“.

ქადაგს ჯვარი-ლუთება ჯვარის საპირო მოსდის, ზოგჯერ მტრების სახითაც მოუფრინდება ხოლმე. ჯვარად მობრძანებული ლუთება ყოველსხრივ ჯვრის გმოსახულებისა ყოფილა. ცოცხალ ჯვარს ბოლოზე შიბი ჰერნია ჩამოყიდებული, ზეპირა ფრთის წვერზე კი ღამამინის თავი ჰერნია მობმული. ხევსურულ სალოცავებში დაცული ჯვრები—დროშის თავად წარმოლგენილი ჯვრებიცა და უტარო ჯვრებიც—ზეცაში მობინადრე ჯვრის მსგავსი ყოფილი. ზეციერ ჯვარს თავისი მსგავსი მატერიალური ჯვარი ძლიერ ჰყვარებია.

¹ ვ. ბარდაველი იძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთელების სასულიერო ტექსტები; მასლენი საქართველოს გონიერადისხევის, I, ტფილისი, 1938; სულის წულობა, მასალენი საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბილისი, 1940, გვ. 81—86.

² ჯვრჯვრობით ქადაგად არ არის გარკვეული ქადაგისა და მკაფიებ ურთიერთობის საკითხი: ქადაგობა და მკაფიებობა ერთმანეთსაგან დამოუკიდებლად არსებული რელიგიური ინტერესების წრმოგადაწყვეტილ თუ როიც ესთი არიორნების უფლება მოვლენისი იყო გაერთიანების ან საგოთხვე იმ. თ. ოჩაურ უ რ ი ს . „Из истории археологии грузинских ветрований (каклагоба в Хевсуретии)“, Тбилиси, 1950 г. (автореферат).

ალბათ ჯვარისებური ხატ-ღვთაების მოსვლაზე უნდა იყოს ლაპარაკი იმ თქმულებაშიც, რომელიც ჭორმეშიონ გახუას შეეხება. გახუა მეგრელაურს გუდანის ჯვარი, თურმე, ხან მტრედის სახით მოსდიოდა, ხან კი ხატად ევლინებოდა.

აუშოელ წიქა ლიქოველის გადმიცემითაც, კარატის ჯვარი ლიქოვეზი პირველადვე „ხატის ალით ჩამასულა“. მწყემს ქალსა და ვაჟს კარატის მთავე საქონელი, ქონებით მუდმივად. სამწყემს საჭიროებისათვის მათ ერთი პატარა ქვის კოშკი აუშენებიათ. მეორე ღლეს, საძოვაზე რომ მისულან, კოშკთან ხატი შეუმტკნებიათ — „კოშკებ დაყუდებულ ხატ კოფილ“. მურინავი ხატი კოშკებ ხელშესახებ ჯვარად ყოფილიყო მიყუდებული, ბოლოზე მობმული შიბი კი ცანებ ქვინდა ჩამოკიდებული. გაოცებულ ბაქშებს ხატისათვის ხელი უტარიათ, ხელის შეხებისთანევ შიბი გაშუცეტილა, მისი უდიდესი ნაწილი ცაში ამსტრა და მიკლემიბინი ჯვარი კი „ულში შერჩნიათ. წილის ყრის შედეგად, შიბი ვაჟს შეხვედრია, ქალს კი ჯვარი რგებია. ამის შემდეგ ხატსა და ქალს ერთად დაუწყით მოგზაურობა. მურინავი ხატი და გამჭადგებული ქალი კახეთში, თუშეთსა და დიღიოთში გადასულან და სახატო ბეგარა დაუდევით. ხანგრძლივი ბრძოლისა და მოგზაურობის შემდეგ კარატებ ხატის საბრძანებელი მოუწყით და დღეობაც დაუწესებიათ¹.

იძღვნად დიდია ჯვრის გამოსხულების ძალა, რომ ამა თუ იმ ღვთისშეიღლის სახელზე გაეყოთხული, ადამიანის ხელით ჩამოსხული ჯვარიც კი შეძლება ზემტნებრივი თვისებებით აღიძუროს და ხატლოთების მსგავსად ფრენა დაიწყოს.

ხახაბოელ მამის მინდიკაურის გადმიცემით, ხახაბოს „გიორგი წყაროს უორისა“ კახეთიდან გამოქუცულ ბატარიას დაუარსებია. სამშობლო კუთხიდან ჭამოსულ ბატარიას თან გიორგის ჯვარი წამოულია. თოვლიან მთებზე სიარულით დალლილი ახალწლის დილით ხახაბოში მოსულა, ხახაბოს „წყაროს გორისა“-თვის რომ მოუწევია, ხელში ნაერი ჯვარი გამფრენია. ხახაბოელებს შეუმტჩევიათ უცხო, ფეხშიშველ-თაგშიშველი კაცი და შესავით განათებული ხატი. სახელდახელოდ ქვის კოშკი აუგათ და მბრძებინავი ხატიც მაშინვე შებრძანებულა.

შუაფხოელ ბიჭურ ბაღრამშვილისაგან გაგონილი თქმულების მიხედვით, ფშაველებს ფშაველი ოქრომჭედლის მიერ ჩამოსხული ჯვარი. დაქარგვიათ. დაყარგული „ალვის ტანი“-ს ხატი ფშაველ ქალსა და ვაჟს ჭალში აღმოუსული ქვეშა ლაქონებით უკარებო გიორგის და საღავო საქმეც იქ გაურჩევიათ. ჯვარი კარატებ წაუბრძანებიათ და საღავო საქმეც იქ გაურჩევიათ. საღავო საყითონ თვითონ ხატს გადაუწყვეტია, ქალაგის პირით ფშაველი დაბრუნება უბრძანებია. ჯვარი მედროშავე თორლვას წამოსულია და მიწაში დაუმუშავება შემდგომი დროის ნევისტრის — ჯვრის მიერ დაქერილ შიოლაშვილს მალეს.

¹ ეს თქმულება ჩაიწერა და გადმოგვცა ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების უმცრ. მეცნ. თავ. თ. ოჩ ი ა უ რ მ ა.

² ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ალ. ოჩ ი ა უ რ ი, რელიგია პირით შეკურეცხი, რც. I, გვ. 1, 2.

ჯვარი მიზიდან ამოულია და შიბებმრავალი მჩრწყინავი ხატისათვეს თავისი აღგოლი მიუწენია¹.

ამ შემთხვევაში, ჩევნ საქმე უნდა გვქონდეს არა უტარო ჯვრის, არა-მედ დროშაშე წარმოდგენილი ჯვრის ამპათან, რადგან „ალეის ტანი“, როგორც აკად ნ. ბერძნენშვილმა აღნ.შნა ენოგრაფიის განყოფილების საჯარო სხდომაზე, ალმის ტანი და ალეის ტანის ხატიც. მაშისადამე, დროშის ხატია.

ჯვარ-დოთაბის მოგზაურობის ამბავი უცხო არ არის თუშეთის, ხევისა და მთიულეთ-გუამაყრის წარმართოული რელიგიისათვისაც. გადმოცემების მიხედვით, ზოგიერთი ხატის დაარსება აშენრად ჯვრილობაბის ნებით. გამ-გზავრებასთან თუ ძალით წაკავანასთან არის დაკავშირებული. ამგვარი წარ-სულის მქონე ხატთა რიცხვში ექცევიან: მაგ., ალვან-წოვათას სანების ხატი და ლაშარის ჯვარი—თუშეთში, ლომისის ხ. ტი და ცეცხლის ჯვრი—მთიუ-ლეთში, პარიზშე-ფურსანგვლიზი—გუდამყარში და სპარსანგელოზის ხა-ტი—ხევში².

ჯვრებისა და დროშების ხევსურეთში ქერძების აღგილი აქვთ დაკავებუ-ლი, დვთაბის თაყვანისცემა დროშის თყვანისცემაშია გამოვლინებული. დრო-შა, ანუ ბორაყი, დააბლოვებით ადამიანის სიმაღლისაა. მას აქვს ხის ტარი, ტარზე შემოხეული რამდენიმე ხელმანდილი, ანუ ხატკადრეო, ერცხლის ბურთ-ვი და ჯვრის ან შუბის სახით წარმოდგენილი თავი. ჯვრისან დროშასაც და შუბისან დროშასაც თავისი მცველი ანგელიზი ჰქონებს, დროშას შემორჩე-ანგელოზი ციკას.

დროშის საქადრეო იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ქალაგის ხელზე გადაფენილი — ჯვარლეთაების დასაზრდანობრივი განკუთვნილი სამკადრეო. დროშის სამკადროზეაბული უხილვა დვთაბის ძალით აღჭირვილ ჯვარის გა-მოსახულება დაბრძნებული. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ მედროშავენ ბუდე ხევსურეთში მკარეც ეწოდება. ხევსური დროშის ხელის შეხებას ერ შეკეპარებს, მედროშას როლი შეასრულებს, თუ ის წინასწარ საკლავით არ განათლა, თუ მან ხატელი არ გადაიხადა.

ხევსურული დროშა ორნაირია: ჯვრინანი და შუბინანი. ჯვარისან დრო-შას, შებოსანი დროშისავან განსხვავებით, ბურთის ძარში ზარიც ჭილია. ხევსურების ხატების უმრავლესობას სამ-სამი დროშა აქვს, ზოგიერთ ხატს სამშე მეტი დროშაც მოეპოვება (მაგ., როშის ლილორის ჯვარში ხუთი დროშა), ზოგიერთ ბატარა ხატს კი ერთიც არ მოეპოვება (მაგ., ახილას მთის ვეზაგს). ჯვრინან-ზარიანი დროშა შეზაგრი დარშეა, შუბინი დროშების ფუნქციები და სახელწოდებები კი ყოველთვის დაზუსტებული არ არის³. ღამისთვევებზე მგზავრი დროშა დადის, საყმოს მოსალოცავათა და ბეგრის ასალებადაც მგზავ-

¹ ეს თქმულება ჩაიწერა და ჭადმოვცა ისტ. ინსტიტუტის ექიმოგანყოფილების უმცრ. მეცნ. თან. თ. ანიაურება.

² შედრ. ვ. ბარდაველიძე, სამარური საგალობელი «ბაზალ-დოლაში», „ენიმეის“-ს მოამბე V-VI ტ., 1940 წ., გვ. 555 და შემდეგ.

³ არდობის ჯვრის შებინან დროშებს, როგორც ჩანს, გარკვეული სახელები აქვთ შერ-შეზღული (საწერალობრ-სამჩინესეველი დროშა, სალაშერი დროშა), არზოტის ჯვრის შებინან დროშები კი უსახლოესი დაზუსტებული არ არის³. ღამისთვევებზე მგზავრი დროშა დადის, საყმოს მოსალოცავათა და ბეგრის ასალებადაც მგზავ-

რი დროშა დაბრძანდება. ხატს შეიძლება შეუბიანი დროშები არა ჰქონდეს, მაგრამ ჯვრიანი დროშა, დღეობების პერიოდში მაინც, უეჭველად უნდა „ჰყავ-დეს“. თუ რომელიმე ხატს დროშა საერთოდ არ გაიწია, მას მოძმე ხატი მგზავრი დროშის წარგზავნით ეხმარება. ყველაზე მდიდრულად მგზავრ დრო-შას ამკიბრენ და ყველაზე მეტი პატივისცემითაც მას ეპრობიან. გამობრძანე-ბულ ტრომათა შორის მგზავრ დროშას ცენტრალური ადგილი აქვს დაკავე-ბული, შებიანი დროშები მას ყარაულებით უდგანან აქეთ-იქით. სევსურე-თის სალოცავებში დაცულ შებიან დროშათა შორის, გუდანის ჯვრის სალ-შერო დროშა ერთადერთი შებიანი დროშაა, რომელიც მგზავრი დროშის თანაბარი პატივისცემით სარგებლობს და პოლიტიკური სახელგანთქმულობით კი ყველაზე მაღლა დგას. გუდანის სალაშერი დროშის კარშემო იყრიბებოდა სევსურეთის ლაშერაზ, გუდანის დროშის წინაშე სლაბლენერიგულების ფაქტ პირაქეობრივით სევსურნ, მტრის უკუსავგდებად წარმართულ ჯარს გუდა-ნის ჯვრის სალაშერი მიუძღვდა წილი.

დროშების მოვაზნულობა სახატო ტაგარუცებში აქვთ შენასული. მათი „აშიბრძანების“ დროს მეტობშე ჯერ ჯვარ უნდა შეეხევწოლ და მეტე დროშის აბმა დაწყოს, დროშის მოხროვეს აშაშორების შემდეგაც მან კელავ ჯვართადმი მიმართული საცედრებელი უნდა წარმოსთქვას. გამზადებულ დრო-შას მეტობშე ჯერ დარბაზში შემოატარებს, შემდეგ კი გარეთ „გამოიყვანს“ და დღიდ მოკრძალებით სადროშაა კოშჩე მიაყუდეს. დაბრძანებული დრო-შის წინაშე პირჯვარს გამოისახას და უკუსავლის ხერხით, სურგუებულებულად, უკან გამობრუნდება ხევსურეთის ზოგიერთ თემში დაცული რელიგიური წე-სების მიხედვით (პაგ., არდომტში), მეტობშეას ევალება, რომ სადროშაა ად-გილთან მუხლები სიარულით მივიდეს, დროშის მიყუდების შემდეგ მის ტარს ეაბროოს, მიწს ემთხვიოს და უკუსვლაც მუხლები დაჩიქილმა მოახდინოს. მოკრძალებულობას დროშის წინაშე ყველ ხევსური იჩინს: ხატში მისვლისა თუ გამომშვიდობების დროს ის დროშას შეურგს არ შეუქცევს. გამობრძანე-ბულ დროშებს არასოდეს უკარაულდ არ დასტოებენ: თუ ზაფხულია, — ჯვარიები დროშების ახლოს იძნებენ, ზამთარში კი მათთან ერთ კაცს მანც „გასწირუვენ“ ხოლმე. ჯვარში მყოფი ხევსური შეულლს ერიდება, მას დროშის ეშინია და ეკრძალება. ხატის კარზე თუ შეულლი მაინც მოხდა, დამ-ნაშავეს დროშის სასელით დააჯარიმებუნ: ვიდრე დასჯილი ჯარიმას არ გა-დაიძინოს, დროშა დარბაზში არ შეპრანდება, ურჩი ყმის სამრისსველოდ ის გა-რედ დარჩება, დროშის „კარში გაშირვა“ ჯვრის განრისხებას და დამნაშავის დაზარალებას იწვევს. იმდენად დიდია ამ მოძრავი კერპის ძალა, რომ არ-ხოტელი ქალები, საახალწლოდ გამობრძანებული დროშების პატივსაცემად, რამდენიმე დღის განმავლობაში სელსაქმესაც კი არ აქეთებენ¹.

„სულთ გასხმა“ დროშის შემწეობით სწაბმოებს, „ჯვარში დაკოჭვა“, „ჯვარში მიბარება“ და ყოველგვარი სამსხვერპლოს შეწირვა დროშის ირ-

¹ ისტ. ინტრიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ა. ოჩიაუ რი, სევსურეთის წარსული

გვლივ ხდება; „ჯვარის სტუმრებაც“, ხომ, ფაქტურად დროშის სტუმრებაა

წყალში დამღრჩევალი და თავმოკლული ადამიანის სულს, ხევსურის რწმენით, ბოროტი ძალა ეპატრონება. „სულის წამოყვანის“ მიზნით, უბედური შემთხვევის აღვილს კრატის ჯვრის დროშას მიყვანენ და მის დახმარებით მავნეს მიერ შეპრობილ სულს გაანთვისუფლებენ.

დროშა სულით დააგადებულის განკურნებაშიც იღებს მონაწილეობას: ავალმოფა დროშის ქვეშ აჩოებენ და დროშის ტარის შეხების გზით, ომშელსაც თან ახლავს ხუცობისა თუ საკლავის დაკვლის ცერემონიალი, მას „ჯვარს აკოჭვიებენ“.

ვაჟი, ვიღრე გას ერთი წელი შესსრულდება, ჯვარს უნდა „მიაბარონ“: ჯვარში მიბარება დროშის ქვეშ ბავშვის სამჯერ შეგორებაში გამოიხატება; სუცობა და მსხვერპლის შეწირვა ამ შემთხვევაშიც ხდება.

გაჭირვებული ხევსური ჯვარს სახლში მოწევებასაც შეპირდება ხოლმე, ამ მეტად გაგრულებულ რიტუალს „ჯვარის სტუმრება“ ეწოდება. ჯვრის სტუმრობასთან დაკავშირებულ ღმისი თევზე, ოროგორც უკვე აღნიშვნეთ, მგზავრი დროშა დაბრძანდება. რამდენი ჯვრის მოპატიუებასაც გადასწუვეტს ხევსური, დროშაც იმდენი ესტუმრება, ჯვრის წარმომადგენლობა დროშას ეკისრება. დროშის წამობრძანების დროს, ღმისი მთველის მიერ წარგზავნილი მაწევები წინ მოდის და დროშიანი პროცესია კი უკან მოკუყება. დროშას აუჩქარებლად მოაბრძანებენ და თან ზარს აწეარუნებენ, დროში შიმდა გზებით მოჰყავთ. მოპატიუებულ დროშებს სახლის ბანჩე შემოატარებენ და სათანადო ცერემონიანი შესრულების შემდეგ აქვე დააბანებენ. ღმისითვების პროცესის დამთავრებამდე დროშიანი ბანჩე იმყოფებიან, სტუმრობის დასასრულს კი კვლავ ხატში ბრუნდებიან.

ხევსურეთის ზოგიერთ თემას და სოფელში, დროშის თვეზე განსახიერებულ კვართონ ერთად, უდროშო ჯვრებსაც ეთაყვენებიან, ეს უკანასკნელნიც საწესო რიტუალის შესრულების დროს თითქმის დროშის უფლებებით სარგებლობენ.

ჯვრის თაყვანისცემისთან დაკავშირებით, უზრალებას იქცევს ხევსურული სახავშეო დღეობებიც. ახილელი ბავშვები, მაგ., მარიემშვიდობას დღესაცაულობენ. დასტურ-კელოსნებს თავისი წრეშივე ირჩევენ და დღეობასთან დაკავშირებულ ყველა საჯვარო საქმესაც თვითონ უძლევებიან. ღმისითვეობას ბავშვებს სოფლიდან ზღვენს უზავენიან, ზღვენის მომტანს მასპინძლებია ამწყალობნებენ, საქონლის გამრავლებასა და ნაწევრის ბარაქას შესთხოვენ ჯვარს. სათაყვანებელი კერძის ფუნქციას აქ ჯვარი ასრულებს. ჯვარი ხისაა, შემკობილია შეწირული სათმეებითა და მძიებით².

¹ ალ. ოჩიაურის ცნობით, სოფ. ხახაბოს ხატში, დროშებთან ერთად, ორი ჯვარიც ყოფილა, ეს ჯვრები, დეთვება—ჯვრის დაგალებით, ერთ-ერთ მესატეს ჰქონია ჩაბარებული. დღე-სასწაულების დროს მეტატე, თურმე, ორივე ჯვარს ხელში დაიკავებს და გარეთ გამოაბრძანებს.

² ისტორიის ინტერტერის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი—ა. ოჩიაური, ხევსურების წარსული ამბები, რვ. 2, გვ. 502.

ხევსური ხუცესი ყელზე ჩამოკიდგებულ ვერცხლის ჯვარს ატარებს. ჯვრის დროებით ნიჩნებს, სამსხვერპლო ცხოველის დაკვლის დროს, ის ჯვრის ჭმებსაც უკეთებს: მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, ხუცესი სისხლში თითა და ისკელებს და სამსხვერპლოს მომყვანს. („საკელოსთან“) იქნება ეს დაკავშირებული, „ჯვარში მიბარებასთან“ თუ სხვა ხასიათის ზღვნობასთან — სულერთია) შუბლსა და გულზე სისხლიან ჯვარს გამოსახულავს. ჯვარისნებ ყოველნარად ცდილობენ, რომ ჯვრის გამოსახულება დიდხანს შეიჩით. ჯვრის სისხლიან ნიშნების წინაშეც კა შოკურალებს გრძნობენ. ზოგ სოკულში, სისხლით გამოსატული ჯვრების წყალობით, მეზღვნენ ჯვარივნებს თანამესუფრეობას უწევენ. სისხლით ნახატი ჯვრების ხალა იმდენად დიდია, რომ მიზარებული ბავშვის შუბლსა და გულზე აღმყენდლა ჯვრები დედამ რამდენიმე დღის შემდეგ თბილი წყალი წყნდა ჩამოანისა. ნაბან წყალს მოფარგებულ აღგილის დაღვრის, რათა მას ასამიანს ფეხი არ მოხვდეს და ამით სისხლის ხატების სიწმინდე არ შეიიახოს.

ხევსურებთში, როგორც კეტდავთ, ჯვრის გამოსახულება სრულიად განსაკუთრებული პატივისცემით არის გამომუცული. კერძად მიჩნეულ დროშის ხატში და საერთოდ საგნად გამოკვეთილ ყოველგვარ ხატში ჯვაროთაების ძალაა ჩაქიროვილი.

რეალური ჯვარი ციური ჯვრის გამოსატულებაა, ის მართლაც რომ ლეთისუეილის ხატია — მისი მატერიალური განსახიერებაა. იქნებ დროშის პირველდელ სახელწოდებას სწორედ ხათი წარმოადგენდა? მთიულეოთში ხომ ლროშის, ამ ერთობ გაგრძელებულ სახელთან ერთად, სათაც ეწოდება. ეგვებ ამგვარ კერძ-დროშითა შესახებ იყოს ლაპარაკი ქართლის მოქცევაში: „მყის უკუ წარიგიდა წმიდა ნინო ხილვად არმაზისა, და ალისნებ ქვენ იგი დრო-შებითა და ერითა, ვითარცა ველი, ყუავილთა“ — ნათქეამია დასახელებულ ძეგლში.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფშაველების, თუშების, მოხევეებისა და მთიულ-გულამაყრელების სახუმნოებრივ ყოფებიც მსგავს მოვლინასთან გვაქვს საქმე: ჯვრის კულტის გარღმონაშობი მათ რელიგიურ ყოფაშიც ბოლო დრომდე სიცოცხლეს განაგრძობდა.

ქართველი მთიელების, კერძად კი ხევსურების, რელიგიური რწმენის ძირითადი არსი ჯვრიდ წარმოსახული ღვთანიშვილების თაყვანისცემში მდგრმარეობს. თამარის ისტორიკოსების ცნობა იმის შესახებ, რომ „აფხოველი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემდებენ“ — სრულყოფილ დადასტურებას ჰპოლუციამდელი ხევსურების ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ზემომოყვანილი მასალის და ჩვენ მიერ გათვალისწინებული

¹ ქართლის ცხოვრება, ნაწილი პირველი, ბრონქს გამ., გვ. 333 (თამარის ისტორიკოსის ეს ცონბა თავისებურად არის გაებული აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ნაშრომში — „საქართველო ატრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“).

სხვა ცნობების მიხედვით საკარაულოდ შეიძლება ითქვას, რომ ჯვართაყვანისმცირებისა ერთ დროს კაცისიღლი ზალტების საერთო რელიგიას წარმოადგენდა¹. მომავალი კვლევა-ძიების დროს ეს საკითხი უფრო ღრმად გაირკვევა და კაცისიაში აღმოჩენილი არაქრისტიანული ქვაჯვრებიც, სხვა მონაცემებთან ერთად, ალბათ ჯვართაყვანისმცირების დაუკავშირდება.

¹ ჩვენი ხელნაწერი ნაშრომის ერთი ნაწილი ჩრ. კაგვასური მასალების განზიდვას აქვს დათმობილი (პასთან დაკავშირებით იხ. ს. ჯანა შ.ი.ა., „საკაროველო ადრინდელი ფეოდალისაციის გზაზე“, გვ. 15).

შ 0 6 ა პ ს 0

1. ა. ლ. რობაქიძე, მეფეუტეკნომი გურიაში.....	5
2. ს. ბედუკაძე, ქვის დამუშავება მთიულეთში.....	33
3. გ. ბარლაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორია იდეან. IV. ხან დეცენტ	51
4. ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული „ჯვარი“.....	67

ფაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საპონს დაღუნილებით

*

რედაქტორი: პროფ. გ. ჩ. ი. ტ. ა. ი. ა.

*

ტურქდაქტორი ნ. ჯ. ა. ფ. ა. რ. ი. ძ. ე
კორექტორი ც. ი. ა. ნ. ქ. თ. შ. ვ. ი. ლ. ი
კონტროლირ-კორექტ. ო. გ. ი. თ. რ. გ. ა. ძ. ე
გამზღვები. გ. ს. ი. ბ. რ. უ. ლ. ი. ძ. ე

ფარავა. წარმოებას 19.5.51. ზედმოწ. დასაბუჭდად 31.1.52. ქალალდ.
ზომა 70×108 ¼. ქალალდ. ფურც. 2,8. საბუჭ. ფურც. 7,53.
საავტ. ფურც. 5. საალრ.-საგამომც. ფურც. 5,9.
შეკვ. № 1156. უფ 01314. ტირაჟი 1000.

ფასი 6 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა:

ଓଡ଼ିଆ ୬ ୮୦୬.